



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

სამეცნიერო შრომების კრებული

კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2015

კრებულში წარმოდგენილია როგორც კავკასიის უნივერსიტეტში შემავალი სკოლების, ასევე პარტნიორი უნივერსიტეტების მკვლევარების ნაშრომები, რომლებიც მოიცავენ აქტუალური საკითხების ფართო სპექტრს.

The collection unites Caucasus University schools, as well as the partner university researchers' papers, which cover a wide range of actual issues.

სარედაქციო კოლეგია:

პროფ. შალვა მაჭავარიანი (მთავარი რედაქტორი), პროფ. გურამ ლეჟავა, პროფ. თეიმურაზ ხუციშვილი, პროფ. ინდრეკ იაკობსონი, თათია ღერკენაშვილი (რედაქტორის მოადგილე).

Editorial Board:

Prof. Shalva Machavariani (Editor-in-Chief), Prof. Guram Lezhava, Prof. Teimuraz Khutsishvili, Prof. Indrek Jakobson, Tatia Gherkenashvili (Essociate editor).

გამოიცემა ნაბეჭდი და ელექტრონული სახით.

Both printed and electronic forms of publication will be available.

კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი, 2015

ISSN 1987- 8869

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
შალვა მაჭავარიანი	7
საქართველოში "ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის" საჭიროება	
გურამ ლეჟავა, ბორის ლეჟავა	19
საზოგადოებაში ეკონომიკური აქტივობის და ეკონომიკური აპათიის საკითხის განხილვა გაბნევის მრუდეების მათემატიკური აპარატის საშუალებით	
თამაზ აქუბარდია	36
გარდამავალი პერიოდის ინფლაციური პროცესების თავისებურებანი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე)	
გურამ ლეჟავა, ბორის ლეჟავა	45
გაბნევის მრუდეების გამოყენება, სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ღარიბი ჯგუფებისათვის გასაწევი სოციალური დახმარების შეფასებისას	
ოდრი იუჟენია შლეგელი	60
სტრატეგია საქართველო 2020 – ის მნიშვნელობა	
თამარ მაღალაშვილი	76
მომხმარებლები ენდობიან იმას, რაც მათ მეგობრებს მოსწონთ	
თეიმურაზ ხუციშვილი, ლევან წიქარიშვილი, ანა გელაშვილი, ბებურ გოზალიშვილი, შალვა კოლუაშვილი, ანა იმედაშვილი	85
სიახლეები ტაო-კლარჯეთში 2014 წელს განხორციელებული ექსპედიციების მასალებიდან	
ზურაბ ბრაგვაძე	99
ადრე რკინის ხანის ნამოსახლარი აღმოსავლეთ კოლხეთიდან	
ტერეზა ჯაფარიძე	108
Rerum Novarum, როგორც ქრისტიანული დემოკრატიის საფუძველი	
ჯაბა მესხიშვილი	118
მუკდენის ინციდენტი და მისი გავლენა მსოფლიოზე	
ლევან გორელაშვილი	129
საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები სამოქალაქო საპროცესო სამართალში	
ნინო დგვეფაძე	141
ემოციური ინტელექტის როლი ეფექტური ლიდერობისთვის	
თამარ ქობულაძე, სალომე მხეიძე	159
პროფესიული სტრესის საზომი ინსტრუმენტის - OSI-R™ (Occupational Stress Inventory – Revised Edition™) ადაპტაცია	
თათია ღერკენაშვილი	174
სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება	

Contents

Introduction	5
Shalva Machavariani	7
<i>Necessity of Existence "Business Supportive System" in Georgia</i>	
Guram Lezhava, Boris Lezhava	19
<i>Discussion of the Economic Activity and Economic Apathy in the Public by Means of the Mathematical Apparatus of Scattering Curves</i>	
Tamaz Akubardia	36
<i>Transitional Period's Inflationary Pressures Features in Post-Communist Countries (the example of Georgia)</i>	
Guram Lezhava, Boris Lezhava	45
<i>Use of Scattering Curves When Assessing Social Aid to be Provided to Poorer Population Groups by the State</i>	
Audrey Eugénie Schlegel	60
<i>The meaning of the Georgia 2020 Strategy</i>	
Tamar Maghalashvili	76
<i>Consumers trust in what their friends like</i>	
Teimuraz Khutsishvili, Levan Tsikarishvili, Ana Gelashvili, Bebur Gozalishvili, Shalva Koghuashvili, Ana Imedashvili	85
<i>The news from the materials of implemented expeditions in Tao-Klarjeti in 2014</i>	
Zurab Bragvadze	99
<i>Early Iron Age Settlement From Eastern Colchis</i>	
Tereza Japaridze	108
<i>Rerum Novarum as a Basis of Christian Democracy</i>	
Jaba Meskhishvili	118
<i>Mukden Incident and Its Influence on World</i>	
Levan Gorelashvili	129
<i>Prerequisites for Admissibility of Cassation Appeals in Civil Procedural Law</i>	
Nino Dgvepadze	141
<i>The Role of Emotional Intelligence for Effective Leadership</i>	
Tamar Kobuladze, Salome Mkheidze	159
<i>Adapting the OSI-R™ (Occupational Stress Inventory – Revised Edition™)</i>	
Tatia Gherkenashvili	174
<i>Teachers' Professional Development at School</i>	



წინასიტყვაობა

განათლება ექსტერნალური დეტალების მიმართ გლობალური აღქმისა და მართებული ანალიზის უნარით განისაზღვრება, რის საფუძველსაც წარმოადგენს დამოუკიდებლად მოძიებული ცოდნა და მაქსიმალური სწრაფვა ინოვაციებისკენ.

განათლების ამგვარმა, მასშტაბურმა განსაზღვრებამ საგანმანათლებლო დაწესებულებების მმართველობით და სტრატეგიულ პოლიტიკას იმპერატიული ელემენტებიც შესძინა.

განათლების ეფექტიანობის გარანტად გვევლინება კვლევაზე ორიენტირებული სწავლება. შესაბამისად კვლევა მოიაზრება როგორც პრეამბულა ახალი ცოდნის მისაღებად.

კავკასიის უნივერსიტეტის 2015 წლის სამეცნიერო კრებულში წარმოდგენილი კვლევითი ნაშრომები გახლავთ ასეთივე კომპეტენტური მსჯელობისა და საინტერესო იდეების ერთობლიობა აქტუალური საკითხების ირგვლივ.

ახალგაზრდა მეცნიერებისა და დოქტორანტების ნააზრევი კულტურულ - ტრადიციული შეხედულებების ფართომასშტაბიანი გაზიარებაა ნაივური ცოდნიდან ინოვაციური თეორიის მისაღებად, რომელიც მრავალი პრობლემის დაკვირვების აღწერისა და ახსნის შესაძლებლობას მოგვცემს.

ამ კრებულთ კავკასიის უნივერსიტეტის მიზანი საუნივერსიტეტო კვლევიდან ინოვაციაში ტრანსფორმირდება, რომელსაც საერთაშორისო პარტნიორებთან და კოლეგებთან ერთობლივად გატარებული შრომები, საერთაშორისო პროექტები, საუნივერსიტეტო თუ საეთაშორისო დონის კონფერენციები და სამეცნიერო კონტაქტები უდევს საფუძვლად.

პროფესორი კახა შენგელია

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი

Introduction

Education can be evaluated by its ability to global perception and proper analysis of external details, which is based on an independently obtained knowledge and maximum striving to innovations.

Such an extensive definition of education has obtained imperative elements to educational institutions and strategic policy as well.

Research-oriented teaching is being considered the guarantee for the effectiveness of the education. Hence, research serves as a preamble to a new knowledge.

The competent discussions and interesting ideas about the topical issues are represented in Caucasus University 2015 collection.

Young scientists and doctoral students' conception is traditional large-scale sharing of cultural views for gaining innovative theory from naive knowledge, that will enable to describe and explain various observations toward different problems.

By this collection of scientific works Caucasus University's aim will be transformed from university research into innovation, that grounds on the international partners and colleagues' joint works, international projects, university or international conferences and scientific contacts.

Prof. Kakha Shengelia
President of Caucasus University

საქართველოში "ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის" საჭიროება



შალვა მაჭავარიანი

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოში ბიზნესს (მირითადად მცირე და საშუალოს) და საუნივერსიტეტო მეცნიერებას შორის ურთიერთდინტერესება ძალზე უმნიშვნელოა, რაც გავლენას ახდენს არამხოლოდ მათ წარმატებულ საქმიანობაზე, არამედ ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაზე (Machavariani, 2008). საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მცირე და საშუალო ბიზნესის გამართული საქმიანობით. მაგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის მთელი წარმოების 54%, მათ მიერ დასაქმებულია მომუშავეთა 55% და იქმნება ახალი სამუშაო ადგილების 66%¹. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წლის პირველი სექტემბრისათვის, საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში დარეგისტრირებული იყო 588 722 სუბიექტი,² აქედან აქტიურად საქმიანობდა მხოლოდ 113 017 (დარეგისტრირებულების მხოლოდ 20,0%). ბიზნესების ყველაზე მეტი რაოდენობა დაკავებულია ვაჭრობითა და სარემონტო სამუშაოებით (11,9%). აღსანიშნავია, რომ 2014 წელს, საქართველოში მოსახლეობის 46% და დასაქმებულების 55,6% ცხოვრობდა სოფლად. ამავდროულად ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს "სოფლის მეურნეობის" სექტორში საქმიანობს მოქმედი ბიზნესების სულ 0,7%,³ რომლებიც ქმნიან მთელი პროდუქციის მხოლოდ 8,4%, რაც მიანიშნებს აგრობიზნესის დაბალ ეფექტიანობაზე. საქართველოში ბიზნესის არათანაბარ განვითარებაზე ისიც მეტყველებს, რომ მსხვილი წარმოებები, რომლებიც შეადგენენ დარეგისტრირებული საწარმოების მხოლოდ 8%⁴, აწარმოებენ პროდუქციის 80%-ზე მეტს. შესადაარებლად, ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალო

¹ <http://www.sba.gov/content/small-business-trends>

² http://www.geostat.ge/?action=page&p_id=469&lang=geo

³ http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

⁴ http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

ბიზნესების რაოდენობა შეადგენს მოქმედი ბიზნესის 99.8% (ცხრ.1), დასაქმებულია მომუშავეთა 67.1% და მათ მიერ შექმნილია დამატებული ღირებულების 57,9%⁵).

ზოგადი მონაცემები მცირე და საშუალო ბიზნესზე საქართველოსა და

(ცხრ.1)

ევროკავშირის ქვეყნებში

ევროკავშირის ქვეყნები	მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა (%)	დასაქმებულები მცირე და საშუალო საწარმოებში (%)	ამ საწარმოებში შექმნილი დამატებული ღირებულება (%)
გერმანია	99,5	60,1	53,2
საფრანგეთი	99,8	61,4	48,8
ჩეხეთი	99,7	68,2	55,4
ესტონეთი	99,6	78,4	74,9
ევროკავშირის 26 ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი	99,8	67,1	57,9
საქართველო	92,0	45,6	21,8

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფენ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სუსტ განვითარებას, მათ ნაკლებად ეფექტიან საქმიანობასა და დაბალ კონკურენტუნარიანობას.

"გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის" (The Global Competitiveness Report, 2014), თანახმად, საქართველოს ინოვაციური პოტენციალი სავსადაა დაბალია, ის იკავებს მხოლოდ 122-ე ადგილს, რაც გამომდინარეობს "ინოვაციურობის რეიტინგის" განმსაზღვრელი კომპონენტების მდგომარეობიდან (ცხრ.2). ინოვაცია დღეს მიჩნეულია ბიზნესის განვითარების უმთავრეს ინსტრუმენტად. ამ მიზეზით ის აღიარებულია ევროპაში სახელმწიფო პოლიტიკის ქვაკუთხედად (Europe 2020: A European Strategy for Smart, Sustainable, and Inclusive Growth, 2010; Research and Entrepreneurship: A New Innovation Strateg

⁵ http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/files/craft/sme_perf_rewiew/doc.pdf

for Europe, 2008). გლობალური კონკურენტუნარიანობის ამავე ანგარიშის თანახმად, უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს უკავია 92-ე ადგილი, რაც აგრეთვე მეტად საგანგაშო მონაცემია.

საქართველოს "ინოვაციურობის" რეიტინგის განმსაზღვრელი კომპონენტები (ცხრ. 2)

#	ინოვაციური კომპონენტი	სარეიტინგო ადგილი
1	ინოვაციური შესაძლებლობები	103
2	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხი	117
3	კომპანიების დანახარჯი კვლევასა და განვითარებაზე	124
4	ინოვაციური ორგანიზაციების ჩართულობა კვლევით საქმიანობაში	126
5	ინოვაციური პროდუქციის სამთავრობო შესყიდვები	76
6	მეცნიერებისა და ინჟინრების რაოდენობა	120
7.	პატენტების რაოდენობა მილიონ მოსახლეზე	65

2010-2013 წლებში ევროკავშირის პროექტის (Project "IncoNet Ca/SC"⁶) ფარგლებში განხორციელებული კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა საქართველოში ბიზნესის სუსტი განვითარების, დაბალი ინოვაციურობისა და უმაღლესი განათლების არასათანადო მდგომარეობის ძირითადი მიზეზები: ა) ძალზე სუსტი კავშირი ბიზნესის საჭიროებებსა და მეცნიერების მხრიდან ბიზნესისათვის განხორციელებულ შეთავაზებებს შორის, ბ) უნივერსიტეტებში სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების ერთმანეთისაგან დისტანცირება. ამრიგად, ბიზნესის განვითარება იზღუდება კვლევითი სექტორიდან შეთავაზებული ინოვაციების ნაკლებობის გამო, ხოლო ბიზნესის მხრიდან დაკვეთების სიმცირის მიზეზით, ვერ ხერხდება საუნივერსიტეტო მეცნიერების სათანადოდ დაფინანსება. თავის მხრივ კვლევებში ჩართულობის გარეშე შეუძლებელია სწავლების ხარისხის ამაღლება. არქიმედეს ფონდის

⁶ Seventh Framework Programme, Project: "IncoNet Ca/SC", Grant agreement #244417, 2010-2013

პროექტის⁷ განხორციელების შედეგად დადგინდა აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშემშლელი სხვა მიზეზებიც: ქვეყანაში ინოვაციური სტრატეგიის უქონლობა, მაღალტექნოლოგიური ორგანიზაციების სიმცირე, დამწყები ბიზნესისათვის ბიზნეს-აქსელერატორების არ არსებობა, ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურა, საჭირო ცოდნის ნაკლებობა კონკურენტულ პირობებში ორგანიზაციის მართვის განსახორციელებლად, თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძენად საჭირო სახსრების უქონლობა და ა.შ.

აღწერილი პრობლემების კომპლექსურად გადასწყვეტისათვის აუცილებელია სისტემური მიდგომის გამოყენება. როგორც მსოფლიო პრაქტიკამ ცხადყო, პირველ რიგში საჭიროა *ბიზნესის უზრუნველყოფელი სისტემების* - სხვადასხვა პროფილის ბიზნეს-ინკუბატორების, საინოვაციო, კონკურენტუნარიანობისა და კომპეტენციის ცენტრების, ცოდნის ტრანსფერისათვის განკუთვნილი სტრუქტურების, საინოვაციო იდეების ბანკების, მაღალტექნოლოგიური საწარმოების ჩამოყალიბება და მათი საქმიანობის სტიმულირება.

ბიზნესის უზრუნველყოფელი სისტემის დანიშნულება

ბიზნესის უზრუნველყოფელი სისტემები წარმოედგენენ ე.წ. საწარმო-სამეცნიერო-საგანმანათლებლო კლასტერებს, რომელთა უმთავრესი დანიშნულებაა ინოვაციური პროდუქციით ბიზნესის უზრუნველყოფა და ამით მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება. *ბიზნესის ხელშემწყობი სტრუქტურები წარმოადგენენ ერთგვარ "ხიდს" ბიზნესს, მეცნიერებასა და სწავლებას შორის.*

აღნიშნული სტრუქტურების დახმარებით:

- ყალიბდებიან ახალი საწარმოები (ძირითადად მცირე და საშუალო) და ხელი ეწყობა მათ შემდგომ წარმატებულ საქმიანობას;
- ბიზნესი იმაღლებს თავის კონკურენტუნარიანობასა და ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს;
- ხდება ბიზნესისა და სამეცნიერო ორგანიზაციების ურთიერთდანიშნულებები;


⁷ The Archimedes Foundation, Project: "Analysis of Existing Georgian Key Technologies", 2006-2007

- საინოვაციო პროდუქციის კომერციალიზაციის შედეგად, იზრდება უნივერსიტეტების კვლევითი სექტორების დაფინანსება და ხელი ეწყო საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარებას;
- სტუდენტებს ექმნებათ ფართო შესაძლებლობა ჩაერთონ ბიზნესის ხელშეწყობის პროცესში. შექმნილი ცოდნა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევები გაუადვილებთ მათ კვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში.

ბიზნეს-ინკუბატორი ბიზნესის ხელშეწყობი სტრუქტურების საკვანძო ელემენტია. თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, გამოიყენება ერთპროფილიანი, მრავალპროფილიანი, ტექნოლოგიური, შერეული და ვირტუალური სახის ბიზნეს-ინკუბატორები. სხვადასხვა სახის ინკუბატორების გაერთიანებები გვხვდება ტექნოლოგიური პარკებისა და სამეცნიერო პარკების სახით. ნახ. 1-ზე ნაჩვენებია მსოფლიოში ბიზნეს-ინკუბატორების რაოდენობის ზრდის დინამიკა, მათზე წარმოქმნილი მზარდი მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ბიზნეს-ინკუბატორების გამოყენების არეალი საკმაოდ ფართოა (Business Incubators, 2014), არსებული მონაცემების მიხედვით, დღეს ისინი დიდი წარმატებით გამოიყენებიან ეკონომიკის ყველა სექტორში. ბიზნეს-ინკუბატორები განსაკუთრებით მოთხოვნილია მრეწველობის, გადამამუშავებელი წარმოების, მშენებლობის, აგრობიზნესის, ტურიზმის სფეროში მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესის მხრიდან.

ნახ. 1 ბიზნეს ინკუბატორებზე მოთხოვნის ზრდის დინამიკა



@ Copyright 2012, Vasily Ryzhonkov, CrowdSynergy (www.crowdsynergy.com)

საინოვაციო ცენტრები, როგორც წესი ჩამოყალიბებულია უნივერსიტეტებთან და კვლევით დაწესებულებებთან. მათი ძირითადი დანიშნულებაა ბიზნესის მოთხოვნების გამოვლენის შესაბამისად, კვლევითი საქმიანობის ორგანიზება სხვადასხვა სახის ინოვაციების (საპროდუქტო, საპროცესო, ტექნოლოგიური, საორგანიზაციო, მარკეტინგული, სტრატეგიული) და რაციონალიზატორული წინადადების შესაქმნელად და მათი კომერციალიზაციისათვის მოსამზადებლად.

კონკურენტუნარიანობის (ან კომპეტენციის) ცენტრები (ზოგჯერ გამოიყენება განსხვავებული დასახელებები) ყალიბდება ძირითადად ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ადგილობრივი და უცხოური ბაზრების შესწავლისა და ამ ბაზრებზე გასასვლელად ბიზნესის ინფორმირებისა და კონსულტირებისათვის.

საინოვაციო იდეების ბანკები იქმნება ბიზნესისათვის საინტერესო იდეებისა და წინადადებების აკუმულირების, სისტემატიზაციისა და მომხმარებლებისათვის მათი მიწოდებისათვის. საინოვაციო იდეების ბანკები ყალიბდება უნივერსიტეტებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ, ბიზნეს-იდეების მოძიების, გაცვლისა და მათი რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით. საინოვაციო იდეების ბანკებს კავშირი აქვთ ბიზნეს-ინკუბატორებთან, საინოვაციო ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან, აგრეთვე ადგილობრივ და საზღვარგარეთის ანალოგიურ სტრუქტურებთან, საპატენტო ორგანიზაციებთან, კერძო პირებთან.

უკანასკნელ ხანს გაიზარდა ბიზნესის ხელშემწყობი ვირტუალური სტრუქტურების რიცხვი, რომლებიც დისტანციურად ახორციელებენ ცოდნის ტრანსფერს (ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესისათვის) თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით (Virtual Business Incubation Services, 2011). მათი დანიშნულებაა ბიზნესების კონსულტირება და შეუფერხებელი კავშირის უზრუნველყოფა საინოვაციო ცენტრებთან, საინოვაციო იდეების ბანკებთან, კონკურენტუნარიანობისა და კომპეტენციის ცენტრებთან, სხვა ანალოგიურ ორგანიზაციებთან.

საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ბიზნესის ხელშემწყობი სტრუქტურების დამფუძნებლები არიან უნივერსიტეტები, კორპორაციები, ადგილობრივი სამთავრობო ორგანიზაციები, კერძო პირები, სხვადასხვა სახის ბიზნესები და არამომგებიანი

ორგანიზაციები (Business Incubation, 2014). ბიზნესის ხელშემწყობი სტრუქტურები საკმაოდ ნაყოფიერად საქმიანობენ ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში (Panagoitis L., 2013). აღსანიშნავია, რომ ბიზნეს-ინკუბატორების თითქმის 25% საქმიანობენ როგორც არამომგებიანი ორგანიზაციები.

საქართველოში ეფექტიანად მოქმედი ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის მოდელი

საქართველოში დღეს ფუნქციონირებს რამდენიმე ბიზნეს-ინკუბატორი, მაგრამ მხოლოდ ერთი, 2009 წელს UNDP დაფინანსებით დაფუძნებული ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი⁸ ახორციელებს ბიზნესის ინკუბაციისათვის გათვალისწინებულ სრულ პროცესს. დღემდე მისი მომსახურებით ისარგებლა ათმა და ამჟამად ინკუბაციის პროცესს გადის თხუთმეტი საწარმო. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ბათუმის ბიზნეს-ინკუბატორს არ გააჩნია ბიზნეს-იდების ბანკი, საინოვაციო ცენტრი და უშუალო კავშირი არ აქვს უნივერსიტეტებთან, რის გამოც გავლენას ვერ ახდენს როგორც საუნივერსიტეტო მეცნიერებისა და სასწავლო პროცესების განვითარებაზე. ამ მიზეზით მისი როლი ბიზნესისათვის საჭირო ინოვაციური პროდუქციის შესაქმნელად, ძალზე უმნიშვნელოა.

ბიზნესის ხელშემწყობი სტრუქტურების ეფექტიანი გამოყენების თვალსაზრისით საქართველოსთვის განსაკუთრებით საგულისხმოა ესტონეთის მიღწევები (Report „Pre-incubation Instruments – Application and Effectiveness Assessment” 2012). აღსანიშნავია ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის⁹ ნაყოფიერი ურთიერთობა ტალინის ტექნოპოლთან¹⁰, რომლის მეშვეობით ბიზნესის ინკუბაციის პროცესში მონაწილეობენ უნივერსიტეტის სტუდენტებიც, რაც ხელს უწყობს მათ კვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში. 2009 წელს, “ღია საზოგადოება” საქართველოსა და ესტონეთის ოფისების დაფინანსებით, East-East პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა კავკასიის უნივერსიტეტის სპეციალისტების ტრენინგები ესტონეთის ექვს ბიზნეს-ინკუბატორში¹¹, მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობის ხელშემწყობისათვის საჭირო გამოცდილების მისაღებად; ხოლო 2010 წელს, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტისა და ტექნოპოლის სპეციალისტებთან ერთად,

⁸ Batumi Business Incubator, <http://www.bbi.ge/>

⁹ Tallinn Technology University, <http://www.ttu.ee/en>

¹⁰ Tehnopol, <http://www.tehnopol.ee/en>


¹¹ EE Program, I Step: “Training of Georgian experts with the help of the specialists of Tallinn University of Technology in order to commercialize innovation technologies and organize business incubators”, 2009.

თბილისსა და ქობულეთში ჩატარდა სემინარები, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები გაეცნენ თანამედროვე ბიზნეს-ინკუბატორების საქმიანობის სპეციფიკას¹² და ინკუბაციის არსებულ შესაძლებლობებს.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესის ხელშემწყობი სტრუქტურების ნაყოფიერი საქმიანობა ევროკავშირის სახელმწიფოებში განაპირობებს როგორც ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ასევე უმაღლესი განათლების ხარისხისა და სამეცნიერო პოტენციალის ზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას.


საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების, ასევე უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევებისა და მიღებული პრაქტიკული შედეგების საფუძველზე, ნახ.2-ზე წარმოდგენილია "ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის" ზოგადი სახის მოდელი, ხოლო ნახ. 3-ზე მოცემულია "ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის" ძირითადი კომპონენტების ურთიერთმიმართების სქემა.

ნახ. 2 "ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის" ზოგადი სახის მოდელი.



¹² EE Program, II Step: "Conditions of Business Incubator Operation in Georgia", 24-26 November, 2010.

ნახ. 3 "ბიზნესის უზრუნველყოფელი სისტემის" ძირითადი კომპონენტების ურთიერთმიმართების სქემა



დასკვნა

საქართველოში ბიზნესსა (ძირითადად მცირე და საშუალო) და საუნივერსიტეტო მეცნიერებას შორის ურთიერთდაინტერესება ძალზე უმნიშვნელოა, რაც გავლენას ახდენს არამხოლოდ მათ წარმატებულ საქმიანობაზე, არამედ ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაზე.

ბიზნესის ხელშემწყობი ეფექტიანი სისტემების დანერგვით შესაძლებელია ქვეყნის წინაშე მდგარი მრავალი პრობლემების (დაბალი საინოვაციო პოტენციალი, საუნივერსიტეტო გამოყენებითი მეცნიერების მწირი დაფინანსება, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კვლევით პროცესში იშვიათი ჩართულობა, მცირე და საშუალო ბიზნესის დაბალი

კონკურენტუნარიანობა, მაღალი უმუშევრობა, ახალი სამუშაო ადგილების უმნიშვნელო რაოდენობა და ა.შ) დიდწილად მოგვარება.

საქართველოში უკანასკნელ ხანს გადაიდგა ნაბიჯები ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს ჩამოსაყალიბებლად: 2012 წელს შემუშავდა სამთავრობო პროგრამა "ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის". 2010 წლის 25 ივნისს საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიღებულია "საქართველოს რეგიონალური განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია". დამტკიცდა სახელმწიფო სტრატეგიის შესატყვისი 2011-2014 წლების სამოქმედო გეგმა. მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგიული გეგმა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მიღებულია გადაწყვეტილება ტექნოლოგიური პარკების ჩამოსაყალიბებლად და ა.შ. რაც ქმნის კარგ საფუძველს ბიზნესის უზრუნველყოფელი სისტემის ეფექტიანი საქმიანობისათვის და ხელს შეუწყობს საქართველოში უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის კომპლექსურ განვითარებას.

ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის წარმოდგენილი მოდელის ასამოქმედებლად საჭიროა:

1. სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ბიზნესის, მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებისათვის, რეალური საინოვაციო სტრატეგიის მიღება, ბიზნესის სარისკო (ვენჩურული) ფონდების ჩამოყალიბება, საფინანსო-საბანკო სისტემის დაინტერესება ბიზნესის შეღავათიანი დასაკრედიტებლად, ბიზნესის დაზღვევის საიმედო სისტემის გამართვა;
2. "ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის" საპილოტე პროექტის შემუშავება და მისი საცდელ რეჟიმში ამოქმედება. მიღებული მონაცემების გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის ნაყოფიერად გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (2004), # 688. თბილისი,
2. Business Incubators (2014), Reference For Business, Encyclopedia for Business, 2nd ed, retrieved from: <http://www.referenceforbusiness.com/small/Bo-Co/Business-Incubators.html>

3. Business Incubation FAQ, (2014), NBIA, Knowledge and Networks in Business Incubation, retrieved from: https://www.nbia.org/resource_library/faq/#4
- Drucker, Peter F. (1999), Management Challenges for the 21st Century. R&I Enterprises Int., New York.
4. EFMD Annual Report, 2008, retrieved from: http://www.efmd.org/images/stories/efmd/annual_report/efmd_annualreport_2008.pdf
5. Europe 2020: A European Strategy for Smart, Sustainable, and Inclusive Growth, (2010), EU Facts, retrieved from: [file:///C:/Documents%20and%20Settings/Shalva/My%20Documents/Downloads/Europe-2020-A-European-Strategy-for-Smart-Sustainable-and-Inclusive-Growth%20\(1\).pdf](file:///C:/Documents%20and%20Settings/Shalva/My%20Documents/Downloads/Europe-2020-A-European-Strategy-for-Smart-Sustainable-and-Inclusive-Growth%20(1).pdf)
6. The Global Competitiveness Report 2013-2014, retrieved from: http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2013-14.pdf
7. Liargovas, P. (2013), Do Business Incubators and Technoparks affect regional development? A comparative study in the EU27 and the NC16 countries, retrieved from: <http://www.ub.edu/searchproject/wp-content/uploads/2013/01/WP-4.5.pdf>
8. Machavariani, Sh. (2013), The Need for Systematic Approach in Georgian Rural Sector for Using Innovation Effectively, publication in International Scientific-Practical Conference: The Modern Issues of the Developing Countries, Erevan, 57-68.
9. Machavariani, Sh. (2012), Issues on Establishing Business Incubator Network in Georgia. The Collection of Scientific Works of the Professors of Caucasus University. Caucasus University Publishing, Tb, 12-24.
10. Machavariani, Sh. (2008), Policy Trends and Appraisal Report (Georgia), INTAS Project, NO:06-1000017-8811, South-Caucasian Republics: Research and Development of Science, Technology and Innovation Policy (SCRIPTS).
11. Report „Pre-incubation Instruments – Application and Effectiveness Assessment” (2012), Small Innovative Business Support Network, European Development Regional Fund, retrieved from: <http://www.teaduspark.ee/UserFiles/Projektid/SibNet%20veeb/Preincubation%20instruments%20-%20application%20and%20effectiveness%20assessment.pdf>
12. Research and Entrepreneurship: A New Innovation Strategy for Europe (2008), Knowledge Intensive Growth: European Strategies in the Global Economy. Toulouse, 7-9 July, retrieved from: <http://www.eirma.org/sites/www.eirma.org/files/doc/external/080708-Toulouse/080701-guillecsachwald.pdf/noproxy>
13. Salmi J., (2009), The Challenge of Establishing World-Class Universities. The International Bank for Reconstruction and Development/ The World Bank
14. Virtual Business Incubation Services, (2011), prepared for InfoDev by: Triodos&Facet, retrieved from: https://www.infodev.org/infodevfiles/resource/InfodevDocuments_1144.pdf

საქართველოში "ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის" საჭიროება

*შალვა მაჭავარიანი*პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი
კავკასიის უნივერსიტეტი**ანოტაცია**

საქართველოში ბიზნესს, საუნივერსიტეტო მეცნიერებასა და სწავლებას შორის შეინიშნება ძალზე სუსტი კავშირები, რაც გავლენას ახდენს როგორც ბიზნესის (ძირითადად მცირე და საშუალოს) არასაკმარის კონკურენტუნარიანობაზე, ასევე გამოყენებით დარგებში უმაღლესი განათლებისა და საუნივერსიტეტო მეცნიერების ჩამორჩენაზე და საქართველოს ინოვაციური პოტენციალის დაბალ რეიტინგზე. აღნიშნული ვითარება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკური და სოციალური სახის მრავალ პრობლემას.

წარმატებული ქვეყნების გამოცდილებისა და უკანასკნელ ხანს საქართველოში შესრულებული კვლევების საფუძველზე წარმოდგენილია ე.წ. "ბიზნესის უზრუნველყოფელი სისტემის" მოდელი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს აღწერილი პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტას.

Necessity of Existence "Business Supportive System" in Georgia*Shalva Machavariani*Doctor of Science, Professor
Caucasus University**Abstract**

In Georgia, there is weak linkages between Business, University Science and Studying itself, which could affect not only on business lack competitiveness (Especially SMEs), but also, on backwardness of Higher Education, University Science and the low rating of Georgian innovative potential. These circumstances largely determine country's economic and social problems.

Based on successful countries' experience and recent studies performed in Georgia, here is represented "Business Provide System Model", which should contribute to complex solution of above mentioned problems.

საზოგადოებაში ეკონომიკური აქტივობის და ეკონომიკური აპათიის საკითხის
განხილვა გაბნევის მრუდეების მათემატიკური აპარატის საშუალებით



გურამ ლეჟავა

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

ბორის ლეჟავა

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი



დავსვათ რიტორიკული კითხვა – რა უნდა მოიმოქმედოს ეკონომიკურმა სუბიექტმა იმისათვის, რომ გაიუმჯობესოს თავისი ეკონომიკური მდგომარეობა და აიმაღლოს შემოსავალი? ბუნებრივია მან, უნდა მოახდინოს შემოსავლის ნაწილის ინვესტირება, წარმოების (მომსახურების) გასაფართოებლად და თავისი შემოსავლის გასაზრდელად. ამავდროულად ეკონომიკური სუბიექტი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მიღებული დამატებითი შემოსავლით შესძლებს დაფაროს ჩადებული ინვესტიციები და გარდა ამისა, უზრუნველყოს დამატებითი მოგებაც. ამგვარად, ინვესტიციების აუცილებელ პირობად უნდა იყოს ეკონომიკური ზრდის საკმარისი დონე, ამ საკმარისი დონის დადგენა საკმაოდ ძნელია, რადგან იგი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე (რა იწარმოება, რა მოცულობით, როგორი კონკურენტული და საინვესტიციო გარემოა, რამდენად სტაბილურია და პროგნოზირებადი ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის სფერო და მთლიანობაში ქვეყნის მდგომარეობა, როგორი მომწოდებლებია და ა.შ.)

ასეთი სირთულის მიუხედავად, გარკვეული შეზღუდვის დაწესებით ეკონომიკური ზრდის განხილვისას (ისე, რომ ზოგადი სურათი არ დაიკარგოს) შესაძლებელია დადგინდეს პირველი მიახლოებით ის ორი არე, როდესაც ეკონომიკური სუბიექტი იქნება ერთ შემთხვევაში *ეკონომიკურად აქტიური (და ჩადებს ინვესტიციებს)*, ხოლო მეორე შემთხვევაში იქნება *ეკონომიკურად აპათიის (სტაგნაციის) მდგომარეობაში (და ინვესტიციებს არ გაიღებს)*.

ეკონომიკური ზრდის განხილვისას მიზანშეწონილია ისეთი პარამეტრის (მახასიათებლის) გამოყენება, რომელიც ადექვატურად და მათემატიკური თვალსაზრისით მარტივად ასახავს ეკონომიკური ზრდის პროცესს. ასეთ პარამეტრად ისახება ე.წ. *ეკონომიკური ზრდის*

კოეფიციენტის φ -ს გამოყენება, რომელიც მიიღება შემოსავლების განაწილების ე.წ. გაბნევის მრუდის პირველი და მეორე რიგის წარმოებულების ფარდობის სახით [1]

$$\varphi = Q''(F) / Q'(F) \quad (1)$$

გაბნევის მრუდების ცნება შემოტანილი იყო პირველად კენდელის და სტუარდის მიერ მათ ფუნდამენტალურ 3-ტომეულში „მათემატიკურ სტატისტიკაში“ (ტომი 1 – „განაწილების თეორია“) [2], სპეციალურად ისეთი შემთხვევითი სიდიდეების სტატისტიკური პარამეტრების საპოვნელად, რომელთაც აქვთ (განსაზღვრულია) მხოლოდ საშუალო მნიშვნელობა (ანუ პირველი ე.წ. საწყისი მომენტი), ხოლო მაღალი რიგის მომენტები დაწყებული მეორედან (ანუ დისპერსიიდან), განუსაზღვრელია, რადგან შესაბამისი ინტეგრალები განშლადია, ე.ი. ვერ გამოისახებიან რაღაც სასრული რიცხვებით. ასეთ შემთხვევით სიდიდეებს მიეკუთვნება ისეთნი, რომელთა ალბათობის სიმკვრივე განაწილებულია კოშის კანონის მიხედვით. მათ რიცხვში ეკონომიკის ერთ-ერთი ფუნდამენტალური ცნება – შემოსავლების პარეტოს განაწილება, ანუ პარეტოს კანონი [3]. სწორედ გაბნევის მრუდები იძლევიან საშუალებას განისაზღვროს შემთხვევითი სიდიდეების კონცენტრაციები ასეთ ექსტრემალურ სიტუაციებში (როდესაც პრინციპში არ არსებობს დისპერსია და სხვა მაღალი რიგის სტატისტიკური მომენტები).

გაბნევის მრუდები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს შემოსავლების (ტექნოლოგიების და მომსახურების) განაწილების უთანაბრობის შესწავლისას, როგორც მსოფლიო გაერთიანების ქვეყნებს, ისე მოსახლეობის ჯგუფებს (სტრატებს) შორის ცალკე ადებულ ქვეყანაში. გაბნევის მრუდები წარმატებით გამოიყენება აგრეთვე ე.წ. ციფრული (ან სხვა ტექნოლოგიური, ასევე ეკონომიკური) წყვეტის (დაყოფის) შესაფასებლად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. გაბნევის მრუდები წარმოადგენენ სწორედ იმ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას იძლევა რაოდენობრივად შეფასდეს ციფრული (ეკონომიკური, ინფორმაციული და სხვა სახის) დაყოფა. უნდა აღინიშნოს, რომ გაბნევის მრუდების (და განსაკუთრებით მისი პირველი წარმოებულის) მათემატიკური აპარატი არის გადამწყვეტი ქვეყნების მსოფლიო გაერთიანების შიგნით, როგორც ქვეყნების ჯგუფების, ისე ცალკეული ქვეყნების ფარდობითი მდგომარეობის კორექტული შეფასებისთვის.

გაბნევის მრუდები წარმოადგენენ ეკონომიკაში კარგად ცნობილ ლორენცის მრუდების მათემატიკურ ასახვას (დასაბუთებას). ლორენცის მრუდები თავის მხრივ გამოყენებული იყო

მე-XX საუკუნის დასაწყისში შემოსავლების განაწილების უთანაბრობის შესასწავლად (ამერიკელი ეკონომისტის ლორენცის მიერ). სწორედ ლორენცის მრუდეებიდან განისაზღვრა

ე.წ. *ჯინის კოეფიციენტი*, რომელიც საშუალებას იძლევა ინტეგრალურად (ჯამურად) დახასიათდეს შემოსავლების განაწილების უთანაბრობა.

როგორც ცნობილია შემოსავლების განაწილების განსაზღვრისას ქვეყნის მოსახლეობაში (ან ქვეყნებს შორის) გაბნევის მრუდი $Q(F)$ აისახება კოორდინატებში: შემოსავლების ჯამური (კუმულატიური) წილი – Q (ორდინატი) და მოსახლეობის (ქვეყნების) აგრეთვე ჯამური (კუმულატიური) წილი – F (აბსცისა). შესაბამისად გაბნევის მრუდის პირველი წარმოებული, ანუ შემოსავლის სიმკვრივე (რომელიც ასახავს შემოსავლის ზრდის სიჩქარეს) $Q'(F)$ – კოორდინატებში: $Q' = dQ/dF$ (ორდინატი) – შემოსავლის სიმკვრივე და F (აბსცისა) მოსახლეობის (ან ქვეყნების) ჯამური (კუმულატიური) წილი.

სურ. 1–ზე წარმოდგენილია შემოსავლების განაწილების გაბნევის მრუდის $Q(F)$ და მისი წარმოებულის $Q'(F)$ ტიპური გრაფიკები. რაც უფრო ახლოა გაბნევის მრუდე OA დიაგონალთან – ე.წ. *აბსოლუტური თანაბრობის (ათ)* ხაზთან (სურ. 1 ა), მით უფრო თანაბარია განსახილველი პარამეტრის (ჩვენ შემთხვევაში შემოსავლის) განაწილება და პირიქით, რაც უფრო ახლოა გაბნევის მრუდი, OB და AB ე.წ. *აბსოლუტური უთანაბრობის (აუ)* ხაზების მიერ შექმნილ მარჯვენა ქვედა კუთხესთან, მით უფრო არათანაბარია შემოსავლის განაწილება. გაბნევის მრუდი იწყება ნულიდან და მთავრდება მნიშვნელობით $Q=1$ და $F=1$ (ანუ 100%), გაბნევის ფუნქციის განსაზღვრების ზოგიერთი დეტალი მოცემულია [1]–ის დანართ 1–ში, [5]–ში და სხვა წყაროებში.

თავისი ფიზიკური არსით გაბნევის მრუდეები ახასიათებენ შემთხვევითი სიდიდის, ანუ პარამეტრის (ჩვენ შემთხვევაში შემოსავლის) გაბნევას (კონცენტრაციას) მისი განსაზღვრის არეში $0 \leq F \leq 1$. ამასთან კონცენტრაცია მკვეთრად იზრდება მცირე მიდამოში $F=1$ წერტილის მარცხნივ (სურ. 1ბ).

უნდა აღინიშნოს, რომ გაბნევის მრუდეებს აქვთ არსებითი მნიშვნელობა სოციალური პროცესების გააზრებისათვის, რომლებსაც ადგილი აქვთ როგორც ცალკე აღებულ ქვეყანაში, ისე მსოფლიო გაერთიანების შიგნით (იხილეთ ქვემოთ).

სურ. 1 ა–ზე მოცემულია ე.წ. *დაყოფის C წერტილი* კოორდინატებით (Q_0, F_0), რომელიც საზოგადოების ე.წ. *ორჯგუფიან მოდელს* ახასიათებს. ამ წერტილში მხები მრუდის მიმართ

პარალელურია OA დიაგონალის. მხების განტოლება განისაზღვრება პირველი წარმომებულით. ამიტომ, $F=F_0$ წერტილში პირველი წარმომებული ტოლია ერთის

$$Q'_0 = Q'(F_0) = 1 \quad (2)$$

წერტილი $F=F_0$ წარმოადგენს სწორედ საზოგადოების ორ ჯგუფად დაყოფის წერტილს. პირველი ჯგუფი იკავებს ინტერვალს $F_0 \leq F \leq 1$ მეორე კი ინტერვალს $0 \leq F \leq F_0$ მნიშვნელობა $Q'_0 = 1$ გამოსახულება (2), ტოლია პირველი წარმომებულის საშუალო მნიშვნელობის (Q'_{sas}). მართლაც, ერთის მხრივ განსაზღვრების თანახმად ინტეგრალი $Q'(F)$ –დან ტოლია 1–ის, რადგან

$$\int_0^1 Q'(F) dF = Q(F)|_0^1 = 1 \quad (3)$$

მეორეს მხრივ, ამ ინტეგრალის მნიშვნელობა ტოლი უნდა იყოს საშუალო მნიშვნელობის Q'_{sas} ნამრავლისა განსაზღვრების არის სიგანეზე (ტოლი $F=1$). ამიტომ (3)–ის შესაბამისად ადგილი აქვს იგივეობას: $Q'_{sas} \times 1 = 1$ ანუ $Q'_{sas} = 1$. ამგვარად, მხები გაბნევის მრუდის მიმართ C წერტილში კოორდინატებით (Q_0, F_0) პარალელური OA დიაგონალის (სურ. 1 ა), შეესაბამება პირველი წარმომებულის მნიშვნელობას სურ. 1 ბ–ზე, ტოლი საშუალო მნიშვნელობის, რომელიც თავის მხრივ ტოლი ერთის.

პირველ ჯგუფში, პირველი წარმომებული, რომელიც განსაზღვრავს გაბნევის მრუდის ზრდის სიჩქარეს, აღემატება საშუალო მნიშვნელობას, ხოლო მეორე ჯგუფში, ზრდის სიჩქარე ნაკლები საშუალო მნიშვნელობაზე, ტოლი ერთის. უფრო მეტიც, გაყოფის წერტილი $F=F_0$ ყოფს პარამეტრის მნიშვნელობას (ჩვენ შემთხვევაში შემოსავლის) ორ არედ (სურ. 1.ბ) : გადაჭარბების (ნამეტის) არედ და ჩამორჩენის (დანაკლისის) არედ. სურ. 1ბ–ზე ეს არეები დამტრახულია და მათი ფართობები ტოლია.

თუ გამოვაკლებთ საშუალო მნიშვნელობას, ტოლი 1–ის, პირველ წარმომებულს (შესაბამის არეებისთვის) ვიპოვიტ, რომ ინტეგრალები ტოლია:

$$\int_{F_0}^1 [Q'(F) - 1] dF = F_0 - Q_0 \quad (4)$$

$$\int_0^{F_0} [Q'(F) - 1] dF = -(F_0 - Q_0)$$

პირველ ჯგუფისათვის ($F_0 \leq F \leq 1$) ინტეგრალის მნიშვნელობა დადებითია, ხოლო მეორე ჯგუფისათვის $0 \leq F \leq F_0$ კი უარყოფითი. მოდულით ეს ინტეგრალები ტოლია. (4) ინტეგრალები დამოკიდებულია მხოლოდ დაყოფის წერტილის კოორდინატთა სხვაობაზე. ამ სხვაობას უწოდებენ *უთანაბრობის გრადიენტს*

$$E = F_0 - Q_0 \quad (5)$$

უთანაბრობის გაზრდისას, როცა გაზრდის მრუდი მიისწრაფის ქვედა მარჯვენა კუთხისკენ (სურ. 1ა), ანუ აბსოლუტური უთანაბრობისკენ, მაშინ $F_0 \rightarrow 1$ და $Q_0 \rightarrow 0$ ე.ი. $E=1$, და უთანაბრობის გრადიენტი მაქსიმალურია. პირიქით, უთანაბრობის შემცირებისას (აბსოლუტური თანაბრობის შემთხვევაში), გაზრდის მრუდი გარდაიქმნება OA დიაგონალად, ე.ი. $F_0=Q_0=0.5$ და $E=0$, ანუ უთანაბრობის გრადიენტი მინიმალურია ტოლი ნულის.

უთანაბრობის გრადიენტს აქვს დიდი მნიშვნელობა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების გასაგებად. ერთის მხრივ, იგი ტოლია განმსაზღვრელი პარამეტრის (ჩვენ შემთხვევაში შემოსავლის) ჯამური (კუმულატიური) მნიშვნელობის პირველი ჯგუფისათვის, რომელიც *აღმატება* საშუალო მნიშვნელობას. მეორეს მხრივ, უთანაბრობის გრადიენტი ტოლია ჯამური (კუმულატიური, ინტეგრალური) პარამეტრის მნიშვნელობისა, რომელიც *აკლია* მეორე ჯგუფს საშუალო მნიშვნელობამდე, დასკვნა მარტივია: *პირველი ჯგუფისათვის პარამეტრის (ჩვენ შემთხვევაში – შემოსავლის) ნამეტი ტოლია, მეორე ჯგუფისათვის მისი დანაკლისის*.

თუ განვიხილავთ შემოსავალს, გამოდის, რომ ერთის მხრივ, პირველი (ანუ მდიდრების) ჯგუფისათვის უთანაბრობის გრადიენტი E ტოლია შემოსავლის ინტეგრალური (ჯამური) ნამეტის საშუალო მნიშვნელობაზე, ამიტომ საზოგადოების განვითარებაზე ინვესტიციების გაღებას შესძლებენ სწორედ საზოგადოების ეს წევრები, რომელთაც შემოსავალი აქვთ რაღაც დონეზე მაღლა (ჩვენ შემთხვევაში საშუალო დონეზე მაღლა). ამდენად უთანაბრობის გრადიენტი E განსაზღვრავს ინვესტიციების მაქსიმალურ დონეს. ცხადია, რომ ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა $F_0 \rightarrow 1$ და $Q_0 \rightarrow 0$, ხოლო $E \rightarrow 1$ -კენ.

მეორეს მხრივ, მეორე (ღარიბი) ჯგუფისათვის უთანაბრობის გრადიენტის E -ს უარყოფითი მნიშვნელობა მიანიშნებს შემოსავლის ინტეგრალურ (ჯამურ) დანაკლისზე, რაც თავის მხრივ იწვევს ღარიბებში შურს, რომელიც შესაძლოა გადაიზარდოს მდიდრების მიმართ სიძულვილში და კონფლიქტებში. სიძულვილის დონე ბუნებრივია კავშირშია უთანაბრობის გრადიენტის E -თან. ანუ როცა ადგილი აქვს აბსოლუტურ ეკონომიკურ უთანაბრობას

$F_0 \rightarrow 1, Q_0 \rightarrow 0$, ასეთი შური და სიძულვილი მაქსიმალურია, ხოლო როცა $F_0=Q_0=0,5$, ანუ ადგილი აქვს აბსოლუტურ ეკონომიკურ თანასწორობას, შური და სიძულვილი მინიმალურია (თეორიულად 0-ის ტოლი). აქ ჩატარებული მოკლე განხილვა ერთი მხრივ მარტივია და ლოგიკური, თუმცა შეიძლება უტრირებულად და ზედმეტად გამარტივებულად გვეჩვენოს, ცხოვრების სირთულის და მრავალფეროვნების გამო [5].

დაუბრუნდეთ ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტ φ -ს გამოსახულებას (1), რომელიც გაბნევის მრუდის მეორე და პირველი წარმოებულის ფარდობას წარმოადგენს. ცნობილია, რომ გაბნევის მრუდის პირველი წარმოებული (იხ. დანართი 1, [1]) შეიძლება გამოისახოს როგორც

$$Q'(F) = \frac{x}{M_1} \quad (6)$$

ანუ ტოლია განსახილველი პარამეტრის (ჩვენ შემთხვევაში შემოსავლის) ფარდობისა (ნორმირებისა) შემოსავლის საშუალო M_1 , მნიშვნელობით. ასეთ შემთხვევაში მეორე წარმოებული შემოსავლიდან $Q''(F)$. ახასიათებს შემოსავლის ნამეტს შესაბამის გაბნევის $Q(F)$ მრუდისათვის, რაც თავის მხრივ ახასიათებს ქვეყნის ეკონომიკურ სიტუაციას.

ამგვარად, ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი, $\varphi = Q''(F)/Q'(F)$ განსაზღვრავს შემოსავლის ფარდობით ნამეტს. შეიძლება ნაჩვენები იყოს, რომ ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი არაწრფივად მკვეთრად იზრდება F -ის ზრდასთან ერთად [1], ანუ მოსახლეობის (ან ქვეყნების) მდიდარი ნაწილის განხილვისას. ეს კი ნიშნავს შემოსავლის უფრო მაღალ ნამეტს დიდი შემოსავლების დროს და პირიქით, ანუ დასტურდება ცნობილი გამონათქვამი – „მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ღარიბები კი ღარიბდებიან.“

მაგალითის სახით განვიხილოთ შემოსავლების პარეტოს განაწილების კანონი, რომელიც მიჩნეულია ერთ-ერთ ფუნდამენტალურ კანონად ეკონომიკაში. ცნობილია [1], რომ პარეტოს განაწილებისათვის გაბნევის მრუდის გამოსახულება შემდეგია (აქ და შემდგომ ნიშანი „p“ პარეტოს კანონზე მიუთითებს) :

$$Q_p = Q_p(F) = 1 - (1 - F)^{\frac{\alpha-1}{\alpha}} \quad (7)$$

სადაც, α – პარეტოს განაწილების ხარისხის მაჩვენებელია. თვით ეს განაწილება თანამედროვე მათემატიკურ ლიტერატურაში [5] გამოისახება ალბათობის სიმკვრივის შემდეგი სახით

$$w_p(x) = \begin{cases} x^{\frac{\alpha}{\alpha-1}}, & x \geq 1 \\ 0, & x < 1 \end{cases} \quad (8)$$

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამოსახულებაში შემოსავალი (ან მისი შემცვლელი, მაგალითად მომსახურების ესა თუ ის მოცულობა) x -ი, ფარდობითი სიდიდეა $x=r/r_{\min}$ (სადაც r რეალური შემოსავალია, r_{\min} – კი, მოსახლეობის შემოსავლის ოფიციალური მინიმალური სიდიდე).

ხარისხის მაჩვენებელი α პარეტოს განაწილებაში იცვლება ძირითადად რამდენიმე ერთეულის ფარგლებში. თვით პარეტო ყველაზე მისაღებად მიიჩნევა სიდიდედეს $\alpha = 1,5$ [3].

პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდის (7) პირველი და მეორე რიგის წარმოებულები ტოლია

$$Q'_p(F) = \frac{dQ}{dF} = \frac{\alpha-1}{\alpha} (1-F)^{-\frac{1}{\alpha}} \quad \text{და} \quad Q''_p(F) = \frac{d^2Q}{dF^2} = \frac{\alpha-1}{\alpha} (1-F)^{-\frac{\alpha-1}{\alpha}} \quad (9)$$

ხოლო მათი ფარდობა იძლევა ამ განაწილებისათვის ე.წ. (ეკონომიკური) ზრდის კოეფიციენტის გამოსახულებას

$$\varphi_p = \frac{Q''_p(F)}{Q'_p(F)} = \frac{1}{\alpha(1-F)} \quad (10)$$

სურ. 2-ზე წარმოდგენილია ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტის φ_p -ს ცვლილების გრაფიკები პარეტოს განაწილებისათვის (ხარისხის α -მაჩვენებლის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის). გრაფიკები ცხადყოფს, რომ ზრდის კოეფიციენტი φ_p არაწრფივად მკვეთრად იზრდება F -ს ზრდასთან ერთად, ანუ მოსახლეობის (ან ქვეყნების) მდიდარი ნაწილის განხილვისას (რაზეც უკვე იყო საუბარი), რაც ნიშნავს შემოსავლების უფრო მაღალ ნამეტს, დიდი შემოსავლების დროს. რამდენადაც ზრდის კოეფიციენტი განსაზღვრავს შემოსავლის ფარდობით ნამეტს, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეკონომიკური სუბიექტი იქნება ეკონომიკურად აქტიური (და გაიღებს ინვესტიციებს) თუ ზრდის კოეფიციენტი $\varphi > 1$ და პირიქით, იქნება ეკონომიკურად პასიური (აპათიის მდგომარეობაში) და არ ჩადებს ინვესტიციებს თუ $\varphi < 1$

ამიტომ, დაუშვათ, რომ ზრდის კოეფიციენტის ზღვრული (გამყოფი) მნიშვნელობა $\varphi = 1$. ასეთი დაშვების შემთხვევაში (10)-დან მივიღებთ, რომ პარეტოს განაწილებისათვის F -ის ზღვრული მნიშვნელობა F_{p^*} ტოლი იქნება (აქ ნიშნაკი “*” - ზღვრულს ნიშნავს),

$$F_{p^*} = \frac{\alpha - 1}{\alpha} = \frac{1}{M_1} \quad (11)$$

რადგან შეიძლება ნაჩვენები იყოს, რომ პარეტოს განაწილებისთვის საშუალო მნიშვნელობა

$$M_1 = \frac{\alpha - 1}{\alpha} = \frac{1}{M_1} \quad (12)$$

ამგვარად, ზღვრული მნიშვნელობა F_{p^*} ყოფს ზრდის კოეფიციენტის ρ -ს განსაზღვრის არეს ორ ქვეარედ: როცა $F > F_{p^*}$ და ზრდის კოეფიციენტი $\rho > 1$ და როცა $F < F_{p^*}$ და შესაბამისად $\rho < 1$. ამიტომ პირველ შემთხვევაში ეკონომიკური სუბიექტი იქნება *ეკონომიკური აქტივობის მდგომარეობაში*, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – *ეკონომიკური აპათიის (სტაგნაციის) მდგომარეობაში*.

სანამ გადავიდოდეთ საზოგადოების ეკონომიკური აქტივობის და ეკონომიკური აპათიის საკითხის ანალიზზე განვიხილოთ საზოგადოების ალტერნატიული დაყოფის ე.წ. *დუალური მოდელი*, რომელსაც ადგილი აქვს გაბნევის მრუდის პოლიგონალური აპროქსიმაციის დროს წრფის (პოლიგონის) ორი OD და DA მონაკვეთებით (სურ. 3). ამ შემთხვევაში D წერტილი იმყოფება გაბნევის მრუდის და HB- დიაგონალის გადაკვეთაზე. D წერტილი ამ შემთხვევაში (სურ. 3) ისე როგორც C წერტილი (სურ. 1 ა-ზე) წარმოადგენს საზოგადოების დაყოფის წერტილს ორ ჯგუფად. დუალური მოდელის განხილვისას შემოაქვთ *დაყოფის კოეფიციენტი* ρ -ს ცნება, რომელიც წარმოადგენს იმ ერთადერთ პარამეტრს, რომელიც განსაზღვრავს გაბნევის მრუდის ძირითად მახასიათებლებს.

ასეთი *მოდელის დუალობა* განისაზღვრება იმით, რომ დაყოფის კოეფიციენტს ρ -ს და მისი დანამატს $(1-\rho)$ -ს აქვთ *გაორებული (დუალური)* ხასიათი: ისინი განსაზღვრავენ სისტემის ეკონომიკურ მდგომარეობას (როდესაც ვიხილავთ შემოსავლების განაწილებას) და ამავდროულად სტრატეგიკაციურ მდგომარეობას (მოსახლეობის ან ქვეყნების რაოდენობას ჯგუფებში). ეს განპირობებულია გაბნევის მრუდის პოლიგონალური აპროქსიმაციის სრული სიმეტრიით HB დიაგონალის მიმართ. (სურ. 3). იმის გამო, რომ D წერტილი სურ. 3-ზე ახლოა დაყოფის C (Q₀, F₀) წერტილთან (სურ. 1ა-ზე) *მიახლოებით პოლიგონალური აპროქსიმაცია* იძლევა კარგ შედეგებს (სიზუსტის მხრივ). კერძოდ მიახლოებით:

$$F_0 \cong 1 - \rho, \quad Q_0 \cong \rho, \quad a \cong \frac{1 - \rho}{1 - 2\rho}, \quad \rho \cong \frac{a - 1}{2a - 1}$$

$$K_G \cong E = K_G^* = E^* = 1 - 2\rho \quad (13)$$

ცხადია, რომ საზღვარი საზოგადოების მდიდარ და ღარიბ ჯგუფებს შორის (დუალური მოდელის შემთხვევაში) აისახება გამოსახულებით

$$F_{od} = 1 - \rho \quad (14)$$

ხოლო საზღვარი აქტიურობისა და პასიურობის (აპათიის) არეებს შორის (დუალური მოდელისას), განისაზღვრება (15) გამოსახულებით, რომელიც მიიღება თუ ჩავსვავთ (11)-ის გამოსახულებაში $F_{p^*} = (\alpha - 1)/\alpha$ (13)-დან α -ს მნიშვნელობას $\alpha \cong \frac{1 - \rho}{1 - 2\rho}$ საბოლოოდ გვაქვს

$$F_{*d} = \frac{\rho}{1 - \rho} \quad (15)$$

(14) და (15) –ში ქვედა ნიშანი „d“ მიუთითებს „დუალურ“ მოდელზე.

სურ. 1.ბ-ზე და სურ. 3.ბ-ზე მოცემულია საზოგადოების დაყოფის ზემოთ მოყვანილი ორ ჯგუფიანი და დუალური მოდელებისთვის - შემოსავლების განაწილების განხილვისას მდიდარ და ღარიბ ჯგუფებისათვის განსახილველი პარამეტრის (შემოსავლის) საშუალო სიმკვრივეები, შესაბამისად ორჯგუფიანი მოდელისთვის: $Q_1' = \frac{1 - Q_0}{1 - F_0}$ და $Q_2' = \frac{Q_0}{F_0}$ და დუალური მოდელისათვის კი: $Q_1' = (1 - \rho)/\rho$ და $Q_2' = \rho/(1 - \rho)$. ამ სიმკვრივეების ფარდობა შესაბამის მოდელებისათვის იძლევა სათანადო წყვეტის (დაყოფის) კოეფიციენტებს (ჩვენს შემთხვევაში ეკონომიკური ხასიათის).

დავუბრუნდეთ საზოგადოების ეკონომიკური აქტივობის და ეკონომიკური აპათიის საკითხს. სურ. 4-ზე, ზედა ნახევარზე წარმოდგენილია საზოგადოების ე.წ. *ორჯგუფიანი მოდელისათვის* F_{p^*} -ის (საზღვარი ეკონომიკურად აქტიურ და პასიურ სუბიექტებს შორის) და F_{p0} -ის (საზღვარი მოსახლეობის მდიდარ და ღარიბ ჯგუფებს შორის) დამოკიდებულების გრაფიკები. პარეტოს განაწილების ხარისხის α მაჩვენებელთან მიმართებაში აგებული (11) და (16) გამოსახულებების მიხედვით. ეს უკანასკნელი, მიღებულია მე(9) განტოლებებიდან

პირველის 1-თან განტოლებით, რადგან დაყოფის წერტილში C (Q_0, F_0), $Q'(F) = 1$, ანუ

$$\frac{\alpha - 1}{\alpha} (1 - F)^{-\frac{1}{\alpha}} = 1, \text{ აქედან}$$

$$F_{p0} = 1 - \left(\frac{\alpha - 1}{\alpha} \right)^\alpha \quad (16)$$

α -ხარისხის მაჩვენებელი იცვლება ფართო დიაპაზონში 1-დან 10-მდე. საჭიროა აღინიშნოს, რომ როცა $\alpha = 10$ პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდი მცირედად თუ განსხვავდება აბსოლუტური ეკონომიკური თანაბრობის წრფისაგან (დიაგონალი OA სურ. 1ა-ზე), ამიტომ მეტი სიცხადისთვის (სურ. 4-ზე) ორდინატთა ღერძზე α გადაზომილია ლოგარითმულ მასშტაბში რათა α -ს მცირე მნიშვნელობები გრაფიკზე უფრო “გაწელილი” იყოს.

F_{p0} – მრუდის მარცხნივ განლაგებულია მოსახლეობის პირველი ჯგუფის (მდიდრების) განსაზღვრის არე, ხოლო მის მარჯვნივ განლაგებულია მეორე ჯგუფის (ღარიბების) განსაზღვრის არე. თავის მხრივ F_{p^*} მრუდის მარჯვნივ განლაგებულია ეკონომიკური აქტივობის ზონა, მის მარცხნივ კი ეკონომიკური აპათიის ზონა. ორივე მრუდი გადაიკვეთება როცა $F_{p0} = F_{p^*}$ და $\alpha = 3,25$. ამგვარად, სურ. 4-ზე წარმოდგენილია ოთხი – თანაკვეთაში არ მყოფი – უბანი, (აღნიშნული რომაული ციფრებით): I – მდიდარი აქტიურები, II – ღარიბი აქტიურები, III – ღარიბი პასიურები და IV – მდიდარი პასიურები.

სურ. 4-ის ზედა ნახევრის ანალიზიდან შეიძლება ორი დასკვნის გაკეთება: პირველი – შემოსავლების განაწილების განსაკუთრებით დიდი უთანაბრობისას (როცა $1 < \alpha < 1,5$) არსებობს მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოების აქტიური წევრებისა, რომლებიც მიეკუთვნებიან ღარიბების ჯგუფს (უბანი – II). იმის გამო, რომ ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში ჯამურად ეკონომიკური შური (და შესაბამისად სიძულვილი მდიდრების მიმართ) დიდია, უნდა ვივარაუდოთ, რომ საზოგადოება ასეთ მდგომარეობაში ვერ ჩაითვლება სტაბილურად.

მეორე – შემოსავლების განაწილების უთანაბრობის შემცირებისას (ანუ α -ზრდისას), იზრდება საზოგადოების პასიური წევრების წილი, ე.ი. საზოგადოებაში იზრდება აპათია (უბნები III და IV). ამასთან აპათიის არეში ხვდება მდიდრების (პირველი) ჯგუფის ნაწილიც კი, ანუ საზოგადოება $\alpha \geq 3,25$ -ის მერე, თანდათანობით ჩაცოცდება უძრობისკენ. ამიტომ,

შედარებით მდგრადი მდგომარეობა საზოგადოებაში შეიძლება იყოს როცა α დაახლოებით იცვლება საზღვრებში $1,5 < \alpha < 2,5$.

ამგვარად, სურ. 4 ახასიათებს საზოგადოების მდგომარეობას შემოსავლების განაწილების ცვლილების ხასიათის მიხედვით.

სურ. 4-ზე, ქვედა ნახევარზე დატანილია საზოგადოების ე.წ. დუალური დაყოფის შემთხვევისათვის (14) და (15) გამოსახულების შესაბამისი გრაფიკები, რის შედეგად ვიღებთ (ისე როგორც სურ. 4-ის ზედა ნახევარზე) ოთხ არათანაკვეთაში მყოფ არეს (უბანს). სხვაობა სურ. 4-ის ზედა და ქვედა ნაწილებს შორის მდგომარეობს არაწრფივ ჩანაცვლებაში α -სი ρ -თი (რომელიც იცვლება დიაპაზონში $0 \leq \rho \leq 0,5$. მარტივი მიახლოებითი თანაფარდობები და სურ. 4-ის ქვედა ნაწილი საშუალებას იძლევიან მიღებულ იქნას საგულისხმო დასკვნები, რისთვისაც განვიხილოთ

მასზე ოთხი გამორჩეული P1, P2, P3 და P4 წერტილები.

- წერტილი „P1“ – რომელიც მდებარეობს F_{od} და F_{*d} გრაფიკების თანაკვეთაზე, ანუ ამ წერტილში $F_{od} = F_{*d}$ ე.ი. (14) და (15)-ის გათვალისწინებით $1 - \rho = \frac{\rho}{1-\rho}$, ანუ

$\rho^2 - 3\rho + 1 = 0$. ამ განტოლების ჩვენთვის მისაღები ამონახსნი $\rho=0,38$, (რაც შეესაბამება სურ. 4-ზე ამ თანაკვეთის წერტილის ორდინატს ρ ღერძე), ანუ წერტილი „P1“ – ხასიათდება იმით, რომ მდიდრების რიცხვი ტოლია ეკონომიკურად აქტიური სუბიექტების (ადამიანების) რიცხვის. ღარიბები იმყოფებიან პასიურ მდგომარეობაში, ხოლო როცა $\rho > 0,38$ მდიდრების ნაწილიც ხდება პასიური, ანუ საზოგადოება თანდათანობით „ჩაცოცდება“ უძრაობაში და ადგილი ექნება აპათიას. ამგვარად, შემოსავლების განაწილების უთანაბრობის შემდგომ შემცირებას ($\rho > 0,38$) უბრალოდ აზრი არ აქვს. ამასთან, პარეტოს განაწილებისთვის, (13)-ის თანახმად გვაქვს: $\alpha=2.6$ და ჯინის კოეფიციენტი $K_G^* = 0.24$;

- წერტილი „P2“ სურ. 4-ზე შეესაბამება აქტიური ადამიანების (ეკონომიკური სუბიექტების) ტოლობის მთელი მოსახლეობის ნახევართან, ანუ $F=0.5$. ამასთან $\rho=0.33$, ხოლო $\alpha=2$ და $K_G^*=0.34$. ამ შემთხვევაში აქტიურთა რიცხვი მდიდართა შორის ტოლი იქნება $\rho/0.5=0.33/0.5=0.66=66\%$, ხოლო ღარიბი აქტიურების რიცხვი კი - 34% -ის. ამიტომ თანაფარდობა მდიდარ აქტიურებს და ღარიბ აქტიურებს შორის იქნება 2:1. გეომეტრიულად ეს წარმოადგენს ორი მონაკვეთის ფარდობას. BC:AB=2:1 (სურ. 4-ის ქვედა ნახევარი). შედარებისთვის - ორჯგუფიანი მოდელის შემთხვევაში (სურ 4-ის ზედა ნახევარი), „P2“

წერტილის მიმართ სარკულად განლაგებულ P2' წერტილში ($\alpha=2$) მდიდარი და ღარიბი აქტიურების რაოდენობა ტოლია (ანუ $A'B' = B'C'$);

- წერტილი „P3“-ის შემთხვევაში მდიდარი და ღარიბი აქტიური მოსახლეობის (ეკონომიკური სუბიექტების) რიცხვი ტოლია (მონაკვეთები ST=TR ტოლია, სურ. 4-ის ქვედა ნახევარზე), რაც მთელი მოსახლეობის დაახლოებით 60%-ს შეადგენს (რადგან S წერტილის აბსცისა მიახლოებით ტოლია 0.4, ანუ $1-0.4=0.6$ ე.ი. 60%). ამასთან $\rho=0.28$, ხოლო $\alpha=1.6$ და $K_G^*=0.44$

- წერტილი „P4“-თვის $\rho=0.2$, რაც შეესაბამება ე.წ. „20/80“-ის წესს“. ამ დროს მდიდრების რიცხვი ტოლია 20%-ის, ხოლო აქტიური მოსახლეობის წილი მთლიანობაში იქნება: $1 - F_* = 75\%$, (რადგან „P4“ წერტილიდან გტარებული ჰორიზონტალი კვეთს F_* გრაფიკს M წერტილში, რომლის აბსცისა $F=0.25$, ანუ $1-0.25=0.75=75\%$). რადგან „P4“ წერტილში დაშვებული ვერტიკალი (F ღერძისკენ) კვეთს მას ნიშნულზე $F=0.8$, მაშინ მდიდარი აქტიურების ნაწილი იქნება $1-0.8=0.2$ ეს კი შეადგენს მთლიან აქტიურთა რიცხვის, ანუ 0.75 – ის 27% – ს. ე.ი.

დარჩენილი 63% იქნებიან ღარიბი აქტიურები. ამიტომ ფარდობა ღარიბ აქტიურებსა და მდიდარ აქტიურებს შორის ტოლია $63/27=2.3$ (გეომეტრიულად ეს MN და NK მონაკვეთების ფარდობაა სურ. 4-ზე). ρ -ის შემდგომი შემცირებისას $\rho<0.2$ -ზე. ღარიბი აქტიურების რიცხვი საგრძნობლად გადაამეტებს მდიდარ აქტიურების რიცხვს. ეს კი სერიოზული სოციალური კონფლიქტის მაპროვოცირებელია. ხოლო თუ მხედველობაში გვაქვს მთლიანად მსოფლიო გაერთიანება, საქმე გვექნება უკვე გლობალურ სერიოზულ მოვლენებთან.

ცხრილ 1-ში თავმოყრილია ძირითადი მონაცემები ოთხივე განხილული წერტილისათვის. ამ ცხრილში მოცემულია ρ , α და K_G^* -ს მნიშვნელობები. აგრეთვე η -ს სიდიდეები, რომელიც წარმოადგენს ფარდობას მდიდრების საშუალო შემოსავლის ღარიბების საშუალო შემოსავალთან.

ცხრილი 1

წერტილის ნომრები	წერტილის დახასიათება	ρ	α	K_G^*	H
P1	აქტიურების რიცხვი ტოლია მდიდრების რიცხვის	0.38	2.6	0.24	2.7

P2	აქტიურების რიცხვი ≈ 0.5 , ანუ ტოლია მთელი მოსახლეობის ნახევარის	0.33	2	0.34	4
P3	აქტიური მდიდრების და აქტიური ღარიბების რიცხვი ტოლია	0.28	1.6	0.44	6.6
P4	20/80 – ის წესი	0.2	1.3	0.6	16

$$\eta = \frac{1 - Q_0}{1 - F_0} \cdot \frac{Q_0}{F_0} \approx \left(\frac{1 - \rho}{\rho} \right)^2 \quad (17)$$

(17)–ის გამოყენებისას მხედველობაში მიღებულია მიახლოებით გამოსახულებები დუალური მოდელის (სურ. 3) მიხედვით:

$$F_0 \cong F_d = 1 - \rho \quad \text{და} \quad Q_0 \cong Q_d = \rho$$

როცა $\rho \rightarrow 0, \eta \rightarrow \infty$ და როცა $\rho \rightarrow 0.5, \eta \rightarrow 1$, ანუ რაც ნაკლებია დაყოფის კოეფიციენტი ρ მით მეტია η ე.ი. განსხვავება მოსახლეობის მდიდარ და ღარიბ ჯგუფების საშუალო შემოსავლებს შორის

სურ. 4 საშუალებას იძლევა გავიაზროთ პირველ მიახლოებაში საზოგადოებაში (ქვეყანაში და მსოფლიო გაერთიანებებში) მიმდინარე პროცესები შემოსავლების გადანაწილების დროს, რაც განპირობებულია დაყოფის კოეფიციენტ ρ -ით. ამ სურათზე გაერთიანებულია შესაბამისი გრაფიკები (და სათანადო არეები) საზოგადოების დაყოფის ორ ჯგუფიანი (შემოსავლების პარეტოს განაწილების შემთხვევაში) და ე.წ. დუალური მოდელებისათვის. ამასთან ისინი გაერთიანებული არიან F (აბსცისათა) ღერძით, რომლის მიმართ სარკულად არიან განთავსებული. სურ. 4-ზე ყვითელი ფერით მონიშნულია აქტიურობის ზონები ორივე მოდელისთვის, ხოლო წინწკლებით მონიშნულია მდიდრების ზონები.

როგორც ცნობილია, ρ იცვლება საზღვრებში $0 \leq \rho \leq 0.5$, როცა $\rho=0$ და $F=1$ გვაქვს *აბსოლუტური ეკონომიკური უთანაბრობის (AENE)* შემთხვევა (სურ. 4-ზე აბსცისათა ღერძის განაპირა მარჯვენა წერტილი). მეორეს მხრივ, როცა $\rho=0.5$ გვაქვს *აბსოლუტური ეკონომიკური თანაბრობის (AEE)* შემთხვევა (OA წრფე სურ. 1 ა და სურ. 3-ზე), როდესაც ზღვარი მდიდრებსა და ღარიბებს შორის იშლება.

ρ -ს ზრდისას 0–დან 0,5–მდე ხდება შემდეგი. *ჯერ ერთი* მცირდება ღარიბთა რიცხვი. (14) – ის შესაბამისად ეს არის გრაფიკი $F_0 = 1 - \rho$ სურ. 4-ზე. *მეორე* – მცირდება საშუალო შემოსავლების ფარდობა (17) – ის თანახმად. როცა $\rho \rightarrow 0$, ფარდობა $\eta \rightarrow 0$, ხოლო როცა

$\rho \rightarrow 0.5$, ეს ფარდობა ტოლია საშუალო მნიშვნელობის $\eta=1$ და ვართ აბსოლუტური ეკონომიკური თანაბრობის ხაზზე (OA დიაგონალი სურ. 1ა და სურ. 3). ეს ორივე ფაქტორი დადებითია, რომ არა ის ფაქტი, რომ ρ -ს ზრდასთან ერთად მცირდება საზოგადოების აქტიურ წევრთა რაოდენობა (18)-ის თანახმად

$$1 - F_* = 1 - \frac{\rho}{1 - \rho} = \frac{1 - 2\rho}{1 - \rho} \quad (18)$$

როცა $\rho=0$, საზოგადოების აქტიურ წევრთა რიცხვი მაქსიმალურია და ტოლია 1-ის, ხოლო როცა $\rho=0.5$ ტოლია ნულის ($1 - F_* = 0$). ამიტომ როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო ზევით, უკვე როცა $\rho \geq 0.38$ საზოგადოება მთლიანობაში გადადის უძრაობაში – აპათიაში. ამასთან საზოგადოების აქტიურ წევრთა რიცხვი (ρ – ზრდის კვალობაზე) მცირდება უფრო სწრაფად, ვიდრე ღარიბთა რიცხვის შემცირება.

მართლაც, (14)-ის თანახმად ღარიბთა რიცხვი ტოლია $F_0 = 1 - \rho$ (იხ. სურ. 4, დუალური მოდელის შემთხვევა) და შესაბამისად მისი პირველი წარმოებული $\frac{dF_0}{d\rho} = -1$. (18) – დან ვიპოვით, რომ პირველი წარმოებული აქტიურ წევრთა რიცხვიდან ტოლია:

$$\frac{d(1 - F_*)}{d\rho} = \frac{1}{(1 - \rho)^2} \quad (19)$$

ამდენად, როცა $\rho > 0$, ყოველთვის მოდული $\frac{d(1 - F_*)}{d\rho} > \frac{dF_0}{d\rho} = -1$

სწორედ ამიტომ, საზოგადოების აქტიურ წევრთა რიცხვი შემცირდება უფრო სწრაფად, ვიდრე ღარიბთა რიცხვი.

თავის მხრივ, როცა $\rho < 0.2$ საზოგადოების ღარიბ-აქტიურ წევრთა რიცხვმა შესაძლოა საგრძნობლად გადააჭარბოს საზოგადოების მდიდარ – აქტიურ წევრების რიცხვს. ასეთ ვითარებაში, სიღარიბისა და სიდუხჭირის ზეგავლენით, საზოგადოების ღარიბმა-აქტიურმა წევრებმა შეიძლება მოითხოვონ შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილება, რასაც ისტორიაში არაერთხელ ჰქონდა მაგალითები. ასე წარმოიშვება სამოქალაქო ომები და რევოლუციები (კონტრრევოლუციები) ცალკეული ქვეყნების შიგნით და ომები სხვადასხვა ქვეყნებს შორის.

ამგვარად, როცა $p > 0.38$ საზოგადოება თანდათან ინაცვლებს უძრაობისკენ–*აპათისკენ*, ხოლო როცა $p < 0.2$ -ზე საზოგადოებაში შეიძლება წარმოიშვას *კრიზისული სიტუაციები*. შესაბამისად, საზოგადოებაში „შედარებითი სტაბილურობის“ ზოლად (სოციალური მდგომარეობის ჰარმონიზაციის თვალსაზრისით) დაყოფის კოეფიციენტის p -ს (და პარეტოს განაწილების ხარისხის მაჩვენებლის α -ს ცვლილებისას, შეიძლება მივიჩნიოთ მათი მნიშვნელობების დიაპაზონი $0.2 < p < 0.38$ (სათანადოდ, დაახლოებით $1.3 < \alpha < 2.6$). ამასთან, ყველაზე ჰარმონიულად შეიძლება მივიჩნიოთ მნიშვნელობა $p \approx 0.33$ და $\alpha \approx 2$.

ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ გაბნევის მრუდეების მათემატიკური აპარატი საშუალებას იძლევა ობიექტურად შესწავლილ იქნას შემოსავლების განაწილების მნიშვნელოვანი საკითხები, რაც საზოგადოების სტაბილური, ჰარმონიული განვითარების საწინდარია. ამასთან მიღებული შედეგები და მოსაზრებები უნდა ჩაითვალოს პირველ მიახლოებად, რამდენადაც რეალური ცხოვრება და სოციალური – ეკონომიკური ურთიერთობები ძალიან რთულია და მრავალფეროვანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Busino, G. (1965). Presentation in “*Vilfredo Pareto, Ecritic sur la courbe de la repartition de la riehesse*”, Geneva, Librairie Droz.
2. Kendall, M., & Stuart, A. (1962). *The Advance Theory of Statistics*. V.1. Distribution Theory. London: Griffin, G., & Co.
3. Lezhava, G., & Butskhrikidze, D., (2012). *Digital Divide in the Global Information Society and its Measurement with Adequate Mathematical Methods*. Tbilisi: Caucasus University`s Scientific Papers.
4. Lezhava, G., & Lezhava, B., (2013). *The scattering curve and its derivative in the process of competition study*. Tbilisi: Caucasus University`s Scientific papers.
5. Varakin, L.E. (2004). *Digital Divide in the Global Information Society*. Moscow: Publication of ITA.

საზოგადოებაში ეკონომიკური აქტივობის და ეკონომიკური აპათიის საკითხის
განხილვა გაბნევის მრუდეების მათემატიკური აპარატის საშუალებით

გურამ ლეჟავა

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

ბორის ლეჟავა

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

კავკასიის უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტის გამოყენება (რომელიც მიიღება შემოსავლების განაწილების გაბნევის მრუდის პირველი და მეორე რიგის წარმოებულების ფარდობის სახით), პირველ მიხლოებაში - მათემატიკური თვალსაზრისით მარტივად და ადეკვატურად - საზოგადოების *ეკონომიკური აქტივობისა და ეკონომიკური აპათიის* ზონების საჩვენებლად. ამასთან, საილუსტრაციოდ მოცემულია საზოგადოების ეკონომიკური დაყოფის ე.წ. *დუალური და ორჯგუფიანი მოდელები* (ამ უკანასკნელის შემთხვევაში, *პარეტოს* განაწილების გამოყენებით), რომლებიც საშუალებას იძლევიან ერთ სიბრტყეზე გრაფიკულად წარმოვადგინოთ თანაკვეთაში არ მყოფი ოთხი ზონა (არე): *მდიდარი აქტიურების, მდიდარი პასიურების, ღარიბი აქტიურებისა და ღარიბი პასიურების* - ეკონომიკური თვალსაზრისით. ანუ, შეიძლება ითქვას წარმოდგენილი სურათი ახასიათებს საზოგადოების მდგომარეობის, შემოსავლების განაწილების ცვლილებების ხასიათის მიხედვით. გრაფიკებზე განხილულია სპეციფიკური წერტილები და ანალიზის შედეგები თავმოყრილია შესაბამის ცხრილში. ნაჩვენებია აგრეთვე, საზოგადოების სოციალური მდგომარეობის ჰამორნიზაციის თვალსაზრისით „*შედარებითი სტაბილურობის*“ ზონა, ე.წ. *დაყოფის კოეფიციენტ ρ -ს* და *პარეტოს განაწილების ხარისხის მაჩვენებლის α -ს* ცვლილებისას.

Discussion of the Economic Activity and Economic Apathy in the Public by Means of the
Mathematical Apparatus of Scattering Curves

Guram Lezhava

Doctor of Science, Professor

Boris Lezhava

Doctor of Science, Professor

Caucasus University

Abstract

The article discusses the use of economic growth factor (which is produced as the ratio of the first and second order derivatives of the income distribution scattering curve), to a first approximation – from the mathematical point of view easily and adequately – to demonstrate the public economic activity and economic apathy. In addition, the economic division of society the so called dual and two-group models (in the latter case, using the Pareto distribution), is provided which enables to represent graphically on one plane the four not intersected zones (areas): of the rich activity, rich passivity, poor activity and poor passivity - in economic terms. That is to say the picture characterizes the status of society by the nature of changes in the income distribution. The specific points are discussed on diagrams and the results of the analysis are concentrated in the specific table. There is also shown the area of “relative stability” in terms of harmonization of the social status of the society in case of changes of the so-called divide coefficient ρ and exponent α of Pareto distribution.

გარდამავალი პერიოდის ინფლაციური პროცესების თავისებურებანი
პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე)



თამაზ აქუბარდია

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

გამოჩენილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ირვინგ ფიშერმა გამოიყვანა ფულის რაოდენობრივი ფორმულა, რომელიც გვიჩვენებს დამოკიდებულებას ქვეყნის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ფულის რაოდენობასა და ფასებს შორის. ამ ფორმულის თანახმად, თუ დროის გარკვეულ პერიოდში ფულის თითოეული ერთეული საშუალოდ აკეთებს V რაოდენობის ბრუნს, მაშინ მიმოქცევაში არსებული ფულის მინიმალური რაოდენობა - M გამოითვლება ტოლობიდან:

$$M \cdot V = P \cdot Y .$$

ეს, თავისი ფორმით, გენიალურობამდე მარტივი ფორმულა, ძალიან დამაჯერებელი სახით გვიჩვენებს, რომ, თუ დროის გარკვეულ პერიოდში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფიქსირებული სიდიდისას, ასევე ფიქსირებულია ფულის ბრუნვის საშუალო სიჩქარე, მაშინ მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ზრდა გამოიწვევს ფასების ზრდას საქონელზე და მომსახურებაზე.

აქედან გამომდინარეობს ზედმიწევნით მნიშვნელოვანი დასკვნა: თუ მთავრობა თავისი ვალდებულებების შესასრულებლად „ფულის ბეჭდვის“ გზას აირჩევს, ამას ფასების საყოველთაო ზრდა, ანუ, ინფლაცია მოჰყვება.

მე-20 საუკუნის ეკონომიკური ისტორია იცნობს რამდენიმე მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკურ კრიზისებს, რომლებმაც დამანგრეველი გავლენა მოახდინეს არა მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებზე, არამედ საერთოდ მთელს მსოფლიოზე. მაგალითისათვის ევროპიდან დაწყებული და შემდეგ ამერიკის კონტინენტზე აგორებული უზარმაზარი ეკონომიკური კრიზისიც კმარა, რომელიც ეკონომიკურ ისტორიაში „დიდი დეპრესიის“ სახელით არის ცნობილი, ხოლო სულ უკანასკნელი - უკვე ამერიკიდან წამოსული 2005 წლის ფინანსური

კრიზისია, რომელიც სხვადასხვა შეფასებებით, მსოფლიოს 20-დან 40 ტრილიონამდე დოლარი დაუჯდა.

ამ გამოცდილების განზოგადების საფუძველზე განვითარებულმა ქვეყნებმა, განსაკუთრებით კი დღევანდელი მსოფლიოს უდავო ლიდერმა - ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მეტ-ნაკლები წარმატებით, ისწავლეს ინფლაციური პროცესების თავიდან აცილებისა და მისი ნეგატიური შედეგების მაქსიმალურად შემცირების გზები.

პირველ რიგში, ეს ეხება მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის მართვას. როგორც ეკონომიკური ლიტერატურიდან არის ცნობილი, მთავრობის მიერ მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის რეგულირების რამდენიმე აპრობირებული მეთოდი არსებობს. მათ შორის უმნიშვნელოვანესია - სამთავრობო ობლიგაციებისა და აქციების ღია ბაზარზე მათი ყიდვა-გაყიდვის გზით რეგულირება, საპროცენტო განაკვეთის სიდიდის ცვლილება და დისკონტის განაკვეთის რეგულირება.

როდესაც მთავრობას ფულის გარკვეული რაოდენობა სჭირდება თავისი ფუნქციების განსახორციელებლად, მას ამისთვის, როგორც წესი, სამი უმთავრესი საშუალება გააჩნია - გადასახადების აკრეფა, ფასიანი ქაღალდების გამოშვება და ფულის ბეჭდვა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა გვაქვს, ანუ ქვეყანა ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის, მაშინაც კი, ქვეყნის ეროვნული ბანკი, გარდა იმისა, რომ „მწყობრიდან გამოსული“ ფულადი ნიშნების შესაცვლელად ბეჭდავს ეროვნულ ვალუტას, იგი აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკას უზრუნველყოფს „ეკონომიკის ზრდის ტემპს პლუს ინფლაციის სიდიდე გაყოფილი ფულის ბრუნვის სიჩქარეზე“ სიდიდის ფულის ნიშნებით“. ანუ, პირველი მიახლოებით შეგვიძლია მივიღოთ, რომ მიმოქცევაში დამატებით გაშვებული ფულადი მასის ხვედრითი წილი ტოლია ეკონომიკის ზრდის ტემპისა და ინფლაციის ზრდის ტემპის ჯამისა. ეს სიდიდე ამერიკის შეერთებული შტატებისათვის წლიურად, როგორც წესი, 7%-ის ფარგლებში მერყეობდა.

ამგვარად, ეკონომიკაში არსებული ფულის მასა წლის განმავლობაში გარკვეულწილად განსაზღვრულია. ასევე, მეტნაკლებად ფიქსირებულია ამავე პერიოდში გადასახადების სახით შემოსული თანხები. ამ ორი სიდიდის ფიქსირებული მნიშვნელობების შემთხვევაში თითქოსდა ფასების ზრდას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს მთლად ასე არ არის.

ინფლაციური პროცესების მაკროეკონომიკური ანალიზის სისრულისათვის უნდა აღინიშნოს, რომ გარდა მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებებისა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ფულადი მასის ზრდით, არსებობს ინფლაციის წარმოშობის სხვა, შესაძლოა, არც თუ მთლად მაკროეკონომიკური პროცესებით განპირობებული მიზეზებიც.

ამ მიზეზებს შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მოთხოვნის ზრდით გამოწვეული ინფლაცია. მართლაც, თუ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ამ საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობის ზრდა, მაშინ ცხადია, მათზე ფასები გაიზრდება. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ფასების ზრდა არა მთლიანად ყველა საქონელზე და მომსახურებაზე, არამედ მის გარკვეულ ნაწილზე.

ასეთი შემთხვევის ყველაზე ნათელი მაგალითია ქვეყნის საომარ მდგომარეობაში ყოფნის პერიოდი. როდესაც ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია, სახელმწიფო შეკვეთები სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე იზრდება. შედეგად, ბევრი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც ადრე ფართო მოხმარების საგნებს აწარმოებდა, გადაერთვება სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე. საბოლოოდ, იმ საწარმოთა მუშაკების შემოსავლები, რომლებიც სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე მუშაობენ, მნიშვნელოვნად გაიზრდება, მაგრამ, ამასთან ერთად, შემცირდება ფართო მომსახურების საგნების წარმოება და ეს მაშინ, როდესაც მათზე მოთხოვნა იზრდება. ამის შედეგად, ცხადია, მოხდება ფასების ზრდა.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს ინფლაციური პროცესების წარმოშობის თავისებურებების ანალიზი, რომელიც გარდამავალი პერიოდის ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. ასეთ ეკონომიკებში ფასების ზრდის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სიდიდე მნიშვნელოვნად იზრდება. ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოზე, სადაც, როგორც შევარდნადის მმართველობის, ასევე, განსაკუთრებით ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, კორუფციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის დროში, და დღევანდელი ხელისუფლების პირობებშიც, ერთის მხრივ, გაიზარდა საბიუჯეტო შემოსავლები, რამაც სახელმწიფოს შესაძლებლობა მისცა უფრო დიდი ხარჯები გაეწია სოციალური სფეროს დაგროვილი პრობლემების გადასაჭრელად, მეორეს მხრივ, კი გამოიწვია ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების მნიშვნელოვნად შემცირება, თუმცა, როგორც უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, წინა ხელისუფლების პირობებში მოხდა ამ უკანასკნელის ჩანაცვლება ე.წ. „ელიტარული კორუფციით“.

2005 წლიდან დაწყებული მარტო გზების შეკეთებასა და ახალი გზატკეცილების მშენებლობაზე დედაქალაქის მასშტაბით ყოველწლიურად დაახლოებით 80-100 მლნ ლარი იხარჯებოდა და დაახლოებით იმდენივე ქვეყნის დანარჩენ რეგიონებში. ტემპები არ შემცირებულა ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგაც. ცხადია, ასეთი შეკვეთები იმ ფორმებში დასაქმებულ მუშაკთა შემოსავლებს ზრდიდა, რომლებიც გზების მშენებლობაზე გამართულ ტენდერებში იმარჯვებდნენ.

ცხადია, თუ ეს ფორმები ადგილობრივია, მაშინ, მიღებული შემოსავლები სამომხმარებლო ბაზარზე ერთობლივ მოთხოვნას გაზრდის, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ფასების ზრდას. მეორე შემთხვევაში, თუ ეს ფორმები უცხოურია, მაშინ, მათ ცხადია, უცხოური ვალუტის სახით სურთ თავიანთი შემოსავლების უდიდესი ნაწილის გატანა, რაც ზრდის დოლარზე მოთხოვნას და იწვევს ლარის კურსის დაწევას. ანუ, არაპირდაპირ მოქმედებს ლარის კურსის დევალვაციაზე დოლარის მიმართ.

ფასების ზრდა, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შესაძლებელია გამოწვეული იყოს საქონლის და მომსახურების წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ზრდით. ამის მაგალითებია, საბაზრო ძალაუფლების ზრდის შედეგად მონოპოლიების მიერ ფასების მომატება.

რადგანაც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, როგორც წესი, ბიზნესი სახელისუფლებო ვერტიკალს არის „ჩახუტებული“, ამიტომ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფერო მონოპოლიზებულია, რაც განსაკუთრებით ვლინდება სამშენებლო ბიზნესში. კერძოდ, უკანასკნელ პერიოდამდე პრაქტიკულად ყველა სახის საქონელსა, თუ მომსახურებაზე ფასები მეტ-ნაკლებად გაიზარდა, ხოლო ბინათმშენებლობის ფასებმა, შეიძლება ითქვას, კატასტროფულად მოიმატა.

გარდა ამისა, გარდამავალ პერიოდში, ფასების ზრდის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ე.წ. „ხელფასისა და ფასის სპირალი“. რამდენადაც ხელისუფლება, საბიუჯეტო სექტორში ხელფასების ზრდის პოლიტიკას ატარებდა და ატარებს, რომლის ერთ-ერთი არგუმენტი წინა ხელისუფლების დროს, ერთგულების საფასურით აიხსნებოდა, ხოლო დღევანდელი ხელისუფლების მიერ საჯარო სექტორში კვალიფიციური კადრების მოზიდვის აუცილებლობით არის ახსნილი, ამდენად ხელფასების ზრდის ტემპი უსწრებდა და დღესაც უსწრებს წარმოების ზრდის ტემპს, რის გამოც, ზემოთ მოყვანილი შემთხვევის მსგავსად, ადგილი აქვს სამომხმარებლო ბაზარზე მოთხოვნის ზრდას და შესაბამისად, ფასებიც იზრდება.

ფასების ზრდასთან ერთად, კერძო სექტორშიც დგება ხელფასის მომატების საკითხი, რათა მათი შემოსავლები შეესაბამებოდეს ცხოვრების გაზრდილ მოთხოვნებს. ამის შედეგად, კერძო სექტორი, იმისთვის, რომ მოგება შეინარჩუნოს, თავადაც ზრდის საქონლის ფასს და ა.შ. და ა.შ. ამგვარად, ადგილი აქვს ე.წ. „დომინის პრინციპს“, რადგან, ერთ სფეროში ფასების ზრდა იწვევს მეორე სფეროში ფასების ზრდას და ა.შ.

ჩვენ აქ განვიხილეთ შემთხვევა, როცა ერთ სფეროში მოთხოვნის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ფასების ზრდა, რაც, თავის მხრივ, იწვევს სხვა სფეროებში ხელფასის ზრდას, ეს კი, თავის მხრივ, ამ სფეროში ფასების ზრდას გამოიწვევს და ა.შ. მაგრამ შესაძლოა პირიქით მოხდეს. შესაძლოა ფასების ზრდამ ერთ სფეროში გამოიწვიოს ამავე სფეროში ხელფასების ზრდა. ამ უკანასკნელმა შესაძლოა სხვა სფეროში გამოიწვიოს ფასების ზრდა, რაც თავის მხრივ ამ სფეროში ხელფასების ზრდას გამოიწვევს და ა.შ. ამ შემთხვევაში გვაქვს ე.წ. „ფასისა და ხელფასის სპირალი“, განსხვავებით „ხელფასისა და ფასის სპირალისაგან“.

მართალია ინფლაციის შედეგად, ქვეყნის მთლიანი კეთილდღეობა უარესდება, მაგრამ მოკლევადიან პერიოდში მისი გამოყენება რიგ შემთხვევებში, კერძოდ კი, როდესაც კარგად მოფიქრებული ეკონომიკური პოლიტიკით არის ნაკარნახევი, ეკონომიკური აღმავლობის დაჩქარების საკმაოდ აპრობირებული გზაა ე.წ. „მულტიპლიკატორის ეფექტის“ გამო, თუმცა ამის შედეგად, საზოგადოების შიგნით ნეგატიურ პროცესებსაც აქვს ადგილი. მაგრამ საზოგადოება ამაზე შეგნებულად მიდის, რადგანაც ამ დროს, პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარე, მთლიანად პოზიტივი უფრო მეტია, ვიდრე ნეგატივი.

ინფლაციური პროცესების შედეგად, პირველ რიგში, წაგებულები რჩებიან ფიქსირებული შემოსავლების მქონე პირები. თუ პიროვნების შემოსავლები ინფლაციური პროცესების დროს ინფლაციის სიდიდის შესაბამისად არ იზრდება (ფიქსირებული შემოსავლების მქონე პირისთვის სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე), მაშინ მისი მდგომარეობა ზუსტად ინფლაციის სიდიდის შესაბამისად გაუარესდება. კერძოდ, თუ ვთქვათ ფიქსირებული შემოსავლების პირობებში ფასების სიდიდე ორჯერ გაიზარდა, მაშინ პიროვნების ეკონომიკური მდგომარეობა ზუსტად ორჯერ გაუარესდება. დაახლოებით ანალოგიური სიტუაცია გვაქვს, როდესაც ფასების ზრდა წინ უსწრებს შემოსავლების ზრდას გარკვეული დროითი შუალედით. თუ განვიხილავთ ისეთ ჰიპოთეტიურ მაგალითს, როდესაც ყოველთვიურ გაორმაგებულ ფასებს მხოლოდ შემდეგ თვეში მოყვება შემოსავლების გაორმაგება, მაშინ, წლის ბოლოსათვის პიროვნების ცხოვრების დონე გაუარესდება 24-ჯერ.

ინფლაციური პროცესების შედეგად წაგებულები აღმოჩნდებიან მეანაბრეები, რადგან, მოგების ფიქსირებული ნორმის შემთხვევაში, თუ ინფლაციის სიდიდე მოგების ფიქსირებულ სიდიდეს აღემატება, მეანაბრეების მიერ უკან აღებული ფულის მსყიდველობითი უნარი მათ მიერ ანაბრებზე შეტანილი თანხის მსყიდველობით უნარზე ნაკლები იქნება. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ფულის გამსესხებლები, ანუ კრედიტორები. მართლაც ინფლაციის დროს კრედიტორების მიერ უკან მიღებული თანხების მსყიდველობითი უნარი იგივე არ იქნება, რაც გასესხების პერიოდის დასაწყისში.

და ბოლოს, ინფლაციური პროცესებით საზოგადოდ იმ შემთხვევაში ზარალდება მთელი ბიზნესი, თუ მისი სიდიდე არაპროგნოზირებადია, რადგანაც არაპროგნოზირებადი ინფლაცია ხელს უშლის სამეწარმეო აქტივობას. უკანასკნელი გარემოებების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბიზნესს უძნელდება დანახარჯების სიდიდის პროგნოზირება, არაადეკვატურად იზრდება წარმოების ხარჯები და შედეგად მცირდება მოგება, ანუ, ბიზნესაქტივობის უმთავრესი რაოდენობრივი მაჩვენებელი.

ზემოთ განხილულის გარდა შესაძლებელია ინფლაციური პროცესების დროს ეკონომიკა მაინც ვითარდებოდეს, თუკი იგი პროგნოზირებადია, და რაც ასევე არსებითია, თანაბრად მიმდინარეობს დროში. ამ შემთხვევაში ინფლაციის ნეგატიური შედეგები გარკვეულწილად კომპენსირდება ბიზნეს გარიგებების პროგნოზირების კორექტირების შესაძლებლობებით, რის საუკეთესო მაგალითსაც თურქეთის ეკონომიკა წარმოადგენს. მართლაც, თურქეთის ეკონომიკა სტაბილურად ვითარდებოდა მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რა პერიოდშიც თურქული ლირის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში დაეცა \$1= 10 ლირიდან, ვიდრე \$1=1,6 მლნ ლირამდე. ასეთი კოლოსალური დევალვაცია დოლარის მიმართ თურქულ საქონელს ძალზე მიმზიდველად ხდიდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის და, თუმცა მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები შეუდარებლად დაბალი იყო ევროპულ სტანდარტებთან მიმართებაში, მაგრამ ლამაზი სასაქონლო სახე მიმზიდველი იყო მრავალფეროვნებას დანატრებული საბჭოთა ადამიანებისათვის და დოლარების უზარმაზარი ნაკადი დაიძრა თურქეთის ეკონომიკისაკენ და დღეს უკვე ამ ქვეყანას რეგიონალური ლიდერის ამბიციებიც გააჩნია.

ინფლაციური პროცესებისას მოგებული რჩება ის დარგი, თუ ფირმა, რომელსაც ინფლაციის პერიოდში შესაძლებლობა აქვს გარკვეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამო, გაზარდოს ფასები მის მიერ წარმოებულ საქონელსა და

მომსახურებაზე. ამის კარგი მაგალითია საიუველირო საქონლის წარმოება. როგორც წესი, ინფლაციის პერიოდში საიუველირო საქონლის ფასები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საშუალო ფასები მთლიანად ეკონომიკაში. ამდენად, ამ სფეროში დასაქმებულები არა თუ არ ზარალდებიან, არამედ, მოგებულებიც კი რჩებიან.

ინფლაციური პროცესების შედეგად მოგებული რჩება ის პირები, თუ ფირმები, რომლებიც სესხს ინფლაციის პერიოდში იღებენ. მათ მიერ დაბრუნებული ფულის მსყიდველობითი უნარი ცხადია გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე სესხის აღების დროს. თუ ჩვენი ქვეყნის უახლეს წარსულს გავიხსენებთ, საქართველოში მსგავს სიტუაციას ადგილი ჰქონდა 1992-1995 წლებში, როდესაც ეროვნული ბანკის მიერ სესხების უკონტროლოდ გაცემამ ინფლაციური პროცესები ჰიპერინფლაციურში გადაზარდა.

ინფლაციური პროცესებისას მთავრობაც მოგებული რჩება იმ შემთხვევაში, თუ გადასახადების აკრეფა პროგრესული განაკვეთით ხდება. მართლაც, ამ შემთხვევაში ინფლაციური პროცესების გამო ადამიანები ფულად მაჩვენებლებში უფრო მეტ შემოსავალს იღებენ, რის გამოც ბევრი გადამხდელი უფრო მაღალი კატეგორიის გადამხდელთა რანგში გადადის. ჩვენი ქვეყნის მაგალითის მიხედვით, როდესაც წინა საგადასახადო კოდექსით პროგრესული საშემოსავლო გადასახადით იბეგრებოდა ფიზიკური პირის შემოსავალი, შესაძლებელია ისე მომხდარიყო, რომ შემოსავლების 5%-ით გაზრდას გამოეწვია საგადასახადო განაკვეთის 10%-ზე მეტი გაზრდა.

ამგვარად, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ინფლაციურ პროცესებს შესაძლოა ადგილი ჰქონდეთ არა მხოლოდ და არა იმდენად ფულადი მასის გამო, არამედ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებითაც და განსაკუთრებით მათი იმპორტზე ორიენტირებულობის გამო, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მთავრობა არ ზრდის ფულადი მასის სიდიდეს, ინფლაციურ პროცესებს, შესაძლოა, მაინც ჰქონდეს ადგილი, რასაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში რიგი თავისებურებები გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აქუბარდია, თ. (2013). *კრიზისების ციკლური თეორია და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი*. სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

2. აქუბარდია, თ. (2009). *ეკონომიკური კრიზისის ფინანსური და პოლიტიკური მდგენელი*. თბილისი.
3. ბარათაშვილი, ე., & თაკალანძე, ლ, (2011). *მენეჯმენტი და ადმინისტრება*. თბილისი.
4. მენქიუ, გ. (2008). *ეკონომიკის პრინციპები*. თბილისი: დიოგენე.
5. ლეჟავა, გ., & ლეჟავა, ბ, (2013). *გაბნევის მრუდის და მისი წარმოებულის გამოყენება კონკურენციის შესწავლის პროცესში*. სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გარდამავალი პერიოდის ინფლაციური პროცესების თავისებურებანი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე)

თამაზ აქუბარდია
პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი
კავკასიის უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომში გაანალიზებულია ინფლაციური პროცესების მიზეზები და თავისებურებები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ნაჩვენებია, რომ გარდა ირვინ ფიშერის „ფულის რაოდენობრივი განტოლებიდან“ მიღებული შედეგისა, რომ ფასების ზრდის უმთავრესი მიზეზი ხელისუფლების მიერ ფული ბეჭდება, არსებობს კიდევ მთელი რიგი სხვა მიზეზები, რომლებიც იწვევს ინფლაციას, რაც გამოწვეულია გარდამავალი პერიოდის თავისებურებებით, რომელთა შორისაც უმნიშვნელოვანესია, - პრივატიზაციის პროცესების უმახინჯესი ფორმებით წარმართვა, რასაც მოყვა პარტიული ნომენკლატურისა და ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ე.წ. „წითელი დირექტორების“ მიერ სახელმწიფო ქონების უდიდესი ნაწილის მიზერულ ფასად ხელში ჩაგდება და შემდეგ ათმაგად და ასმაგად მისი გაყიდვა; იმპორტირებულ საქონელზე მსოფლიო ფასებთან გათანაბრება; ქვეყნაში ადგილობრივი წარმოების შემცირება და იმპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის შედეგად უცხოური ვალუტის კურსზე საკუთარი ვალუტის მიზმა და ა.შ.

Transitional Period's Inflationary Pressures Features in Post-Communist Countries (the example of Georgia)

Tamaz Akubardia

Doctor of Science, Professor
Caucasus University

Abstract

The paper analyzes the causes of the inflation process and the characteristics of the post-soviet countries. It is shown that in addition to Irving Fisher's „money quantity equation” obtained results that the price increase was the main reason for the government's money emission, there are a number of other reasons that leads to inflation, which is caused by the transition period features, including the most important - corruption forms of the privatization process of conduct, which was followed by party-range and close to the government of „Red directors” meager price of the property, the greater part of the capture, and then to sell ten times greater; Local commodity prices equalize with world prices; reduction of local production and build the country's import-oriented economy as a result of linking its currency to the foreign currency exchange rates, and etc.

გაბნევის მრუდეების გამოყენება, სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ღარიბი
ჯგუფებისათვის გასაწევი სოციალური დახმარების შეფასებისას



გურამ ლეჟავა

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

ბორის ლეჟავა

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი



როგორც ცნობილია [1,2], გაბნევის მრუდეები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს შემოსავლების (ტექნოლოგიების და მომსახურების) განაწილების უთანაბრობის შესწავლისას, როგორც მსოფლიო გაერთიანების ქვეყნებს, ისე მოსახლეობის ჯგუფებს (სტრატებს) შორის ცალკე აღებულ ქვეყანაში. გაბნევის მრუდეები წარმატებით გამოიყენება აგრეთვე ე.წ. *ციფრული* (ან სხვა ტექნოლოგიური, ასევე ეკონომიკური) *წყვეტის* (დაყოფის) შესაფასებლად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. გაბნევის მრუდეები წარმოადგენენ სწორედ იმ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას იძლევა *რაოდენობრივად* შეფასდეს ციფრული (ეკონომიკური, ინფორმაციული და სხვა სახის) დაყოფა. უნდა აღინიშნოს, რომ გაბნევის მრუდეების (და განსაკუთრებით მისი პირველი წარმოებულის) მათემატიკური აპარატი არის გადამწყვეტი, მსოფლიო გაერთიანების შიგნით, როგორც ქვეყნების ჯგუფების, ისე ცალკეული ქვეყნების ფარდობითი მდგომარეობის კორექტული შეფასებისთვის (ანუ მათი კორექტული რანჟირებისთვის).

გაბნევის მრუდეები წარმოადგენენ ეკონომიკაში კარგად ცნობილ *ლორენცის მრუდეების* მათემატიკურ ასახვას (დასაბუთებას). ლორენცის მრუდეები თავის მხრივ გამოყენებული იყო მე-XX საუკუნის დასაწყისში შემოსავლების განაწილების უთანაბრობის შესასწავლად (ამერიკელი ეკონომისტის ლორენცის მიერ). სწორედ ლორენცის მრუდეებიდან განისაზღვრა ე.წ. *ჯინის კოეფიციენტი*, რომელიც საშუალებას იძლევა ინტეგრალურად (ჯამურად) დახასიათდეს შემოსავლების განაწილების უთანაბრობა.

უნდა აღინიშნოს, რომ გაბნევის მრუდეებს (ლორენცის მრუდეებს) აქვთ არსებითი მნიშვნელობა სოციალური პროცესების გააზრებისათვის, რომლებსაც ადგილი აქვთ როგორც ცალკე აღებულ ქვეყანაში, ისე მსოფლიო გაერთიანების შიგნით. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია გაბნევის მრუდეების მათემატიკური აპარატის გამოყენება; სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ღარიბი ჯგუფებისათვის გასაწევი სოციალური დახმარების

ობიექტური შეფასებისთვის და დაგეგმისათვის.

მართლაც, სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას, ზოგადად, წარმოადგენს თავისი მოქალაქეების დაცვა, მათ შორის სოციალური დახმარების გაწევის კუთხით, მოსახლეობის ღარიბი და უღარიბესი ფენებისთვის. მაგრამ პრინციპში, ის რაც ეძლევა ღარიბებს, თავიდან საჭიროა ამოღებულ იქნას მდიდრებიდან. სწორედ, ეს წარმოადგენს ძირითად წინააღმდეგობას, ნებისმიერი სოციალური დახმარების პროგრამის რეალიზაციისას, რომელიც დაკავშირებულია შემოსავლების გადანაწილებასთან.

სურ. 1 ა და ბ-ზე წარმოდგენილია ლორენცის მრუდეები რეალურ და ფარდობით მასშტაბებში, რომელიდაცა ჰიპოტეტური ქვეყნის მაგალითისთვის. როგორც ცნობილია *ლორენცის მრუდი* [3] ასახავს ჯამური (ინტეგრალური, კუმულატიური) შემოსავლის დამოკიდებულებას მოსახლეობის ჯამური (ინტეგრალური, კუმულატიური) ნაწილის მიმართ. ლორენცის მრუდის საპოვნელად თავიდან საჭიროა განაწილდეს მოსახლეობა (ან ოჯახები) - პირადი (ან ოჯახური) შემოსავლის ზრდის კვალობაზე, რის შემდეგ უნდა მოხდეს თანმიმდევრობითი შეჯამება პირადი (ან ოჯახური) შემოსავლების. როგორც ითქვა, სურ. 1 ა-ზე წარმოდგენილია ლორენცის მრუდი რეალურ მასშტაბში, რომელიდაცა ჰიპოტეტური ქვეყნისათვის 5 მილიონიანი მოსახლეობით და მთლიანი შემოსავლით 50 მილიარდი დოლარი. მრუდი „რეალური შემოსავალი“ არის სწორედ ლორენცის მრუდი. სადაც აბსცისათა ღერძზე დატანილია მოსახლეობის მზარდი წილები, ხოლო ორდინატთა ღერძზე კი ჯამური შემოსავლის წილები. ბუნებრივია, მთელი მოსახლეობისათვის ჯამური შემოსავალი ტოლია საერთო შემოსავლის (50 მილიარდი დოლარის), რაც შეადგენს კიდეც ამ ჰიპოტეტური ქვეყნის მთლიან ნაციონალურ პროდუქტს (მნპ). OA დიაგონალი შეესაბამება ე.წ. *აბსოლუტური ეკონომიკური თანაბრობის ხაზს*, როდესაც ჰიპოტეტურად ქვეყნის ყველა მოსახლეობას აქვს თანაბარი შემოსავალი ტოლი ჩვენს შემთხვევაში 10 000 დოლარის (ანუ სულზე მოსული შემოსავალი, ე.ი. სმპ=10 000 დოლარს). ასეთი მიუღწეველი შედეგის დადგომა, სხვადასხვა უტოპიური სწავლების მიზანს შეადგენდა, მათ შორის კომუნისტურის.

შემოსავლების განაწილების უთანაბრობის ანალიზისთვის მიზანშეწონილია რეალური კოორდინატებიდან (სურ. 1,ა) გადასვლა ფარდობით კოორდინატებზე (სურ. 1,ბ), სადაც R-ქვეყნის საერთო შემოსავალია (მნპ) P-რიცხვიანობის მოსახლეობისათვის. თუ დავუშვებთ, რომ p-რიცხვიანობის მოსახლეობის ნაწილს აქვს კომულატიური (ჯამური) შემოსავალი r, მაშინ აღვნიშნავთ ამ მოსახლეობის ფარდობით ჯამურ (კუმულატიურ) შემოსავალს წილს

$Q = r/R$, ხოლო შესაბამის მოსახლეობის წილს $F = p/P$. ასეთ შემთხვევაში ლორენცის მრუდი აისახება ფარდობით კოორდინატებში (სურ. 1,ბ).

შემოსავლების განაწილების უთანაბრობის დასახასიათებლად შემოაქვთ ე.წ. *ჯინის კოეფიციენტი*, რომელიც ტოლია სურ. 1,ბ-ზე გამოსახული დაშტრიხული ფართობის (OA დიაგონალსა და ლორენცის მრუდს შორის) ფარდობას OAB სამკუთხედის ფართობთან (ტოლი $\frac{1}{2}$), ანუ

$$K_G = \left[\frac{1}{2} - \int_0^1 Q(F) dF \right] : \frac{1}{2} = 1 - 2 \int_0^1 Q(F) dF \quad (1)$$

ჯინის კოეფიციენტი (თეორიულად) ტოლია, ერთის - აბსოლიტური ეკონომიკური თანაბრობის შემთხვევაში და უდრის ნულს - აბსოლიტური ეკონომიკური უთანაბრობისას.

ამ თემატიკასთან დაკავშირებული საინტერესო მასალა წარმოდგენილია *სამუელსენის და ნორდჰაუსის ეკონომიკის* კლასიკურ სახელმძღვანელოში [3], სადაც განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა: სიღარიბესთან ბრძოლის სტრატეგია, შემოსავლების გადანაწილებასთან დაკავშირებული დანახარჯები, შემოსავლების გათანაბრების და ეფექტურობის თემატიკა და სხვა.

სახელმწიფოს შესაბამისი საგადასახადო პოლიტიკისა და სოციალური პროგრამების განხორციელებით, შეუძლია შეამციროს მდიდრების და პირიქით გაზარდოს ღარიბების შემოსავლები, ანუ მოახდინოს შემოსავლების ერთგვარი ხელოვნური - გამიზნული გადანაწილება. მაგალითის სახით, სურ. 2-ზე წარმოდგენილია [3]-დან შემოსავლების გადანაწილება, რომელიც ასახულია ზემოთხსენებული ლორენცის ორი მრუდით: პირველი - არსებული საგადასახადო სისტემის პირობებში, როდესაც ჯინის კოეფიციენტი $K_G = 0.38$ და მეორე - საგადასახადო სისტემის გამკაცრებისას (ზეგარის გაზრდის კუთხით), როდესაც *ჯინის კოეფიციენტი* $K_G = 0.34$, ანუ შემცირებულია 4%-ით (მრუდი 2 უფრო ახლოა ე.წ. აბსოლიტური თანაბარი შემოსავლების ხაზთან, OA დიაგონალის სახით).

ხსენებულ სახელმძღვანელოში [3] მოყვანილია ლორენცის მრუდების მაგალითები რიგი ქვეყნებისათვის შემოსავლების და სიმდიდრის განაწილების მხრივ (სურ. 3, ა და ბ). როგორც ჩანს სურ. 3,ა-დან განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები (შვედეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი - მაღალი სმშპ-ით) ხასიათდებიან შემოსავლების უფრო თანაბარი განაწილებით

მოსახლეობაში, შედარებით იმ ქვეყნებთან (მაგალითად, ბრაზილია), სადაც სულზე მოსული ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) საშუალო დონეზეა, რომ არაფერი არა ვთქვათ დაბალი სმშპ-ს მქონე ქვეყნებზე (მათ შორის საქართველოზე). რაც შეეხება სიმდიდრის (სუფთა მფლობელობაში არსებული ფინანსური საშუალებებისა და მატერიალური ქონების) განაწილებას, ის უფრო არათანაბარია (სურ. 3,ბ), რადგან სიმდიდრე შეიძლება მემკვიდრეობით გადაიცემოდეს, გროვდებოდეს (კონცეტრირდებოდეს) ვალუტის (მაგალითად დოლარების) დაგროვების ხარჯზე და ა.შ.

შემოსავლებისა და სიმდიდრის არათანაბარი განაწილების მიზეზები უამრავია [4,5,6 და სხვა წყაროები]. ზოგიერთ მათგანზე საუბარია ხსენებულ სახელმძღვანელოში [3]. ამ სახელმძღვანელოში გაკეთებულია მინიშნება სურ. 3,ა-სთან დაკავშირებით, რომ ლორენცის მრუდი შვედეთის შემთხვევაში იძლევა უფრო თანაბარ შემოსავლების განაწილებას ვიდრე, აშშ-ს შემთხვევაში, რადგან შვედეთში მოქმედებს უფრო მეტი სოციალური პროგრამები ქვეყნის ღარიბი მოსახლეობის დასახმარებლად, ვიდრე აშშ-ში. ამასთან ავტორები აღნიშნავენ შემდეგს [3] (მოგვყავს ამონარიდი):

„სახელმწიფო, ახორცილებს რა შემოსავლების გადანაწილებას მდიდრებიდან ღარიბ ფენებზე, შეიძლება მიაყენოს ზიანი ეკონომიკურ ეფექტურობას და შეამციროს ის ნომინალური შემოსავლის სიდიდე, რომელიც ხელმისაწვდომია გასანაწილებლად. უმრავლესი გადანაწილების პროგრამები მოქმედებენ ეფექტურობაზე. თუ რომელიმე ქვეყანა ახდენს შემოსავლის გადანაწილებას მდიდარი მოქალაქეების ხარჯზე, მათთვის მაღალი ბეგარის დაწესების გზით, მათი დანაზოგები და სურვილი აქტიური მუშაობის მხრივ შეიძლება შემცირდეს, ან მიიღოს სხვა არაეფექტური სახე (დემოტივაციის გამო). ეს კი საბოლოო ჯამში შეამცირებს ნაციონალური პროდუქტის გამოსავალს (მოცულობას). ამასთან მოსახლეობის მდიდარ ნაწილს შეუძლია დახარჯოს მეტი ფული იმ სპეციალისტების დაქირავებზე, რომლებიც შეეცდებიან დაბეგვრის, ასე ვთქვათ, „ოპტიმიზაციას“. ან კიდევ უფრო ცუდი, მდიდარი მოსახლეობის ფენა თავს შეიკავებს ინვესტიციების გაღებაზე ინოვაციებზე და წარმოების განვითარებაზე და ა.შ. ამასთან ერთად, თუ საზოგადოება შესძლებს უზრუნველყოს გარანტირებული დახმარება დაბალი შემოსავლების მქონე ფენებისათვის, მოსახლეობის ეს ნაწილი დაიწყებს ნაკლები ინტენსივობით შრომას, გაჩნდება სიზარმაცის გრძნობა და შრომის მიმართ აპათია. მოსახლეობის ასეთი რეაქციები

შემოსავლების გადანაწილების პროგრამებზე, გამოიწვევენ რეალური ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობის შემცირებას.“

ამ სახელმძღვანელოში [3] დაწვრილებით აღწერილია ე.წ. „გახვრეტილი კასრის“ ეფექტი განხილული ეკონომისტ ა. ოუენის მიერ (სურ. 4). ამ სურათზე კოორდინატებს წარმოადგენს მოსახლეობის ღარიბი და მდიდარი ნახევარის რეალური შემოსავლები. წრფე OE - წარმოადგენს ღარიბების და მდიდრების თანაბარი შემოსავლების ხაზს. OD მონაკვეთის სიდიდე ტოლია მდიდრების ჯამური შემოსავლების. DE წრფე ასახავს ღარიბების და მდიდრების ჯამურ შემოსავალს, იმ პირობით, რომ შემოსავლების გადანაწილებისას არ აქვს ადგილი დანაკარგს. თუ შემოსავლების გადანაწილებისას მივალთ შემოსავლების სრულ ტოლობამდე მდიდრებსა და ღარიბებს შორის, ამ შემთხვევაში საბოლოო წერტილი იქნება E - ანუ OE და DE წირების გადაკვეთა. მაგრამ დანაკარგების გამო (ფუჰი - არაეფექტური დანახარჯები, ადმინისტრაციული ხარჯები ჩინოვნიკებზე და ა.შ.), რეალური ტრანექტორია მიდის AB მიმართულებით და შემდგომ შეიძლება აღმოჩნდეს Z წერტილში, ან ჩაიწიოს C წერტილში. ე.ი. დანაკარგი შესაძლოა იყოს ძალიან საგრძნობი (90% და მეტი). ამიტომ, მდიდრებს ებადებათ ბუნებრივია კითხვა - ღირს კი დახმარების გაწევა ღარიბებისათვის, თუ ამ დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ აღწევს მიმღებამდე - ადრესატამდე ე.ი. ღარიბებამდე? (ანუ აქ აზრობრივად უნდა დავუბრუნდეთ ზემოთ მოყვანილ ციტირებულ მასალას [3]-დან).

ამგვარად, შემოსავლების გადანაწილება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „გახვრეტილი კასრის“ ეფექტს, არ წარმოადგენს უწყინარ ქმედებას. დგება საკითხი: რა დონემდე და როგორ განხორციელდეს ღარიბების სოციალური დახმარება მდიდრების ხარჯზე, ისე რომ შენარჩუნებული იყოს ქვეყნის ეკონომიკური ეფექტურობა და არ გამოვიწვიოთ მდიდრებშიც და ღარიბებშიც *შრომითი აპათია* და შრომის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება (ე.წ. *იდიოსინერაზია*)?

სწორედ ეს საკითხებია მოცემული [4]-ში, სადაც გარკვეული შეზღუდვების ფონზე, განხილულია გაბნევის მრუდების მათემატიკური აპარატის გამოყენებით, სათანადო მოდელები, რომლებიც გარკვეულ წილად იძლევიან პასუხს ამ კითხვაზე.

[4]-ში მოცემულია საზოგადოების დაყოფის ორჯგუფიანი და ე.წ. დუალური მოდელები და *ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტის* ცნების გამოყენების საფუძველზე, ჩატარებულია შესაბამისი მოდელების ანალიზი - მდიდრებისა და ღარიბების ეკონომიკური აქტიურობისა

და პასიურობის (აპათიის) კუთხით, შესაბამისად ინვესტიციების ჩადების მზაობისა და პირიქით უარყოფის სტადიებით. წარმოდგენილია შესაბამისი გრაფიკები ორივე მოდელისათვის ოთხ თანაკვეთაში არ მყოფი უბნით (მდიდარი აქტიურების, ღარიბი აქტიურების, ღარიბი პასიურების და მდიდარი პასიურების სახით). ამ გრაფიკებზე დატანილია რამდენიმე საგულისხმო წერტილი, რომელთა ანალიზიც არის ჩატარებული და შედეგები თავმოყრილია ცხრილში (იხ. [4]-ის, ცხრილი 1, სურ. 4) ამ სურათზე განსხვავებული ფერით მონიშნულია ეკონომიკური აქტიურობის ზონები.

ორჯგუფიანი მოდელის განხილვისას, მაგალითის სახით, [4]-ში წარმოდგენილია *პარეტოს განაწილების კანონი*, რომელიც მიჩნეულია ერთ-ერთ ფუნდამენტურ კანონად ეკონომიკაში. სურ. 5, ა-ზე გამოსახულია გაბნევის მრუდეები (ლორენცის მრუდეები) პარეტოს განაწილებისთვის (ანუ შემოსავლების ინტეგრალური განაწილება), ამ განაწილების ხარისხის მაჩვენებლის α -ს სხვადასხვა მნიშვნელობებისთვის. მიიჩნევა, რომ როდესაც $\alpha > 2,6$ (შესაბამისად *დაყოფის კოეფიციენტი* ρ დუალური მოდელისათვის $\rho > 0,38$) საზოგადოება თანდათან გადადის *უძრაობისაკენ-აპათიისაკენ*, ხოლო როცა $\rho < 0,2$ -ზე (ანუ $\alpha < 1,3$ -ზე), საზოგადოებაში შეიძლება წარმოიშვას კრიზისული სიტუაციები (იხ. [4]). შესაბამისად, საზოგადოებაში „შედარებითი სტაბილურობის ზოლად“ (სოციალური მდგომარეობის ჰარმონიზაციის თვალსაზრისით), შეიძლება მივიჩნიოთ დიაპაზონი $1,3 < \alpha < 2,6$, რომელიც ყვითლად არის მონიშნული სურ. 5, ა-ზე. (შესაბამისად $0,2 < \rho < 0,38$).

ამასთან ყველაზე ოპტიმალურად - საზოგადოების ჰარმონიული განვითარების კუთხით, მიიჩნევა $\rho = 0,33$ და $\alpha = 2$. (ამასთან, α -ს და ρ -ს შორის არსებობს შემდეგი მიახლოებითი თანაფარდობები:

$$\rho \cong \frac{\alpha - 1}{2\alpha - 1} \text{ და } \alpha \cong \frac{1 - \rho}{1 - 2\rho}, \quad (2)$$

რომლებიც მიიღება ჯინის კოეფიციენტების: $K_G^* \cong E^* = 1 - 2\rho$ და $K_G = 1/(2\alpha - 1)$ ერთმანეთთან გატოლების შემდეგ, სადაც E^* - ე.წ. *უთანაბრობის კოეფიციენტი*ა ხსენებული დუალური მოდელისათვის, გაბნევის მრუდეების ე.წ. პოლიგონალური აპროქსიმაციისას (იხ. ქვევით).

სურ. 5, ა-ზე წარმოდგენილი მრუდეები, აგებული პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდის განტოლების

$$Q = Q(F) = 1 - (1 - F)^{(\alpha-1)/\alpha} \quad (3)$$

საფუძველზე, ხასიათდებიან შემდეგი თავისებურებებით:

- ხარსხის მაჩვენებლის α -ს მნიშვნელობებისათვის $\alpha \approx 10$ და მეტი, პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდი მცირედად თუ განსხვავდება *აბსოლიტური ეკონომიკური თანაბრობის წრფისგან* (დიაგონალი OA, სურ. 5, ა)
- როდესაც $F \rightarrow 1$ -კენ, ამ განაწილების გაბნევის მრუდები სულ უფრო უახლოვდებიან ვერტიკალურ ხაზს $F=1$. ეს ნიშნავს, რომ გაბნევის მრუდის პირველი წარმოებული პარეტოს განაწილებისათვის

$$Q' = \frac{dQ}{dF} = \frac{\alpha - 1}{\alpha} (1 - F)^{-1/\alpha}, \quad (4)$$

მიისწრაფვის უსასრულობისკენ, ანუ შემოსავლების სიდიდემ თეორიულად ასეთი განაწილებისათვის შეიძლება მიაღწიონ ძალიან დიდ მნიშვნელობებს, როდესაც $F \rightarrow 1$.

სურ. 5, ბ-ზე პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდების ოჯახზე დატანილია საზოგადოების დაყოფის - ე.წ. *ორჯგუფიანი მოდელისათვის* დამახასიათებელი C დაყოფის წერტილი, კოორდინატებით (F_0, Q_0) და ე.წ. *დუალური მოდელის* დაყოფის D წერტილი, კოორდინატებით $Q_1 = \rho$ და $F_1 = (1 - \rho)$, სადაც ρ -დაყოფის კოეფიციენტს წარმოადგენს. როგორც ცნობილია [5] C წერტილი მიიღება, როგორც გაბნევის მრუდის (ლორენცის მრუდის) მიმართ გატარებული OA დიაგონალის (აბსოლიტური ეკონომიკური თანაბრობის ხაზის) პარალელური, KL მხების მრუდთან შეხების წერტილი. თავის მხრივ დუალური მოდელისათვის D წერტილი წარმოადგენს გაბნევის მრუდის და HB დიაგონალის თანაკვეთის წერტილს, რომელზეც გადატარებული MN წრფე პარალელურია OA დიაგონალის და ორდინატა ღერძზე ჩამოკვეთს $AN=1-2\rho$ წრფის მონაკვეთს, რომელიც დუალური მოდელისათვის წარმოადგენს უთანაბრობის გრადიენტს E^* . შესაბამისად, უთანაბრობის გრადიენტი ორჯგუფიანი მოდელისათვის ტოლია AL მონაკვეთის სიგრძის, ანუ $E = F_0 - Q_0$. ზოგად შემთხვევაში C და D წერტილები არ ემთხვევიან ერთმანეთს (თუმცა ახლო ახლო არიან განლაგებული). პარეტოს განაწილებისათვის $F_1 < F_0$ და $Q_1 < Q_0$.

საზოგადოების დუალური მოდელი რეალურად წარმოადგენს შესაბამისი გაბნევის მრუდის *პოლიგონალურ აპროქსიმაციას* ორი - OD და DA წრფის მონაკვეთის (პოლიგონის) საშუალებით. ჯინის კოეფიციენტი პოლიგონალური აპროქსიმაციისთვის ტოლი იქნება $K_G^* = 1 - 2\rho$.

ცხრილ 1 - ში, მოცემულია ჯინის კოეფიციენტის და უთანაბრობის გრადიენტის მნიშვნელობები პარეტოს განაწილების შესაბამისი გაბნევის (ლორენცის) მრუდეებისათვის და მათი პოლიგონალური აპროქსიმაციის დროს, α -ხარისხის მაჩვენებლის და ρ -დაყოფის კოეფიციენტის სხვადასხვა სიდიდეებისას.

ცხრილი 1

α	1.05	1.1	1.16	1.33	1.5	2.0	10
$K_G = 1/(2\alpha - 1)$	0.91	0.83	0.76	0.6	0.5	0.33	0.05
$K_G^* = 1 - 2\rho$	0.83	0.74	0.55	0.43	0.36	0.25	0.06
$E = F_0 - Q_0$	0.86	0.77	0.6	0.47	0.4	0.25	0.06
$E^* = 1 - 2\rho$	0.83	0.74	0.55	0.43	0.36	0.25	0.06
$\rho = \frac{\alpha - 1}{2\alpha - 1}$	0.02	0.08	0.12	0.2	0.25	0.33	0.47

ცნობილია, რომ პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდეებისათვის უთანაბრობის გრადიენტის ზუსტი სიდიდე

$$E = F_0 - Q_0 = \left[1 - \left(\frac{\alpha - 1}{\alpha} \right)^\alpha \right] - \left[1 - \left(\frac{\alpha - 1}{\alpha} \right)^{\alpha - 1} \right] = \left(\frac{\alpha - 1}{\alpha} \right)^{\alpha - 1} - \left(\frac{\alpha - 1}{\alpha} \right)^\alpha, \quad (5)$$

ხოლო პარეტოს განაწილებისთვის ჯინის კოეფიციენტი ზუსტი მნიშვნელობა მიიღება (1)-ში (3)-ის ჩასმით და ინტეგრირების ჩატარების შედეგად:

$$K_G = 1 - 2 \int_0^1 Q(F) dF = 1 - 2 \int_0^1 \left[1 - (1 - F)^{(\alpha - 1)/\alpha} \right] dF = \frac{1}{2\alpha - 1}. \quad (6)$$

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სხვაობა E და E^* შორის მცირეა. მაშინ როცა სხვაობა F_0 და F_1 , Q_0 და Q_1 კოორდინატებს შორის - საგრძნობია (სურ. 5,ბ). ეს აიხსნება იმით, რომ C და D წერტილები ძვეს გაბნევის მრუდზე მდორე ექსტრემუმის მიდამოში.

ცდომილება ჯინის კოეფიციენტში, პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდების პოლიგონალური აპროქსიმაციის დროს საკმაოდ დიდია. ის იცვლება 9%-დან (როცა $\alpha=1,05$)

34%-მდე ($\alpha=2$). იმავდროულად ცდომილება უთანაბრობის გრადიენტში არ აღემატება 8% ($\alpha=1,16$). ამგვარად, მიახლოებითი პრაქტიკული გაანგარიშებისას შეიძლება შეიცვალოს პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდეები, გაბნევის მრუდეებით პოლიგონალური განაწილების (აპროქსიმაციის) შემთხვევისთვის. უნდა აღინიშნოს, პოლიგონალური აპროქსიმაცია პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდეების შემთხვევაში (სურ. 5,ბ), იძლევა მნიშვნელოვანი ცდომილებას ამ განაწილების ხასიათის გამო $F \rightarrow 1$ არეში. რადგან გაბნევის მრუდეები პრაქტიკულად „მიწოლილი“ არიან ვერტიკალურ ღერძს. სწორედ, ამ არეში პარეტოს განაწილების პირველი წარმომებული იწყებს მკვეთრ ზრდას და მიისწრაფვის უსასრულობაში. რეალურ გაბნევის მრუდეებს აქვთ სასრული პირველი წარმომებული, ამიტომ მათი პოლიგონალური აპროქსიმაცია იძლევა კარგ შედეგებს (იხ. სურ. 3, [2], სადაც C და D წერტილები ერთმანეთის მახლობლობაშია).

დავუბრუნდეთ დონორული დახმარების ეფექტურობის საკითხს, როდესაც მოსახლეობის (ან ქვეყნების) მდიდარი ნაწილი გაიღებს გარკვეულ სახსრებს (ბეგარის, ან დონორული დახმარების სახით). ავიღოთ შემოსავლების განაწილების პარეტოს კლასიკური შემთხვევა. დავუშვათ, თავიდან საზოგადოებისათვის დამახასიათებელია პარეტოს განაწილება (სურ. 5), როდესაც ხარისხის მაჩვენებელი $\alpha \approx 1.16$ ($\rho \approx 0.12$), ხოლო შემდეგ საზოგადოება გადადის ახალ მდგომარეობაში (მდიდარი მოსახლეობის გაზრდილი დაბეგვრის ხარჯზე), შემოსავლების უფრო თანაბარი განაწილებით, როდესაც $\alpha=2$ ($\rho \approx 0.33$). საანგარიშო მონაცემები თავმოყრილია ცხრილ 2-ში.

ამგვარად, საზოგადოების გადასვლამ ერთი მდგომარეობიდან მეორეში მოსახლეობის მდიდარი ნაწილის მეტი (გაზრდილი) ბეგარის ხარჯზე (32%-ით, რადგან ცხრილი 2-ის მე-6 სტრიქონის მიხედვით განხორციელებული გაზრდილი ბეგარის გამო მდიდართა შემოსავალი შემცირდა $0.73-0.5=0.23$, რაც შეადგენს საწყისი 0.73 მნიშვნელობის 32%-ს), მოგვცა შემდეგი შედეგები:

1. ღარიბთა წილი შემცირდა $0.15/0.9=17\%$ -ით;
2. ღარიბთა საშუალო შემოსავალი გაიზარდა – 2.2-ჯერ;
3. მდიდართა საშუალო შემოსავალი შემცირდა – 3.65-ჯერ;
4. საზოგადოების აქტიურ წევრთა წილი შემცირდა $0.36/0.86=42\%$ -ით.

ცხრილი 2

ხარისხის მაჩვენებელი: α	1.16	2	>0.84-ით
დაყოფის კოეფიციენტი: ρ	0.12	0.33	> 0.21-ით
ღარიბების შემოსავალი, $Q_0 = 1 - \left(\frac{1-\alpha}{\alpha}\right)^{1-\alpha}$	0.27	0.5	>0.23-ით
ღარიბთა წილი, $F_0 = 1 - \left(\frac{1-\alpha}{\alpha}\right)^\alpha$	0.9	0.75	<0.15-ით g.n<17%-ით
ღარიბთა საშუალო შემოსავალი, Q_0 / F_0	0.3	0.66	>2.2-ჯერ
მდიდართა შემოსავალი, $1 - Q_0$	0.73	0.5	<0.23-ით
მდიდართა წილი მოსახლეობაში, $1 - F_0$	0.1	0.25	>0.15-ით
მდიდართა საშუალო შემოსავალი, $\frac{1 - Q_0}{1 - F_0}$	7.3	2	<3.65-ჯერ
ფარდობა მდიდრების და ღარიბების საშუალო შემოსავლების, $\eta = \left(\frac{1-\rho}{\rho}\right)^2$	24	3	<8-ჯერ
აქტიურთა წილი, $1 - F_* = 1 - \frac{\rho}{1-\rho}$	0.86	0.5	<0.36-ით

ამგვარად, თუმცა ამ კომპიუტერულ შემთხვევაში ღარიბთა რიცხვი (წილი) შემცირდა 17%-ით და მათი საშუალო შემოსავალი გაიზარდა 2.2-ჯერ, საზოგადოებამ დაკარგა 0.36/0.86=42% თავისი ეკონომიკურად აქტიური წევრების (რომლებიც მოტივირებული არიან ინვესტიციების ჩადებისა და ეკონომიკური საქმიანობის გაფართოების მხრივ).

ამიტომ, მოსახლეობის მდიდარი ნაწილის დაბეგვრის საკითხი, დონორული დახმარების მიზნით (ღარიბი მოსახლეობის მიმართ), უნდა ზედმიწევნით (სკურპულოზურად) გააზრებული იყოს, *მთავარია ასეთ დროს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რათა მოსახლეობის ღარიბ ნაწილს საშუალება მიეცეს თვითონ გამოიმუშაონ თავიანთი შემოსავალი და არ იყვნენ მდიდრების გაზრდილი დაბეგვრის იმედით (შემყურე). სახელმწიფოს როლი ამ საკითხში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.*

ისმის კითხვა - კიდევ რა ბერკეტი გააჩნია სახელმწიფოს, შემოსავლების უთანაბრობის შესამცირებლად, გარდა სათანადო საგადასახადო და სოციალური პოლიტიკის გატარებისა ისე, რომ არ შემცირდეს და პირიქით, გაიზარდოს კიდევ ქვეყნის ეკონომიკური ეფექტურობა. პასუხი მარტივიც არის და იმავდროულად რთულიც, რათა მოითხოვს დიდ ძალისხმევას და ნებისყოფას, რამეთუ საქმე ეხება „ჩრდილოვან ეკონომიკასთან“ და კორუფციასთან ბრძოლის საკითხებს. ეს მეტ-ნაკლებად ნიშანდობლივია სხვადასხვა ქვეყნებისთვის - მათ შორის უფრო ხშირად ახალგაზრდა დემოკრატიის და საბაზრო ეკონომიკაზე გადასულის გარდამავალ რეჟიმში მყოფათათვის, აგრეთვე ერთპიროვნული და დიქტატორული მმართველობისას და სხვა. „ჩრდილოვან ეკონომიკაში“ შესაძლოა მოიაზრებოდეს დიდი შემოსავლები (რიგ შემთხვევებში თანაზომადი ქვეყნის მნპ-ის), რომლებიც არ აისახებიან ოფიციალურ სტატისტიკაში და შესაბამისად არც ხდება სათანადო გადასახადების გადახდა. სწორედ ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდნენ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები (რუსეთი, აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიის და დსთ-ს ქვეყნები, მათ შორის საქართველოც).

გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა (მათ შორის, ბევრ შემთხვევაში ფსევდო პრივატიზაციამ, ვაუჩერიზაციამ და სხვა), მოახდინეს მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი დიფერენციაცია და საზოგადოების ფენებად დაშლა - ღარიბების გაღატაკება და მდიდრების სიმდიდრის მკვეთრი მატება. კრიმინალურმა და კორუმპირებულმა ჯგუფებმა, მნიშვნელოვანი ფინანსური საშუალებები და შემოსავლები გადაქაჩეს „ჩრდილოვან ეკონომიკაში“ და ამდენად, სამწუხაროდ ასეთ ქვეყნებში სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს (სამსახურებს) უწევთ ოპერირება უზუსტო მონაცემებით. ეს კი იწვევს იმას, რომ ოფიციალური სტატისტიკური მასალის საფუძველზე მიღებულ ეკონომიკაში აღიარებული ლორენცის (გაბნევის) მრუდეები და ჯინის კოეფიციენტები, არ შეესაბამებიან რეალურ სიტუაციას და ვეღარ ასახავენ შემოსავლების რეალურ განაწილებას, როგორც ცნობილია „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ პრობლემები არსებობს აგრეთვე ბევრ განვითარებად ქვეყნებშიც.

ამიტომ, „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ და კორუფციის გამო, რეალური სმშპ ასეთ ქვეყნებში შეიძლება მეტი იყოს ოფიციალურად გაცხადებულ სიდიდეზე. ხოლო შემოსავლების განაწილების უთანაბრობა საგრძნობლად გაზრდილი აღმოჩნდეს. „კარგ“ მაგალითს ამ მხრივ წარმოადგენს ჩვენი დიდი მეზობელი რუსეთი, სადაც რეფორმები ეკონომიკაში დაიწყო 1991-92 წლებში და რასაც მოჰყვა ზემოთხსენებული მოვლენები.

ცხრილ 3 - ში მოყვანილია გაეროს განვითარების ფონდის [6] მონაცემები ჯინის კოეფიციენტის შესახებ, აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ს ზოგიერთი ქვეყნის, მათ შორის რუსეთის შესახებ, საიდანაც ჩანს რომ, ჯინის კოეფიციენტი (ანუ, შემოსავლების უთანაბრობა) განხილულ პერიოდში პრაქტიკულად გაიზარდა ორჯერ.

ცხრილი 3

ქვეყანა	1987/88	1993/95	ზრდა
უკრაინა	0.23	0.47	0.24
რუსეთი	0.24	0.48	0.24
ლიტვა	0.23	0.37	0.14
უნგრეთი	0.21	0.23	0.02
პოლონეთი	0.26	0.28	0.02

სურ. 6-ზე გამოსახულია ლორენცის (გაბნევის) მრუდეები (1,2,3) რუსეთის შემთხვევაში, აღებულია სახსტატის ოფიციალური ცნობარიდან [7], ხოლო ლორენცის მრუდი - 4 კი აღებულია [8] -დან. სურ. 6-დან ჩანს, რომ ეკონომიკური რეფორმების გატარების კვალობაზე, რუსეთში მართლაც ხდებოდა შემოსავლების განაწილების უთანაბრობის ზრდა (მრუდეები 2 და 3 უფრო მარჯვნივ არიან განლაგებული 1-ის მიმართ), თუმცა მთლიანობაში, თუ ვიმსჯელებთ ოფიციალური მონაცემებით, ასეთი ზრდა არ იყო ძალიან გამოხატული.

იმავედროულად, რუსეთში რიგი ოფიციალური პირები (მათ შორის საგადასახადო პოლიციიდან, მასმედია და სხვა) ამტკიცებენ, რომ იმ პერიოდში (და მერეც) „ჩრდილოვან ეკონომიკაში“ შემოსავალი შეადგენდა თითქმის 40-50% ქვეყნის მთელი შემოსავლიდან.

ხსენებულ ნაშრომში [8] გამოყენებული იყო საექსპერტო-სტატისტიკური მეთოდი, რუსეთის მოსახლეობაში შემოსავლების რეალური განაწილების განსაზღვრისთვის, ფარული შემოსავლების გათვალისწინებით. ამ ნაშრომში აღინიშნება, რომ ქვეყნის მოსახლეობის ხუთ ფენად (სტრატად) დაყოფისას (ე.წ. კვინტალური მოდელი), ყოველ ჯგუფში (ფენაში) არის

ფარული შემოსავლები, თუმცა ძირითადად ისინი თავმოყრილია ყველაზე მდიდარ (I და II) ფენებში, რომლებიც სურ.6-ზე მონიშნულია ყვითლად. მრავალრიცხოვანი საექსპერტო მონაცემების დამუშავების საფუძველზე ეს ნაშრომი აჩვენებს, რომ რეალური შემოსავალი 54%-ით მეტია ოფიციალურზე, რაც აისახება კიდევ მე-4 მრუდით სურ.6-ზე. ჯინის კოეფიციენტი მისთვის ტოლია $K_G = 0.531$, ანუ გაზრდილია 1.4-ჯერ.

ამგვარად, განხილული მაგალითი ცხადყოფს, რომ „ჩრდილოვან ეკონომიკას“ და მთლიანობაში კორუფციას მივყავართ შემოსავლების განაწილების არათანაბრობის მნიშვნელოვან ზრდასთან, ეს კი საბოლოო ჯამში დაძაბულობის და უკმაყოფილების ბუნებრივი მაპროვოცირებელი წყაროა ქვეყნის საზოგადოებაში. ის, რომ საქართველოში, 21-ე საუკუნის პირველ დეკადაში, მოსულმა მთავრობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია კორუფციასთან ბრძოლას, გადასახადების აკრეფის სათანადო მართვის პრობლემატიკას და ა.შ., შედეგი გამოიღო და ქვეყანამ ამ კუთხით რეგიონში (და არა მარტო) მნიშვნელოვან წინასვლას მიაღწია, რაც ბუნებრივია აისახა მის სათანადო რეიტინგებზე მსოფლიო გაერთიანების ქვეყნებს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლეჟავა, გ., & ლეჟავა, ბ. (2015). *საზოგადოებაში ეკონომიკური აქტივობისა და ეკონომიკური აპათიის საკითხის განხილვა გაბნევის მრუდეების და მათემატიკური აპარატის საშუალებით*. თბ. კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული.
2. Kendall, M., & Stuart, A. (1962). *The Advance Theory of Statistics. V.1. Distribution Theory*. London, Griffin, G. & Co.
3. Lezhava, G., & Lezhava, B. (2013). *The scattering curve and its derivative in the process of competition study*. Tbilisi: Caucasus University's Scientific Papers.
4. Samuelson, P., & Nordhaus, W. (2000). *Economics*. Irvin & McCrow Hill Co, 16th Edition.
5. UN Development Program. Human Development Report – (2000), N-Y; UNDP, Oxford University Press.
6. Varakin, L.E. (2004). *Digital Divide in the Global Information Society*. Moscow: Publication of ITA.
7. Айвазян, С. А. (1997). *Модель формирования распределения населения России по величине среднедушевого дохода*. Экономика и математические методы, Т.33, Вып. 4.
8. Социальное положение и уровень жизни населения России. (1999). Стат. сб. М.: Госкомстат.

გაბნევის მრუდეების გამოყენება, სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ღარიბი
ჯგუფებისათვის გასაწევი სოციალური დახმარების შეფასებისას

გურამ ლეჟავა

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

ბორის ლეჟავა

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

კავკასიის უნივერსიტეტი

ანოტაცია

იქიდან გამომდინარე, რომ გაყიდვების გაზრდისა და მაღალი მოგების მიღების ერთ-ერთ საშუალება არსებული მომხმარებლების მიერ პოტენციური მოხმარებლებისთვის რეკომენდაციის გაწევაა, რამდენიმე წლიანი კვლევის შემდეგ ფრედ რიჩელმა შექმნა მარტივი ფორმულა "Net Promoter Score"³-ის დასათვლელად. ის უჩვენებს კომპანიას არსებულ მომხმარებელთა რა რაოდენობა გაუწევს ან არ გაუწევს კომპანიას რეკომენდაციას პოტენციურ მომხმარებლებთან.

$$\text{Net Promoter Score} = \text{რეკომენდატორი (Promoters)} - \text{კრიტიკოსი (Detractors)}$$

ფორმულაში "რეკომენდატორები" არის მომხმარებელთა ის პროცენტული წილი, რომლებიც კონკრეტული კომპანიის პროდუქტის/მომსახურების შეძენის შემდეგ რეკომენდაციას გაუწევენ სხვა პოტენციურ მომხმარებლებს. ხოლო "კრიტიკოსები" არის მომხმარებელთა ის პროცენტული წილი, რომლებიც არ გაუწევენ რეკომენდაციას კომპანიას და მის პროდუქტებს/მომსახურებას. ამ ტიპის კვლევის ჩატარების დროს კომპანია არსებულ მომხმარებლებს უსვამს მხოლოდ ერთ შეკითხვას: "გაუწევთ კომპანიას /ზრუნდს/პროდუქტს/მომსახურებას რეკომენდაციას თქვენს მეგობართან/კოლეგასთან?" შედეგად, კომპანია საზღვრავს მომხმარებლებლებში რა წილი უკავიათ "რეკომენდატორებს", "პასიურ მომხმარებლებს" და "კრიტიკოსებს". ქვემოთ მოცემული შკალა (ნახ. 1), რომლის მიხედვითაც კომპანია ითვლის Net Promoter Score-ს. რაც უფრო მაღალია "რეკომენდატორების" პროცენტული წილი, მით მაღალია კომპანიის ROMI - მარკეტინგში ინვესტირებული მოგება ერთ დოლარზე (3).

³ Frederick F. Reichheld, "The One Number You Need To Grow", Harvard Business Review, December, 2003.

განსაკუთრებულად საინტერესო და მნიშვნელოვანია. ეს გამომდინარეობს ადამიანების თვითწარმოჩენის მიმართ ბუნებრივი ტენდენციით. შესაბამისად, ისინი ზრუნავენ იმაზე, თუ რას და როგორ იტყვიან. წერის დროს მომხმარებლებს აქვთ საკმარისი დრო ჩამოაყალიბონ სასურველი აზრი სწორად, გამართონ და დახვეწონ გზავნილი, ისე, რომ სხვებს/ნაცნობებს მათზე "კარგი" შეხედულება შეექმნათ (4).

"მომხმარებლები კმაყოფილებას უზიარებენ ხუთ ადამიანს, ხოლო უკმაყოფილებას თხუთმეტს" - ფოლკლორული ციტატაა, რომლის პროპაგანდა ყველაზე ხშირად ხდება მარკეტინგში. ანუ, უარყოფითი WOM უფრო სწრაფად ვრცელდება და უფრო მეტ ადამიანს მოიცავს. ამ დროს მომხმარებლები საუბრობენ ყველასთან და ყოველთვის როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემათ. უარყოფითი ინფორმაციის გავრცელების შესახებ მრავალი კვლევა ტარდება. მეცნიერები იკვლევენ მიზეზებს, თუ სად, რა საშუალებებით, ვისთან და რატომ ავრცელებენ ან არ ავრცელებენ მომხმარებლები ნეგატიურ WOM-ს.

ნეგატიური WOM (NWOM - negative word of mouth) წარმოიშვება ბრენდთან შეხების უარყოფითი გამოცდილების მიღებით. ვინაიდან მაღალკონკურენტულ გარემოში, სადაც კომპანიები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მიაღწიონ მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალ დონეს, თითოეული NWOM შეიძლება გახდეს გადამწყვეტი ბაზრის წილისა და შემოსავლების მიღების თვალსაზრისით (Anderson 1998). მომხმარებლები NWOM-ს ავრცელებენ მაშინ, როცა ფიქრობენ, რომ პრობლემა არის ძალიან რთული, პროდუქტის არის ხარისხის არაადეკვატური და მათი საჩივარი/უკმაყოფილება კომპანიის მიმართ ვერ მოგვარდება. მომხმარებლები ნაკლებად ავრცელებენ ნეგატიურ ინფორმაციას, თუ ფიქრობენ, რომ მათი იმიჯი შეილახება ინფორმაციის მიმღების თვალში (Kowalski 1996; Richins 1984). ისინი, ვისაც სურთ, რომ იყვნენ გამორჩეულნი ნაკლებად ავრცელებენ დადებით WOM-ს (Cheema and Kaikati 2010), რათა არ შემცირდეს მათი შენაძენის უნიკალურობა სხვების თვალში.

იქიდან გამომდინარე, რომ ქალებს და მამაკაცებს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ საკუთარი თავის და სხვათა აღქმის მიმართ, შესაბამისად NWOM-ის გავრცელება სხვადასხვა სქესში სხვადასხვანაირად ხდება. ვინაიდან ქალები არიან უფრო მეტად სხვებზე ორიენტირებულნი, უფრო მეტი ალბათობაა, რომ გაავრცელონ NWOM ახლობლებთან, ვიდრე უცნობებთან. რადგან მამაკაცები უფრო მეტად საკუთარ თავზე არიან ფოკუსირებულნი,

NWOM-ის გავრცელება არ არის დამოკიდებული ნაცნობებთან კავშირის სიძლიერის დონეზე (5).

სოციალური მედიის განვითარებამ და ნაცნობებთან ონლაინ გამარტივებულმა ურთიერთობამ გამოიწვია მასიური ონლაინ WOM კომუნიკაცია. ერთნაირი ინტერესების, შეხედულებების, დამოკიდებულებების ადამიანებს სოციალურმა მედიამ საშუალება მისცათ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, გაცვალონ ინფორმაცია, დაამყარონ ურთიერთობა და გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და აზრები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებიდან. ასეთ ინტენსიურ კომუნიკაციას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია კომპანიების წარმატებასა და წარუმატებლობაზე. სოციალური მედია კომპანიებს სთავაზობს ახალ შესაძლებლობებს და გამოწვევებს. დანიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით eWOM (electronic word of mouth) მომხმარებლებში აღიქმება უფრო ობიექტურად და სანდოდ, ვიდრე კომპანიის მიერ განხორციელებული ბრენდის კომუნიკაცია. eWOM ნაკლებად პერსონიფიცირებულია და ის დიდ სივრცისა და მასების მომცველია. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული WOM ძალიან პრივატულია, ხოლო ელ. WOM სახალხო და მოიცავს უამრავ ადამიანს ერთდროულად, ელ. WOM-ის გამავრცელებლებს მაინც შეუძლიათ დარჩნენ ანონიმურად, რაც მათ თავისუფლად "ლაპარაკის" საშუალებას აძლევს. ონლაინ კომუნიკაცია ზოგადად და eWOM კონკრეტულად, შეიძლება გახდეს ძალიან მისაღები საკომუნიკაციო არხი მათთვის, ვისაც უჭირს ადამიანებთან პირისპირ კომუნიკაცია. ასეთი ადამიანები ონლაინ კომუნიკაციისას ხდებიან უფრო სოციალურები და თავდაჯერებულნი (6).

ის თუ რაზე საუბრობენ მომხმარებლები სოციალურ ქსელებში ონლაინ და ოფლაინ განსხვავდება ერთმანეთისგან. ქვემოთ მოცემულია 2010 წელს გამოქვეყნებული მონაცემები, აშშ-ში, 700 ბრენდზე სამი წლის განმავლობაში ჩატარებული დაკვირვების შედეგად (7):

ოფლაინ და ონლაინ WOM-ის განაწილება პროდუქტების კატეგორების მიხედვით		
პროდუქტის კატეგორია	ოფლაინ	ონლაინ
თავის მოვლის საშუალებები	5 %	1 %
სასმელები	13 %	3 %
ავტომობილები	10 %	17 %
საბავშვო პროდუქტები	2 %	0 %
ტანსაცმელი	7 %	3 %
უნივერსალური მაღაზიები	5 %	4 %
ფინანსური მომსახურება	4 %	2 %
საკვები პროდუქტები და მომსახურება	12 %	4 %
ჯანმრთელობის მომსახურება	3 %	1 %
სახლის დიზანი და დეკორაცია	1 %	1 %
საქონელი სახლისათვის	2 %	0 %
მედია და გართობა	9 %	32 %
სპორტი და ჰობი	3 %	8 %
ტექნოლოგიური პროდუქტები	1 %	17 %
ტელეკომუნიკაცია	9 %	7 %
ტურისტული კომპანიების მომსახურება	3 %	1 %

როგორც ცხრილიდან ჩანს, განსხვავდება მომხმარებლების მიერ განხილული პროდუქტების კატეგორიების პროცენტული მაჩვენებლები ონლაინ და ოფლაინ სოციალურ ქსელებში. აღსანიშნავია, რომ ოფლაინ ქცევას ვერ საზღვრავს ონლაინ მონაცემები. ასევე, ვერ ხერხდება ონლაინ მესიჯების განზოგადება ოფლაინზე.

ამრიგად, მომხმარებლების მიერ გავრცელებული ხმა, ე.წ. WOM (word of mouth), მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კომპანიის საზოგადოებრივ იმიჯს, ვინაიდან მომხმარებლები არიან კომპანიის საუკეთესო შემფასებლები. კმაყოფილი მომხმარებლები არა მარტო რჩებიან

კომპანიის ერთგულ მომხმარებლებად, არამედ ისინი ნებაყოფლობით ავრცელებენ დადებით აზრს კომპანიის, ბრენდის, პროდუქტისა და მომსახურების შესახებ. აქედან გამომდინარე, კომპანიები მუდმივად უნდა "უსმენდნენ" თუ რაზე და რას საუბრობენ როგორც საკუთარი, ისე კონკურენტი კომპანიების მომხმარებლები როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ რეჟიმში. დადებითი WOM-ის საშუალებით კომპანიებს ნაკლები ძალისხმევით შეუძლიათ მიაღწიონ მეტს, რაც გამოიხატება საზოგადოებაში სასურველი იმიჯის დამყარებასა და ფინანსურ შედეგებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Stillman, Adam.** *Forbes*. [Online] Forbes.com LLC™. [Cited: November 24, 2014.] <http://www.forbes.com/sites/theyec/2014/10/16/5-ways-to-get-your-customers-talking-about-your-product/>.
2. *Prnewswire*. [Online] PR Newswire Association LLC. [Cited: November 21, 2014.] <http://www.prnewswire.com/news-releases/landmark-study-shows-word-of-mouth-drives-13-of-consumer-sales-283040971.html>.
3. **Best, Rojer J.** *Market-Based Management*. 5-th Edition. New Jersey : Pearson Education, Inc., 2009. 13:978-0-13-813396-2.
4. *Communication Channels and Word of Mouth: How the Medium Shapes the Message.* **Jonah Bergner, Raghuram Iyengar.** s.l. : Journal of Consumer Research, 2013, Vol. 40. DOI:10.1086/671345.
5. *How males and females differ in their likelihood of transmitting negative word of mouth.* **Yinlong Zhang, Lawrence Feick, Vikas Mittal.** s.l.: Journal of Consumer Research, 2014, Vol. 40. DOI:10.1086/674211.
6. *Electronic word of mouth communication and consumer behaviour:an expolatory study of Danish social media communication influence.* **Signe Tegtmeier, Liana Razmerita, Elanor Colleoni.** 1, s.l. : LSP Journal, 2014, Vol. 5. 1904-4135.
7. **Keller, Ed.** <http://www.mediabizbloggers.com/>. [Online] 2014. [Cited: December 1, 2014.] <http://www.mediabizbloggers.com/ed-keller/111949889.html>.

მომხმარებლები ენდობიან იმას, რაც მათ მეგობრებს მოსწონთ

თამარ მაღალაშვილი
დოქტორანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია "ხმის გავრცელება" ანუ WOM (word of mouth), როგორც მარკეტინგული კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალება, კომპანიებისთვის. მაშინ, როცა მომხმარებლები ექცევიან "აგრესიული მარკეტინგის" ზეგავლენის ქვეშ, ნაცნობ-მეგობრების მიერ გაწეული დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაცია კონკრეტული ბრენდის პროდუქტისა თუ მომსახურების შესახებ არსებით გავლენას ახდენს მათ ყიდვის გადაწყვეტილებაზე. სტატიაში განხილულია თუ რა შემთხვევაში ავრცელებენ მომხმარებლები უარყოფით WOM-ს მომხმარებლები და რაზე საუბრობენ ისინი სოციალურ მედიაში.

Consumers trust in what their friends like

Tamar Maghalashvili
Ph.D. Student
Caucasus University

Abstract

The presented article analyzes the importance of WOM (word of mouth) as an IMC's one of the most powerful tool for a company. While being pressed under companies' aggressive marketing campaigns WOM plays the crucial role in product/service purchase decision. It is also discussed the reasons and circumstances when the NWOM (negative word of mouth) is formed. Special attention is paid to WOM that is spread through social media.

სიახლეები ტაო-კლარჯეთში 2014 წელს განხორციელებული ექსპედიციების
მასალებიდან



თეიმურაზ ხუციშვილი
პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი
პროექტის ხელმძღვანელი

ლევან წიქარიშვილი (მაგისტრი)
ანა გელაშვილი (მაგისტრი)
ბებურ გოზალიშვილი (მაგისტრი)
შალვა კოლუაშვილი (მაგისტრი)
ანა იმედაშვილი (მაგისტრი)

შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, 2013 წელს გამოაცხადა სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი - “საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევა“. საკვლევი ექსპედიციები ტარდება ამ კონკურსში გამარჯვებული პროექტის - “თურქეთში მდებარე ქართული ისტორიული მხარეების ტაო-კლარჯეთისა და კოლა-არტანის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების კატალოგის“ განხორციელების ფარგლებში.

ექსპედიციები მიმდინარეობს:

კავკასიის უნივერსიტეტის ფინანსური და საორგანიზაციო მხარდაჭერით;

საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის მონაწილეობით.

ექსპედიციებში მონაწილეობდნენ: თეიმურაზ ხუციშვილი (ხელმძღვანელი), ლევან წიქარიშვილი, ბებურ გოზალიშვილი, ანა გელაშვილი, შალვა კოლუაშვილი და ანა იმედაშვილი.

საკვლევი სამუშაოს კონსულტანტები არიან:

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი დიმიტრი თუმანიშვილი;

გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით მაისურაძე;

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კახა შენგელია;

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემო (თეიმურაზი) ჯოჯუა;

მაგისტრი დავით გაჩეჩილაძე.

საექსპედიციოდ შესწავლილ იქნა ქართული და უცხოური წერილობითი, კარტოგრაფიული და სხვა წყაროები, მათ შორის ინტერნეტმასალა, რომლებიც ეხებოდა თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიულ ქართულ მხარეებს - არტანს, ერუშეთს, კოლას, პალაკაციოს, ფოსოს, ჯავახეთისა და სამცხის ნაწილს. ეს მხარეები ამჟამად არდაჰანისა და ყარსის პროვინციებში მდებარეობს.

2014 წელს განხორციელებული ცხრა ექსპედიციის შედეგად გადამოწმდა ამ პროვინციებში მდებარე 314 სოფელი, ნასოფლარი და მათი მიდამოები. ასევე 190-მდე კარტოგრაფიული (ბეჭდვითი და ელექტრონული) მონაცემი, რომლებზეც მინიშნებული იყო ნანგრევები (разв.; P.И.; P.Кр.). დაფიქსირდა იმ ძეგლების თანამედროვე მდგომარეობა, რომელიც ცნობილი იყო წერილობითი წყაროებიდან. გადამოწმდა ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ მითითებული ცალკეული ძეგლები, რომლებიც არც ერთ წყაროში არ იყო მოხსენიებული.

საკვლევ ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა 56 ეკლესია (15 უცნობი), 103 ნაეკლესიარი (53 უცნობი), 24 ციხე და კოშკი (5 უცნობი), 79 მეგალითური ნაგებობა (ნასახლარები, სათავდაცვო და საკულტო ნაგებობები) (71 უცნობი), 20 წარწერა (2 ურარტული, 15 ქართული, 3 სომხური) (ქართული წარწერებიდან 11 უცნობი), ქვაზე კვეთილობები და არქეოლოგიური არტეფაქტები. პარალელურად დაფიქსირდა სომხური, ბერძნული, რუსული და თურქული კულტურის ცალკეული ძეგლები (ნაგებობები, წარწერები, ქვაზე კვეთილობები და სხვა).

შედეგად დაფიქსირდა წერილობითი წყაროებიდან ცნობილი აქ მდებარე კულტურის 118 ისტორიული ძეგლის თანამედროვე მდგომარეობა. გარდა ამისა გამოვლინდა კულტურის 144 უცნობი ისტორიული ძეგლი, რომლებიც არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

მოხდა ზემოთნახსენები თითოეული ძეგლის ფოტოფიქსაცია, გაკეთდა ანაზომები და დაფიქსირდა GPS კოორდინატები. აქვე დაფიქსირდა 300-მდე ქართული ტოპონიმი და მიკროტოპონიმი, მათ შორის იმ სოფლების ტოპონიმები სადაც ისტორიული კულტურის არც ერთი ძეგლი აღარაა შემორჩენილი.

სტატიაში მოცემულია ექსპედიციების შედეგად მიკვლეული უცნობი ძეგლების ნაწილი.

ჩიხირეთის ნაეკლესიარი და სტელა

ჰანაკის რაიონში, ისტორიულ ერუმეთში, სოფელ ჩიხირეთის (გურჯისტანის ვდდ., თბ., 1958; საქართველოს რსრ., თბ., 1931-1932; Подробная карта ..., 1869-1914), თანამედროვე სოფელ იუნბუკენის (Yünbüken), ჩრდილო-დასავლეთით 1,4 კმ-ზე, მდ. სამოთხისწყლის მარცხენა ნაპირზე, ფერდობზე მდებარეობს ნაეკლესიარი ($41^{\circ}16'36.26''N$; $42^{\circ}51'35.29''E$). დარბაზული ტიპის მომცრო ეკლესიისგან შემორჩენილია ჩრდილოეთის კედლის წყობა, ოთხი კარგად გათლილი კვადრი (შემორჩენილი კედლის სიგრძე 160 სმ-ია, თითო კვადრი 40 სმ-ია). სავარაუდოდ ტაძარს ჰქონდა მინაშენი სამხრეთიდან, რომლის ნანგრევებთან აღმოჩნდა ადამიანის ძვლები და დამუშავებული ქვის ფრაგმენტები - ლორფინებისა და ორნამენტული ლავგარდანის ნაწილი. ქვებს შორის ვნახეთ დაზიანებული სვეტის კაპიტელი (48×32 სმ). კაპიტელის ფრიზზე ერთ მხარეს გამოსახულია კუწუბები და რომბისებრი ჩუქურთმები, კარგად ჩანს კაპიტელის ორი კუთხე, დანარჩენი ნაწილი დაზიანებულია. ეკლესია თეთრი ფერის ქვით ყოფილა ნაშენი. ადგილობრივი მოსახლეების ინფორმაციით ეკლესიის ტერიტორიაზე ერთ-ერთ ქვაზე ქალისა და ლომის გამოსახულებები ყოფილა (ქვა ამჟამად დაკარგულია). ჩიხირეთის ეკლესია არაა მეხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.


დაბა ჰანაკში ადგილობრივ მოსახლეს ჩიხირეთის ამ ტაძრიდან წამოუღია სტელა. ეს არის მართკუთხედის ფორმის ქვა (53×95 სმ., დიამეტრი 60 სმ.), რომელშიც ცილინდრული ფორმის ჭრილია (თაღი), ხოლო ქვის ზედა ნაწილი წრიული ფორმისაა, ქვის ზედა გლუვი ფორმის კუთხეებზე გამოსახულია ორი წვეროსანი მამაკაცის პორტრეტი, ორივეს სახე კისრამდე მოჩანს, ზეაპყრობილი მავედრებელი ხელები კი, მკლავებამდეა გამოსახული. თავზე შარავანდი ადგათ, ხოლო მარჯვნივ გამოსახულს ჯვრული შარავანდი აქვს. სტელა სამი მხრიდან შემკულია ორნამენტული დეკორით, გვერდებზე ამოკვეთილია თაღები, რომლებიც ზედა წრიულად დამუშავებულ ნაწილამდე ადის, თაღები და მთლიანად გვერდითა ნაწილები შემკულია ორნამენტული სახეებით, მარჯვენა გვერდზე ორნამენტს შორის გამოსახულია ჯვარი. შუა თაღი, რომელიც თაღოვანი ჭრილის თავზეა, შემკულია რომბების წნული ჩუქურთმით. მათ ჩამოგრძელებაზე კი გამოსახულია ორმაგი გრეხილი ლილვები. ქვის მარცხენა კიდე მომტვრეულია, ხოლო მარჯვენა უკანა მხარეს ნახევარი მხარე ჩამოკვეთილია.

სტელას აქვს მეორე ნაწილი, სვეტი (60×30 სმ.), რომელიც მისი გაგრძელებაა (დასამაგრებლად აქვს კუთხოვანი ფოსო), იგი კიდეებზე შემკულია ორნამენტული დეკორით.



ევგენეკის (?) ეკლესია ფახრელთან


არდაჰანის რაიონში, ისტორიულ არტანიში, სოფელ ფახრელის (გურჯისტანის ვდდ., თბ., 1958; გურჯისტანის ვრ., თბ., 1953), თანამედროვე კარტალპინარის (Kartalpinar), ჩრდილო-დასავლეთით მთებში 4,7 კმ-ზე, სათიბებში, შემორჩენილია დარბაზული ეკლესია (5,3 X 7 მ.) (41°10'34.11"N; 42°42'1.26"E). ადგილობრივი მოსახლეობა აქ მდებარე ნასოფლარს “ევგენეკს” უწოდებს (სოფლის ისტორიული სახელწოდება უცნობია). დარბაზული ეკლესია აღმოსავლეთი ნახევარწრიული აფსიდით, სივრცისგან გამოყოფილია მოკლე მხრებით. ნაგებია მომცრო კვადრებით, რომელთა წყობას შორის ჩანს ნალესობა. ეკლესია დაზიანებულია – ჩამონგრეულია კამარა, დასავლეთი და სამხრეთი კედლების ნაწილები. ეკლესიის გარშემო მიმობნეულია ეკლესიის სამშენებლო ქვები, რომელთა შორის ვნახეთ მცირე კვადრზე (25 X 25 სმ.) ბოლოებგაფართოებული ჯვრის ჩაკვეთილი გამოსახულება. ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.



ლ. წიქარიშვილის გეგმა

ქვემო ტიკანის საზაფხულო სადგომის ეკლესია

არდაჰანის რაიონში, ისტორიულ არტანში, სოფელ ქვემო ტიკანის (გურჯისტანის ვდდ., თბ., 1958; გურჯისტანის ვრ., თბ., 1953; საქართველოს რსრ., თბ., 1931-1932), თანამედროვე ალაჩამის (Alaçam) საზაფხულო სადგომებზე, რომელიც მდებარეობს ქალაქ არდაჰანის ჩრდილოეთით, 7 კილომეტრზე მთაში, მდინარე ჩერმუკისხევის სათავესთან (ჰანაკ-არდაჰანის ადმინისტრაციულ საზღვართან) შემორჩენილია დარბაზული ტიპის დაზიანებული ეკლესია (8,5 X 5,4 მ.) (41°11'8.25"N; 42°41'4.99"E.), ჩამოქცეულია კამარა და გარდა აღმოსავლეთი კედლისა, სამივე კედლის ზედა ნაწილი. ტაძრის შიდა სივრცე ამჟამად გამოყენებულია საქონლის სადგომად. დასავლეთით მიშენებულია საცხოვრებელი სადგომი. ტაძარს შესასვლელი კარი სამხრეთით ჰქონდა. ნაგებია მოგრძო, გათლილი, მოყვითალო კვადრებით. აღმოსავლეთ კედლის ფასადზე გამოსახულია ვარდული. ეკლესია მოხსენიებული არ არის ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.




ლ. წიქარიშვილის გეგმა

ბებერეჯის ეკლესია და ნაეკლესიარი

არდაჰანის რაიონში, ისტორიულ არტანში, სოფელ ბებერეჯში (გურჯისტანის ვდდ., თბ., 1958; Подробная карта ..., 1869-1914), თანამედროვე ჩეტინსუს (Çetinsu) ცენტრში მდებარეობს ნაეკლესიარი (41°8'11.49"N; 42°32'17.27"E). შემორჩენილია ნაგებობის საკურთხევლის აფსიდის მომრგვალება, რომელიც გეგმის დონეზეა დარჩენილი და დასავლეთი კედლის მცირე ფრაგმენტი, იქვე ახლოს კი დულაბიანი კედლის სამი ფრაგმენტი. ნაეკლესიარიდან დაახლოებით 100 მეტრზე სკოლის გალავნის შესასვლელში ჩამუნებულია ბერძნულწარწერიანი ორი საფლავის ქვა. ადგილობრივი მოსახლეობა მეჩეთის ადგილას კიდევ ერთი ეკლესიის არსებობას ადასტურებს, რომლისგანაც აღარაფერია შემორჩენილი.

მეჩეთის კედლის ძირში, გარშემოსავლელში ჩატანებულია ბერძნულწარწერიანი კიდევ ერთი საფლავის ქვა. ბებერეჟის ეკლესია დაფიქსირებული აქვს კონსტანტინე ოდიშარას 1913-1918 წლების მოგზაურობათა დღიურებში, თუმცა აღწერა არ აქვს მოტანილი (მარტვილელი, თბ., 1917).

სოფელ ბებერეჟის დასავლეთით, მთის ფერდობზე სოფლიდან 1 კმ-ზე შემორჩენილია დაზიანებული ეკლესია (41°8'24.44"N; 42°31'21.49"E). ესაა დარბაზული ტიპის ეკლესია აღმოსავლეთი ნახევარწრიული აფსიდით და სამხრეთი მინაშენით (7,7 X 5,3 მ., მინაშენის სიგანე 2 მ.). მინაშენი დანგრეულია გეგმის დონემდე, მხოლოდ აღმოსავლეთით იკითხება აფსიდის კედლის მომრგვალება. ჩამონგრეულია ეკლესიის კამარა და აფსიდის კედლის შუა ნაწილი. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ინტერიერში დარჩენილია ნალესობის კვალი. იგი ნაგებია უხეშად დამუშავებული არათანაბარი კვადრებით. ეკლესია არაა დაფიქსირებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.




ლ. წიქარიშვილის გეგმა

სირასგომის მეგალითური ნაგებობა

არდაჰანის რაიონში, ისტორიულ არტანში, სოფელ სირასგომის (გურჯისტანის ვდდ., თბ., 1958; გურჯისტანის ვრ., თბ., 1953), თანამედროვე სარიიმაჩის (Sarıyamaç) სამხრეთ-დასავლეთით 1,4 კმ-ზე (სამანქანო გზით 2,5 კმ-ზე), მთის ფერდობის კლდოვან ბაქანზე აღმართულია გეგმით კვადრატული მეგალითური ნაგებობა (11,5 X 11,5 მ.) (41°10'17.23"N; 42°32'13.63"E), რომლის ორი საამშენებლო ფენა კარგად განირჩევა. შესასვლელი კარი აღმოსავლეთიდანაა გაჭრილი. შემორჩენილი კედლების სიმაღლეა 5 მ, კარის ჭრილის 1 მ, კედლის სისქე 3 მ-ია. კედლის გული ამოვსებულია ნატეხი ქვით. ნაგებობის კედლის ბაქანს

შემოუყვება მეგალითებით ნაგები მრუდხაზოვანი კედელი. ნაგებობა არაა დაფიქსირებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.




ლ. წიქარიშვილის გეგმა

სინდისგომის ეკლესია

არდაჰანის რაიონში, ისტორიული არტანში, სოფელ სინდისგომიდან (გურჯისტანის ვდდ., თბ., 1958; გურჯისტანის ვრ., თბ., 1953), თანამედროვე იალნიზჩამში (Yalnızçam), 2,5 კმ-ზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირთან მდებარე ბორცვზე მდებარეობს ეკლესია ($41^{\circ}5'3.21''N$; $42^{\circ}31'3.25''E.$), რომელიც აღმართულია საგანგებოდ მოსწორებულ ბაქანზე. ეკლესია არაა დაფიქსირებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში, ამიტომ მას დეტალურად აღწერთ: ესაა დიდი ნახევრად დანგრეული ნაგებობა (18 X 20 მ), რომელსაც მიწისქვეშა სართულიც აქვს. ტაძრის ჩამონგრეული მასა მის შიდა არეს ავსებს. მოზრდილ მთავარ, აფსიდიან სადგომს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან თითო მომცრო, ასევე აფსიდიანი სადგომი ახლავს, რომელთა გამოგრძელებაზე სამხრევი გარშემოსავლელია მოწყობილი. აფსიდის გვერდებზე კედლის სისქეში პაწია სწორკუთხა ოთახები არის გამართული. საკურთხევლის აფსიდი ღრმა ნახევარწრეს წარმოადგენს, რომლის ჩრდილოეთ კედელი სამხრეთთან შედარებით უკეთ დარჩენილა, თუმც შემოცლილი აქვს მოპირკეთების ქვები, მხოლოდ კედლის ქვედა მხარეს, მიწის დონეზე მიუყვება ერთი რიგი და ისიც ადგილ-ადგილ დაზიანებული. გვერდითა სადგომების აფსიდები ნახევრად დანგრეულია, კედლები დარჩენილია მიწის დონიდან დაახლოებით 0.5 მ-ზე, ორივე სადგომის საკურთხევლის მხარეს კედლებში მცირე ნიშებია. გარშემოსავლელის გარეთა კედელი დანგრეულია. ტაძრის კედლები აღმოსავლეთით უფრო დანგრეულია, ვიდრე დასავლეთით.

ტაძრის მთავარი სივრცე გარშემოსავლელს უკავშირდებოდა სამი კართი. გვერდითა ოთახების ქვეშ მოწყობილია კამაროვანი ოთახები (სამხრეთ ოთახის გადახურვა ჩაქცეულია, ხოლო ჩრდილოეთისა კარგადაა შენარჩუნებული, ზომებია 5X2.50 მ.). ორივე შესასვლელი კარი ნახევრად დაფარულია მიწის მასით, ეს მცირე სადგომები ალბათ საძვალეს წარმოადგენდა (სიგრძე 2.50 მ.).

ტაძარს გარს ორსაფეხუროვანი ცოკოლი შემოუვლიდა. დღეს ნახევრად დაზიანებული იგი ადგილ-ადგილ ჩანს. ტაძრის მოპირკეთების ქვები ზომიერი მონაცრისფრო თლილი კვადრები შიდა პირზეც არის დარჩენილი და გარეთაზეც. ტაძრის კვარცხლბეკი და ცოკოლი უფრო უხეშად დამუშავებული ქვების და არაწესიერი წყობითაა ნაგები.



ლ. წიქარიშვილის გეგმა

კუნძულუტის წარწერა


არდაჰანის რაიონში, ისტორიულ არტანში, სოფელ კუნძულუტში (გურჯისტანის ვდდ., თბ., 1958; გურჯისტანის ვრ., თბ., 1953; Подробная карта ..., 1869-1914), თანამედროვე ჩატალდერეში (Çataldere) სოფელში კერძო მოსახლის ჰალილ ბილგის ეზოში, №50 სახლში (41°11'56.26"N; 42°36'38.97"E), მივაკვლიეთ სავარაუდოდ ეკლესიის არქიტრავის ქვას, რომელზედაც ორსტრიქონიანი ლაპიდარული ასომთავრული წარწერაა. ქვის ზომებია 119X18 სმ., მთლიანი ფილის სიგანე 47 სმ. ესაა საამშენებლო წარწერა, რომელშიც დავით კურაპალატია მოხსენიებული. წარწერა არაა დაქსირებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.



ურუმის ეკლესია ქინძოტამალთან

არდაჰანის რაიონში, ისტორიულ არტანში, სოფელ ქინძოტამალის (გურჯისტანის ვდდ., თბ., 1958; გურჯისტანის ვრ., თბ., 1953), თანამედროვე ბაღდაშანის (Bağdaşan) დასავლეთით 3 კმ-ზე, ხევში, რომელსაც მოსახლეობა “ურუმდერეს“ უწოდებს, შემორჩენილია ნასოფლარი. ამ რეგიონში გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში ფიქსირდება სოფელი ურუმი, რომელიც აღნიშნული ნასოფლარი უნდა იყოს (გურჯისტანის ვდდ., თბ., 1958). ნასოფლართან ფერდზე მდებარეობს ეკლესია (6,4 X 3,3 მ.) (41°3'53.60"N; 42°21'6.66"E). დარბაზული ეკლესიის კამარა და კედლების ზედა ნაწილი ჩამონგრეულია. ეკლესიას აღმოსავლეთით აქვს ნახევარწრიული აფსიდი, რომლის კუთხეები გამოყვანილია უკეთ თლილი ნაცრისფერი ქვით. აფსიდში ორივე მხარეს დარჩენილია კუთხოვანი მცირე ნიშები. შესასვლელი კარი სამხრეთითაა გაჭრილი, სარკმლების კვალი არ ჩანს, უთუო მხოლოდ ისაა, რომ აღმოსავლეთის აფსიდში მას უეჭველად ჰქონდა სარკმელი (დღეს მისი წირთხლები


მონგრეულია). ეკლესია ნაგებია დიდი, ნაცრისფერი თლილი კვარდებით, კედლის კუთხეები კი უკეთ თლილი ქვითაა გამოყვანილი, კვადრებს შორის ჩანს დუღაბის ფენა. კედლის სისქე 0,7 მ-ია, კედლების შემორჩენილი სიმაღლე ზოგან 3 მ-ია. ეკლესია არაა დაფიქსირებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.



ლ. წიქარიშვილის გეგმა

ქვემო ჯაჯუნის მონასტერი


ფოსოფის რაიონში, ისტორიულ სამცხეში, სოფელ ქვემო ჯაჯუნის (გურჯისტანის ვდდ., თბ., 1958; გურჯისტანის ვრ., თბ., 1953), თანამედროვე დოღრულარის (Doğrular), სამხრეთით 700 მეტრზე, მდინარე ფოცხოვისწყლის ერთ-ერთი მარცხენა შენაკადის ხეობაში, კლდოვან ფერდზე შემორჩენილია კედლების ნაშთები (41°30'10.67"N; 42°42'43.16"E.). ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს “მონასტერს“ უწოდებს. შემორჩენილი კედლების სიმაღლე ზოგან 6-7 მეტრია და ფერდს გასდევს. მისი ქვედა ნაწილი ნაგებია შედარებით დიდი ზომის, უხეშად დამუშავებული ქვებით. ზედა ნაწილი კი, მცირე ზომის რიყის ქვითაა და დუღაბით. კედლის შიგნით განირჩევა ტერასული ნასახლარების კვალი, რომელთა ნაწილი ნაწილობრივ კლდეშია ნაკვეთი. ჩრდილოეთ ნაწილში დანგრეული ეკლესიისაგან დარჩენილია თლილი ქვების, დუღაბის და ნალესობის ფრაგმენტები, რომლებზეც განირჩევა მოხატულობის კვალი – მკრთალად დარჩენილა ლურჯი და წითელი საღებავი. ეკლესიის გეგმა არ დგინდება. ქვემო ჯაჯუნის მონასტერი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.



ლ. წიქარიშვილის გეგმა

დადაშენის საზაფხულო სადგომების ციხე

გიოლეს რაიონში, ისტორიულ კოლაში, სოფელ ოთხსაყდრების (ბატონიშვილი ვახუშტი, თბ., 1973) (სოფელი გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენიებულია დორთქილისას სახელწოდებით (გურჯისტანის ვდდ., თბ., 1958), თანამედროვე უღურტაშის (Şğurtaş) დასავლეთით 10 კმ-ზე, მდებარეობს სოფელ დადაშენის საზაფხულო სადგომები, რომლის ტერიტორიაზე შემორჩენილია ციხე (40°56'45.80"N; 42°21'32.63"E.). იგი ორი მცირე ხევის შესართავთან აღმართულ კლდოვან ტერასაზე დგას, ნაგებია დულაბითა და საშუალო ზომის ქვებით. მრუდხაზოვანი გეგმარებისაა (50 X 30 მ.). კედლები, რომელთა შემორჩენილი სიმაღლე საშუალოდ 3-4 მეტრია, ახლავს სწორკუთხა გოდოლები. განირჩევა შიდა გეგმარების კვალი. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს “ზოზუგუნს“ უწოდებს. ციხე დატანილია რუსეთის 5 ვერსიან რუკაზე (Подробная карта ..., 1869-1914). ციხე არ არის აღწერილი ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.



ლ. წიქარიშვილის გეგმა

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV ტ., თბ., 1973.
2. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი... გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, წიგნი III, თბ., 1958.
3. გურჯისტანის ვილაიეთის რუკა, შედგენილი ალ. ასლანიკაშვილი მიერ ს. ჯიქიას რედაქტორობით, 1953.
4. მარტვილელი კ. [კ. ოდიშარია], არტაანის მხარეში, გაზ. "საქართველო", 1917, №216-234.
5. საქართველოს რესპუბლიკის საზოგადო რუკა, შედგენილი ალ. ჯავახიშვილის მიერ, 1931-1932.
6. Подробная карта Кавказского края с прилегающими частями Турции и Персии в масштабе 5 верст в дюйме. – 1:210 000; 2,1 км в 1 см. – Факсимильное издание 1869-1914 гг.

სიახლეები ტაო-კლარჯეთში 2014 წელს განხორციელებული ექსპედიციების მასალებიდან

თეიმურაზ ხუციშვილი

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

პროექტის კოორდინატორი

ლევან წიქარიშვილი (მაგისტრი)

ანა გელაშვილი (მაგისტრი)

ბებურ გოზალიშვილი (მაგისტრი)

შალვა კოლუაშვილი (მაგისტრი)

ანა იმედაშვილი (მაგისტრი)

კავკასიის უნივერსიტეტი

ანოტაცია

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების საკვლევ ექსპედიციები ტარდება თურქეთში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში.

ექსპედიციები მიმდინარეობს: კავკასიის უნივერსიტეტის ფინანსური და საორგანიზაციო მხარდაჭერით და საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის მონაწილეობით.

2014 წელს განხორციელებული ცხრა ექსპედიციის შედეგად გადამოწმდა არდაჰანისა და ყარსის პროვინციებში მდებარე 314 სოფელი, ნასოფლარი და მათი მიდამოები.

საკვლევ ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა 56 ეკლესია (15 უცნობი), 103 ნაეკლესიარი (53 უცნობი), 24 ციხე და კოშკი (5 უცნობი), 79 მეგალითური ნაგებობა (ნასახლარები, სათავდაცვო და საკულტო ნაგებობები) (71 უცნობი), 20 წარწერა (2 ურარტული, 15 ქართული, 3 სომხური) (ქართული წარწერებიდან 11 უცნობი), ქვაზე კვეთილობები და არქეოლოგიური არტეფაქტები.

მოხდა ზემოთნახსენები თითოეული ძეგლის ფოტოფიქსაცია, გაკეთდა ანაზომები და დაფიქსირდა GPS კოორდინატები. აქვე დაფიქსირდა 300-მდე ქართული ტოპონიმი.

სტატიაში მოცემულია ექსპედიციების შედეგად მიკვლეული უცნობი ძეგლების ნაწილი.

News from the Materials of Implemented Expeditions in Tao-Klarjeti in 2014

Teimuraz Khutsishvili

Doctor of Science, Professor

Project Coordinator

Levan Tsikarishvili (Magistrate)

Ana Gelashvili (Magistrate)

Bebur Gozalishvili (Magistrate)

Shalva Koghuashvili (Magistrate)

Ana Imedashvili (Magistrate)

Caucasus University

Abstract

Georgian material and spiritual heritage exploratory expeditions, financed by Shota Rustaveli National Foundation, are held in Turkey- the historical Tao-Klarjeti.

The expeditions are proceeded: by organizational support of Caucasian University and with participating of Georgian Cultural and Tourism Resources Research Center.

On account of nine expeditions fulfilled in 2014, 314 village and former settlements and nearby territories in Ardahan and Kars were verified.

On the explored territories were found 56 churches (15 unknown), 103 ruins of churches (53 unknown), 24 castles (5 unknown), 79 megalithic constructions (former settlements, defensive and cultic constructions) (71 unknown), 20 inscriptions (2 Urartian, 15 Georgian, 3 Armenian) (11 unknown from Georgian inscriptions), Stone engravings and archeological artifacts.

All the above mentioned monuments have been photographed, made measurement and explored GPS coordinates. Here are clarified up to 300 hundred Georgian toponyms.

In the article is given the brief report of the expedition, where only the part of monuments are mentioned.

ადრე რკინის ხანის ნამოსახლარი აღმოსავლეთ კოლხეთიდან



ზურაბ ბრაგვაძე

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

ადრე რკინის ხანის კოლხური ნამოსახლარი 1998 წელს აღმოაჩინა და შეისწავლა საქართველოს აკად. შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ და იმავე წელს ფინანსური კრიზისის გამო იძულებით დაასრულა. ამ წლების განმავლობაში აქ გათხრების გაგრძელება აღარ ხერხდება. არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს თერჯოლის რაიონის სოფელ ძეგრში, რაჭა-იმერეთის გზაზე. მდ.ძეგრულას მარჯვენა ნაპირზე აღმართულია ე.წ. კორტების გორა, რომლის ცენტრალური ტერასა არქეოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენს საკმაოდ საინტერესო ობიექტს. სწორედ აქ მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები და გამოვლენილი იქნა ორფენიანი ნამოსახლარი, გვიანანტიკური ხანის სამარხები და აქემენიდური ეპოქის სამაროვნის ნაშთები.

ნამოსახლარი მდებარეობს ცენტრალური ტერასის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, სოფლის ერთ-ერთი მკვიდრის რ. მეფარიძის ეზოში. უნდა აღნიშნოს, რომ კორტების გორა საკმაოდ ინტენსიურადაა დასახლებული, რაც დიდად აზიანებს არქეოლოგიურ ობიექტებს, რადგან მიწის სამუშაოებს, როგორც წესი, თან სდევს ძეგლების შემთხვევითი აღმოჩენა და განადგურება. კორტების გორის ნამოსახლარი ორფენიანი ძეგლია. ზედა ფენაში აღმოჩენილია 1 მ სიმაღლის ფლეთილი ქვით ნაგები შენობის ნაშთები, კოლხური კერამიკის, ლითონის ნივთებისა და ატიკური შავლაკიანი ჯამის ფრაგმენტები. ვინაიდან ამ ფენის კვლევა ამჟამად სცილდება თემის ფარგლებს, მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ იგი ძვ.წ. V-IV საუკუნეებს განეკუთვნება. II ფენა I ფენისგან გამოიყოფა 30-40 სმ-ის სტერილური შრით (ნახ.N1).

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები თითქმის მთელ კოლხეთშია აღმოჩენილი. საერთოდ, ეს პერიოდი კოლხეთის არქეოლოგიაში ერთ-ერთი კარგად შესწავლილი ეპოქაა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ კოლხური კულტურის ფორმირების მრავალსაუკუნოვანი პროცესის წორედ აღნიშნულ დროს მთავრდება და საბოლოო სახეს იღებს. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლართა ტოპოგრაფია საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდში სახეზე გვაქვს ცხოვრების უწყვეტი კვალი დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, დაწყებული ლიხის ქედიდან აფხაზეთის ჩათვლით. არქეოლოგთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს არის ერთგვარი დემოგრაფიული აფეთქებისა და სამოსახლოთა წარმოქმნის თავისებური ბუმი [1]. ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ დასავლეთ საქართველოში არ არის დარჩენილი არც ერთი კუთხე, სადაც არ ფიქსირდებოდეს ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლარი. ამ მხრივ გამონაკლისი არც დღევანდელი თერჯოლის რაიონია. ძეგრის გარდა ამ ეპოქის ფენები გამოვლენილი და შესწავლილია ღვანკითში [2] და ჩხარში [3]. ძეგრის კორტების გორის II ფენა 1 მ-ს აღწევს და როგორც აღინიშნა, ზედა ფენისგან გამიჯნულია 30-40 სმ სისქის სტერილური შრით. იგი განფენილია I ფენის ნაგებობის ქვეშ და ხასიათდება მოშავო ფერის, უმეტესწილად ფხვიერი, ხოლო ალაგ-ალაგ ბათქაშნარევი მიწით. არქეოლოგიური მასალა მხოლოდ კერამიკითაა წარმოდგენილი. გვხვდება როგორც სასუფრე [ნახ.N2.,5.,6], ასევე-სამზარეულო [ნახ.N3.,4] და სამეურნეო დანიშნულების [ნახ.N3., 4., 5., 8] კერამიკა. სასუფრე ნაწარმიდან გამოიყოფა დოქები და სასმისები. სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქოთნებისა და ხუფების [ნახ.N6], ხოლო სამეურნეო ნაწარმი- ქვევრებისა და დერგების სახით. სამივე ტიპის ჭურჭელი დამზადებულია მოშავო-მორუხოფერის, განლეკილი თიხისაგან, კვარცის მცირე მინარევებით. თუნის ნაწარმის დიდი ნაწილი მდიდრულადაა ორნამენტირებული. ძირითადად გვხვდება ტალღოვანი ორნამენტი, თუმცა რამდენიმე ნიმუშზე ფიქსირდება სპირალისებური და წერტილოვანი ორნამენტებიც.

ძეგრის II ფენაში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის ანალოგები, როგორც აღვნიშნეთ, უხვადაა წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლებზე. მრავალრიცხოვანი პარალელებიდან შეგვეძლო დაგვესახელებინა საირხის საბადურის გორის ქვედა III ფენა [4], მოდინახეს II ფენა [5], მთისძირი [6], დაბლაგომი [7], ნოსირი-მუხურჩა [8], ფიჩორი [9], ნამჭედური [10] და სხვ. ძეგრის ნამოსახლარის II ფენის მასალაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ზოომორფული

[ნახ.N6] და კანელურებიანი [ნახ.N4] ჭურჭლების ფრაგმენტები. კანელურიანი კერამიკის გენეზისის პრობლემა დღემდე მთლად გადაჭრილი არ არის. საკამათოდ რჩება საკითხი იმის შესახებაც თავდაპირველად ფართოკანელურებიანი ჭურჭლები ჩნდება თუ ვიწროკანელურებით შემკული თუნის ნაწარმი. თ.მიქელაძე ნამჭედურის, ურეკის, ნიგვზიანისა და ერგეტას მასალებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ კოლხეთში თავდაპირველად ვრცელდება ფართოკანელურებიანი ნიმუშები, რომლებიც ძვ.წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებს მიეკუთვნება [11]. დაბლაგომის კანელურებიან კერამიკას ვ.თოლორდავა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით ათარიღებს [12]. ნოსირი-მუხურჩის იმ არქეოლოგიურ ფენებს, რომლებიც კანელურებიან კერამიკას შეიცავს, ე.გოგაძე ძვ. წ. X-IX საუკუნეებს მიაკუთვნებს და მიიჩნევს, რომ ამ დროს გაჩენილი კერამიკის ეს ტიპი ინერციით აგრძელებს არსებობას ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებშიც, მაგრამ ამ დროს ჭურჭლებს უჩნდება ე.წ. დანაძერწი კანელურები.მისივე მოსაზრებით, თავდაპირველად ჩნდება ვიწროკანელურიანი ჭურჭლები, ხოლო ფართო კანელურები ხმარებაში შემოდის შედარებით გვიანდელ ეპოქაში [13].

აღნიშნული ფენის ზედა ქრონოლოგიური ზღვარის დასადგენად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება რკინის თოხს, რომელიც მოპოვებულ მასალაში ერთად-ერთი ლითონის ნივთია[ნახ.N. 8/1]. აღნიშნულ თოხს ლ. ძიმიგური აერთიანებს კოლხური ადრე რკინის ხანის თოხების პირველ სახეობაში და მას ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით ათარიღებს [14]. ამ სახეობის თოხებისთვის დამახასიათებელია ფართო სამუშაო პირი, მარაოსებურად გაშლილი მხრები, გამოკვეთილი ყუა და სწორი ტანი. ანალოგიური თოხები მრავლადაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ისეთ ცნობილ არქეოლოგიურ ძეგლებზე, როგორებიცაა ურეკი, ნიგვზიანი, მუხურჩა, პალური, დღვაბა [15]. ლ. ძიმიგურის კვლევით, დასავლეთ საქართველოში ორასზე მეტი ასეთი თოხია აღმოჩენილი და როგორც ჩანს, წარმოადგენს ადრე რკინის ხანის კოლხეთის წამყვან სასოფლო-სამეურნეო იარაღს [16]. ამდენად, ძეგრის ნამოსახლარის II ფენა ზოგადად VIII-VII საუკუნეებს მიეკუთვნება. ძეგრის კორტების გორის ნამოსახლარის II ფენის არქეოლოგიური მასალა განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს ყვირილის ხეობის ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიურ ძეგლებთან. გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით ეს სიახლოვე სრულიად ბუნებრივი ჩანს. ჩვენი ცოდნის ამჟამინდელ ეტაპზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. I ათასწლეულიდან ძეგრი წარმოადგენდა ერთგვარ დამაკავშირებელ არტერიას აღმოსავლეთ და დასავლეთ კოლხეთს შორის. ჩემი აზრით, აქ





გადიოდა უმოკლესი გზა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონს აკავშირებდა აღმოსავლეთ პროვინციებთან. I ფენაში აღმოჩენილი ატიკური იმპორტიც რაღაც ამდაგვარზე უნდა მიუთითებდეს.





სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დღევანდელი იმერეთის რეგიონი არ წარმოადგენდა გვიან ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ფორმირების არეალს და ის ამ ზონაში მოექცა სწორედ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან [17]. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასავლეთ საქართველოს კანელურებიანი და არქაული ზოომორფული ყურების შემცველი ფენების ქვედა ქრონოლოგიური თარიღი ბოლო წლების გამოკვლევების მიხედვით ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისისკენ, ძვ.წ. X-IX საუკუნეებისკენ იხრება [18], რაც, თავის მხრივ, გარკვეულწილად აძველებს კოლხეთის ადრე რკინის ხანის ნამოსახლარების წარმოქმნის თარიღებს. რამდენად ჯდება ამ სქემაში ძვერის ნამოსახლარის II ფენა, საკამათო საკითხია, რადგან ჩვენს განკარგულებაში არსებული არტეფაქტები ძირითადად ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებს მიეკუთვნება. აქვე იმასაც შევნიშნავ, რომ კორტების გორის ნამოსახლარი ბოლომდე გათხრილი არ არის. ჩვენი კვლევის ამ ეტაპზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შესწავლილია მხოლოდ არაუმეტე სძეგლის 20 %. არქეოლოგიური გათხრების გაგრძელებას კი, სამწუხაროდ, პერსპექტივა ჯერ კიდევ არ უჩანს. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ მომავალმა აღმოჩენებმა შემოთავაზებული თარიღი უფრო დააძველოს და იგი სიღრმეში გადასწიოს.

დასასრულს შეიძლება გამოვიტანოთ ზოგადი ხასიათის რამდენიმე დასკვნა:

1. ძვერის კორტების გორის II ფენა, ჩვენი ცოდნის ამ ეტაპზე ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებს მიეკუთვნება;
2. იგი ადრე რკინის ხანის კოლხური ნამოსახლარია;
3. ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეებიდან ძვერი წარმოადგენდა ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს კოლხეთის დასავლეთ და აღმოსავლეთ პროვინციებს შორის;
4. ძვ.წ. I ათასწლეულში ძვერი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კოლხეთის მთისა და ბარის რეგიონების ურთიერთობებში;
5. ძვერის კორტების გორის დასახლება შექმნილია კოლხური კულტურის მატარებელი ტომების მიერ;

6. კოლხური ტომები ძვერსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩნდებიან ძვ.წ. VIII საუკუნიდან;
7. ძვერის კორტების გორის II ფენა არსებობას წყვეტს ძვ.წ. VII საუკუნეში;
8. სამოსახლოზე ცხოვრების კვალის შეწყვეტის მიზეზი ამ ეტაპზე ცნობილი არ არის, რადგან არ ფიქსირდება მისი ძალდატანებით განადგურების კვალი.





გამოყენებული ლიტერატურა:

1. მახარაძე, გ. (2000). *ყვირილის ხეობის ნამოსახლართა ქრონოლოგია*. თბილისი: საქართველოს შ.ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. V., გვ. 29–30.
2. ბრაგვაძე, ზ. (2009). *არქეოლოგიური გათხრები სოფელ ღვანკითში*. თბილისი: "იბერია-კოლხეთი" N5.
3. მასალა ინახება ჩხარის მუზეუმში.
4. ნადირაძე, ჯ. (1990). *საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი*. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“.

5. ნადირაძე, ჯ. (1975). *ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
6. გამყრელიძე, გ. (1982). *ცენტრალური კოლხეთის ნამოსახლარები*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
7. Толордава, В.А. (1990). *Культовый комплекс VIII-VII вв. до н.э. из Вани*. Тбилиси: Материалы международного симпозиума по древней истории Причерноморья. V.
8. Гогадзе, Э. (1984). *К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской культуры*. თბილისი: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXXVII_В. გვ. 40–50.
9. Барамидзе, М. (1990). *Пичорское поселение*. Тбилиси: Материалы международного симпозиума по древней истории Причерноморья. V.
10. Микеладзе, Т. (1985). *Хахутаишвили Д. Древнеколхское поселение Намчедური*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
11. Микеладзе, Т. (1990). *К Археологии Колхиды*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
12. Толордава, В.А. (1990). *Культовый комплекс VIII-VII вв. до н.э. из Вани*. Тбилиси: Материалы международного симпозиума по древней истории Причерноморья. V.
13. Гогадзе, Э. (1984). *К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской культуры*. თბილისი: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXXVII_В., გვ. 38.
14. ძიძიგური, ლ. (2002). *სამხრეთ კავკასიის მიწათმოქმედების ისტორიისათვის*. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 88.
15. მიქელაძე, თ. (1985). *კოლხეთის ადრე რკინის ხანის სამაროვნები*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
16. ძიძიგური, ლ. (2002). *სამხრეთ კავკასიის მიწათმოქმედების ისტორიისათვის*. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 89.
17. მახარაძე, გ. (2000). *ყვირილის ხეობის ნამოსახლართა ქრონოლოგია*. თბილისი: საქართველოს შ.ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. V. გვ. 29.
18. მახარაძე, გ. (2000). *ყვირილის ხეობის ნამოსახლართა ქრონოლოგია*. თბილისი: საქართველოს შ.ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. V., გვ. 30.

ადრე რკინის ხანის ნამოსახლარი აღმოსავლეთ კოლხეთიდან

ზურაბ ბრაგვაძე

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

კავკასიის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - არქეოლოგიური არტეფაქტების მიმოქცევაში შემოტანა და მათი ხელმისაწვდომობა მკვლევართათვის.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა - სტატისტიკური და შედარებითი მეთოდების გამოყენებით არქეოლოგიური მასალის გამოკვლევა და შესაბამისი დასკვნების მიღება.

მიღებული მონაცემები - ძვერის კორტების გორის II ფენა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში იკვთვნება, იგი ადრე რკინის ხანის კოლხური ნამოსახლარია. ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეებიდან ძვერი წარმოადგენდა აერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს კოლხეთის დასავლეთ და აღმოსავლეთ პროვინციებს შორის, იგი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კოლხეთის მთისა და ბარის რეგიონების ურთიერთობებში. ძვერის კორტების გორის დასახლება შექმნილია კოლხური კულტურის მატარებელი ტომების მიერ, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ჩნდებიან ძვ.წ. VIII საუკუნიდან. ძვერის კორტების გორის II ფენა არსებობას წყვეტს ძვ.წ. VII საუკუნეში. სამოსახლოზე ცხოვრების კვალის შეწყვეტის მიზეზი ამ ეტაპზე ცნობილი არ არის, რადგან არ ფიქსირდება მისი ძალდატანებით განადგურების კვალი.

სიახლე/ღირებულება - არქეოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ხელმისაწვდომი ხდება მანამდე უცნობი მასალა, რომელიც ხელს შეუწყობს ძველი კოლხეთის ისტორიისა და კულტურის შესწავლას.

Early Iron Age settlement From Eastern Colchis

Zurab Bragvadze

Doctor of Science, Professor

Caucasus University

Abstract

Purpose –The purpose of the article is bringing archaeological artifacts in circulation and their availability for researchers.

Design/methodology/approach – Study of archaeological materials by statistical and comparative methods and to obtain appropriate conclusions.

Findings – From the I millennium B.C. Dzevri was connecting link between the western and eastern provinces of Colchis and at the same time it played an important role in the relations between Colchis mountains and valleys regions too. The settlement is designed by Colchis culture tribes. It can be concluded that Colchis tribes reappear in this area from the VIII century B.C. The settlement resolves the existence in the VII century B.C. The traces at this point of life reason is not known, because compulsion of destruction footprint was not detected.

Originality/value –The unknown material becomes available in archaeological scientific literature and it will contribute to the study of the history and culture of ancient Colchis.



ტერეზა ჯაფარიძე

დოქტორანტი

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში სულ უფრო და უფრო აქტუალური და ყურადსაღები ხდება ისეთი ცნება, როგორცაა ქრისტიანული დემოკრატია. მაინც რას ნიშნავს იგი? რა განსაკუთრებული ფენომენია? ქრისტიანული დემოკრატია პოლიტიკური მოძრაობაა, რომლის საწყისები, რაღა თქმა უნდა, XIX საუკუნის ევროპულ ქვეყნებში უნდა ვეძიოთ. თავისთავად იგულისხმება, რომ იგი ევროპული ფენომენია ლიბერალური კაპიტალიზმის საპასუხოდ. ქრისტიანული დემოკრატიის წარმოქმნის მიზეზად საფრანგეთის რევოლუცია (1789-1799) და ლიბერალიზაციისა და სეკულარიზაციის პროცესები სახელდება. ქრისტიანული დემოკრატია სოციალიზმის საპირისპიროდ, იცავს კერძო საკუთრებას და ეწინააღმდეგება სახელმწიფოს გადამეტებულ ჩარევას საზოგადოებრივ ცხოვრებასა და განათლებაში.¹

საფრანგეთის რევოლუციას (1789-1799) არა ერთი ცვლილება მოჰყვა ქვეყნის შიგნით. ერთი მხრივ, ქვეყანაში შეიცვალა მმართველობის ტიპი - გაუქმდა ძველი რეჟიმი და იგი ჩაანაცვლა რესპუბლიკანიზმმა ახალი დევიზით - „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“.² მეორე მხრივ, კათოლიკური მხარე იძულებული გახდა ფეხი აეწყო წარმოქმნილი მოვლენებისათვის, რაც გულისხმობდა დემოკრატიული ფორმის მიღებას და ამგვარად საკუთარი ინტერესების დაცვას. მაგრამ, ქრისტიანობის მთავარი ტრადიციული ფორმები, როგორცაა ოჯახი და ჰარმონიული საზოგადოებრივი წყობა საფრთხის ქვეშ დადგა. ძირითადად ეს გამოწვეული იყო შემდეგი ფაქტორებით: ინდუსტრიალიზაციისა და

¹ Munro A. Christian democracy. Encyclopædia Britannica.

<http://www.britannica.com/EBchecked/topic/115089/Christian-democracy>

² Пименова Л. А. (1992). Идея свободы во Французской революции XVIII в.// Новая и новейшая история. № 1. <http://vivovoco.astronet.ru/VV/PAPERS/ECCE/LIBERTE.HTM>

ლიბერალიზმის ე.წ. laissez-faire (ეკონომიკაში ჩაურევლობის) პოლიტიკით და სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური განკარგვით.³

ტერმინი „Démocratie Chrétienne“ პირველად გამოიყენა ეპისკოპოსმა ლამულეტმა (Lamourette of Lyon) საკანონმდებლო კრებაზე 1791 წელს. აქვე მან წამოაყენა დემოკრატიული ეკლესიის იდეალური ვარიანტი. თუმცადა, 1830-1848 წლებში ქრისტიანულმა დემოკრატებმა უკვე სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობები შეიძინა. ძირითადი პოსტულატი კი მაინც იყო ის, რომ კათოლიკეები ისევ ასრულებდნენ მთავარ როლს ეკლესიისა და პოლიტიკური რეალობის გაერთიანების საქმეში.⁴

სწორედ ამ ვითარებაში, როდესაც ეკლესიის უფლებები ძალიან იქნა შეზღუდული, ძველი დიდების დასაბრუნებლად რომის 256-ე პაპმა, ლეო XIII-მ (1878-1903) (ერისკაცობაში - ჯოაკინო ვინჩენცო რაფაელე ლუიჯი პეჩი) 1891 წლის 15 მაისს თავისი მიდგომა ჩამოაყალიბა ენციკლიკეში „რერუმ ნოვარუმ“ (Rerum Novarum – „ახალი საგნების შესახებ“). ლეო XIII-ის პოლიტიკური და სოციალური დოქტრინა გადამწყვეტი აღმოჩნდა ქრისტიანული დემოკრატიის განვითარებაში. ამ ენციკლიკეში გაჟღერებული იყო ვატიკანის დამოკიდებულება სოციალიზმის საკითხებთან დაკავშირებით.

1878 წლის 20 თებერვალს რომის კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლი გახდა გრაფი ჯოაკინო ვინჩენცო რაფაელე ლუიჯი პეჩი, შემდგომში პაპი ლეო XIII. აღსანიშნავია, რომ პონტიფიქსების ისტორიაში, ეს პაპი გამოირჩევა ყველაზე ბევრი ენციკლიკის ავტორობით. ენციკლიკე ლათინური სიტყვაა და თავის მხრივ ნიშნავს საჯარო წერილს, რომლითაც პაპი მთელ ეკლესიას (ან მის რომელიმე ნაწილს) მიმართავს სამომდევრო, ზნეობრივ ან სოციალურ საკითხთა თაობაზე.⁵ რეალურად, კი ენციკლიკე წარმოადგენს პაპის სამოქმედო გეგმას, დოქტრინას, სადაც ჩამოყალიბებულია მისი თანამშრომლობის ორიენტირები იქნება ეს სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ხასიათის.

იმ დროს, როდესაც იტალია სხვადასხვა მიმართულებით ცდილობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, იგივე „რისერჯიმენტოს“ განეიტრალებას, ცალკე

³ Андерхилл Д., Барретт С., Бернелл П., Бернем П. & др. (2001). Политика. Толковый словарь. М.: "ИНФРА-М", Издательство "Весь Мир".

⁴ Grabow K., Agethen M., Uertz R. & Willig R. (2011). Christian Democracy: Principles and Policy-making. Berlin: Konrad-Adenauer-Stiftung e.V

⁵ პიერო პეტროზილო. (2011). ქრისტიანობის ლექსიკონი/პიერო პეტროზილო. სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტი, ქრისტ. თეოლოგიისა და კულტ. ცენტრი. თბ.: სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტის გამომც. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=1177>

ერიტრეას (1885) და სომალის ნაწილის (1889) შემოერთებას, Rerum Novarum-ის გამოცემამ ახალი სიტყვა თქვა კათოლიკური ეკლესიის განვითარების ისტორიაში. პაპის მიერ გამოცემულ ენციკლიკეში გაქვრებული იყო ის პრინციპები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს ეკლესიამ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების საპირწონედ. აღნიშნული დოკუმენტი იწყება სოციალიზმის გმობით, პაპი უწოდებს მას „ფალსიფიცირებულ წამალს“ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ სოციალიზმი ვნებს მომუშავეებს. ამის საწინააღმდეგოდ, პაპი ხოტბას ასხამს კაპიტალიზმს, აცხადებს რა, რომ როგორც კაპიტალიზმი ვერ იარსებებს მომუშავეების გარეშე, აგრეთვე ეს უკანასკნელნიც საჭიროებენ ამ სისტემას, ისინი ურთიერთმოიცავენ ერთმანეთს.

Rerum Novarum-ის შესავალში რომის პაპმა აღწერა მომუშავეთა უკიდურესი გაჭირვება, რაც გამოწვეული იყო ძველი საამქროების გაუქმებით და ახლის არ შექმნით. საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა უგულვებელყვეს მამათა რწმენა. „მდგომარეობა ძალიან სერიოზულია, იგი ძლიერ საფრთხეს ჰქმნის, მეცნიერები მსჯელობენ მის შესახებ, საქმიანი ხალხი სხვადასხვა გეგმას გვთავაზობენ, სახალხო საბჭოები, პარლამენტი, მმართველობა დაკავებულია ამ საკითხით. ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი ყურადღება დაპყრობილია მისით“.[RN:1]⁶

ლეო XIII ცდილობდა კათოლიკური ეკლესიის მოდერნიზებას, რასაც ემსახურებოდა სწორედ ეს ენციკლიკე. მას სწამდა, რომ საზოგადოების გადარჩენა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ქრისტიანული ცხოვრებითა და ქრისტიანული ინსტიტუტებით. სწორედ ამიტომ, Rerum Novarum-მდე ლეო XIII-მ გამოსცა ენციკლიკე Libertas Praestantissimum Donum (ადამიანის თავისუფლების შესახებ), სადაც პაპი მომხრე იყო პარლამენტთან და რესპუბლიკურ რეჟიმთან თანამშრომლობაზე, ოღონდ ერთი პირობით, თუ არ დაირღვეოდა არავის უფლება და გათვალისწინებული იქნებოდა ეკლესიის ინტერესები.⁷

1891 წლის ენციკლიკეში გარკვეულ ადგილს იკავებს პაპის დამოკიდებულება თომიზმის მიმართ. პაპი აფიქსირებს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია თომა აქვინელის ნაშრომის გაცნობა, რადგან თომიზმში ხედავდა იგი თანამედროვეობის ინტელექტუალური მოთხოვნებისთვის შესაბამისი პასუხის გაცემას. პაპი თავისი მოსაზრების

⁶ Rerum Novarum. (May 15, 1891). On Capital and Labor, Encyclical of Pope Leo XIII. <http://www.papalencyclicals.net/Leo13/113rerum.htm>

⁷ Libertas Praestantissimum Donum. (June 20, 1888). On the Nature of Human Liberty, Encyclical of Pope Leo XIII. <http://www.papalencyclicals.net/Leo13/113liber.htm>

გასამყარებლად არაერთხელ იშველიებს თომა აქვინელის სიტყვებს. „ვინაიდან ნაწილი და მთელი გარკვეულ წილად ერთგვაროვანია, ნაწილმა შეიძლება მოითხოვოს ის, რაც ეკუთვნის მთელს“. [RN:33]⁸

სოციალური პრობლემების სათავეს, ლეო XIII ადამისა და ევას პერიოდში დაშვებულ ცოდვებში ეძებს. პაპი ცდილობს ანუგეშოს მომუშავეები, აიმედებს იმით, რომ სიკვდილის მერე მათ ელოდებათ ზეციური ბედნიერება. მომუშავეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პაპმა წამოაყენა განსაკუთრებული პროგრამა. აღნიშნულ პროგრამაში ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ის პრინციპები, რაც უნდა არსებობდეს დამსაქმებელსა და დასაქმებულის შორის. კერძოდ, დამსაქმებლები კარგად უნდა ეპყრობოდნენ დასაქმებულებს, უნდა ზრუნავდნენ მათზე და არ გადატვირთონ ისინი. გარდა ამისა, პაპი სახელმწიფოს ავალდებულებდა დაერეგულირებინა სოციალური პრობლემები. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საკუთრების ხელშეუხებლობა და აღმოუჩინოს დახმარება მომუშავეებს. როგორც პაპი ამბობს, მომუშავეები არ არიან დაცული ძლიერი პატრონის მფარველობაში, მათი კონდიცია ოდნავ თუ სჯობს მონათა მდგომარეობას. „ის ვინც მდიდარია, საკუთარ თავს დაიცავენ, მათ არ სჭირდებათ სახელმწიფოს დახმარება. ღარიბებს კი არა აქვთ საყრდენი, გარდა სახელმწიფო ძალაუფლებისა. ამიტომ, იგი უნდა უთმობდეს განსაკუთრებულ ყურადღებას იმ ხალხს, ვინც ცხოვრობს თავისი შრომით, რადგან ისინი სუსტი არიან“. [RN:37]⁹

აღნიშნული გაჭირვებას კარგად აღიქვამდნენ სოციალისტებიც და სწორედ მის დასაძლევად, ვარაუდობდნენ რა ღარიბებსა და მდიდრებს შორის შუღლზე, სთავაზობდნენ უბრალო მომუშავეებს კერძო საკუთრების განადგურებას, მის საერთო მფლობელობაში გადატანას, სოციალურ თანასწორობასა და ეკონომიკური დიფერენციაციის შემცირებას. ამ პრინციპის საწინააღმდეგოდ პაპი შემდეგ მოსაზრებას გვთავაზობს, რომ როცა ადამიანი მუშაობს ფულის გამო, იგი ისწრაფვის, რომ რამე შეიძინოს, რამე ახალი შექმნას და თავის სურვილის მიხედვით განკარგოს საკუთარი ქონება. პაპი დასძენს, რომ ყველა ადამიანს აქვს ბუნებისგან საშუალება ფლობდეს საკუთრებას, ეს მისი კანონიერი უფლებაა - „ამით განსხვავდება ადამიანი ცხოველისგან. ცხოველი ვერ მართავს საკუთარ თავს. იგი იმართება

⁸ Rerum Novarum. (May 15, 1891). On Capital and Labor, Encyclical of Pope Leo XIII. <http://www.papalencyclicals.net/Leo13/113rerum.htm>

⁹ Rerum Novarum. (May 15, 1891). On Capital and Labor, Encyclical of Pope Leo XIII. <http://www.papalencyclicals.net/Leo13/113rerum.htm>

ორი ინსტიქტით, იგი იყენებს თავის ძალას და მოქმედებს ასე თუ ისე, არჩევანის გარეშე. ეს ინსტიქტებია: თვით-გადარჩენა და გამრავლება...“ [RN:6]¹⁰

რაც შეეხება კერძო ქონებას, ლეო XIII აღნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს იმ შემოსავალს, რომელსაც ესა თუ ის პიროვნება მოიპოვებს. ამ დებულების გასამყარებლად იგი იშველიებს ოჯახის ინსტიტუტს - ნებისმიერ ადამიანს ესაჭიროება კერძო ქონება, რომ უზრუნველყოს ოჯახის მოთხოვნილებები. ეს არაჩვეულებრივად ერგებოდა სწორედ იმ ეპოქას, რადგან ბევრი მისდევდა სამეურნეო საქმიანობას, ზრდიდნენ ცხოველებს გასაყიდად ან საკვებად და ა.შ. პაპი ლეო XIII სწორად ფიქრობდა, თუ ღარიბებს წაერთმეოდა კერძო საკუთრება და გადაეცემოდა სახელმწიფოს უკეთესად განკარგვის მიზნით, გაღარიბების უფრო მეტი შემთხვევა დაფიქსირდებოდა. სწორედ ეს გადანაწილება გახლდა მიზეზი სოციალური რევოლუციისა. მიწების ასეთმა გადანაწილებამ მიიყვანა ეკონომიკურ კრიზისამდე და ხალხის შიმშილობამდე რუსეთი XIX საუკუნის დასაწყისში.¹¹ ეს აზრიც არის დაცული პაპის ენციკლიკეში, რომ ის ვინც პირადად ფლობს მიწას, გაცილებით უკეთ უვლის თავის ქონებას და შესაბამისად ხელს უწყობს პროდუქტიულობის ზრდას, ვიდრე ის, ვისაც არ აქვს არანაირი ინტერესი სხვისი საკუთრების მიმართ.

პაპი სრულ პასუხისმგებლობას ეკლესიას აკისრებს, რადგან არ შეიძლება მოძმეთა საკითხის გადაწყვეტა ეკლესიის გარეშე. ამასთანავე, პაპი განიხილავს, თუ რა არის სახელმწიფო - „სახელმწიფოს მმართველები უნდა ზრუნავდნენ, რომ კანონები და დაწესებულებები, წესრიგი და მმართველობა საზოგადოებრივ კეთილდღეობას იძლეოდეს შედეგად. ასეთი სახის მზრუნველობას არასდროს არ უნდა კარგავდნენ თვალთახედვიდან ბრძენი სახელმწიფო მმართველები. ვინაიდან ეს არის მთავრობის პირველი მიზანი. კეთილდღეობა და გაფურჩქვნა ძირითადად ხელს უწყობს წესიერ ოჯახურ ცხოვრებას, რწმენისა და სამართლიანობისადმი პატივისცემას, მეცნიერებისა და წარმოების წარმატებებს, მიწათმოქმედების აყვავებას - ანუ ყველაფერს იმას, რაც ხდის მოქალაქეებს უფრო ბედნიერს.“[RN:32]¹² გარკვეულწილად პაპი აკნინებს სახელმწიფოს როლს, აცხადებს რა, რომ

¹⁰ Rerum Novarum. (May 15, 1891). On Capital and Labor, Encyclical of Pope Leo XIII. <http://www.papalencyclicals.net/Leo13/113rerum.htm>

¹¹ Lanari B. (2009). Rerum Novarum and Seven Principles of Catholic Social Doctrine. http://www.ignatiusinsight.com/features2011/blanari_rerumnovarum_may2011.asp

¹² Rerum Novarum. (May 15, 1891). On Capital and Labor, Encyclical of Pope Leo XIII. <http://www.papalencyclicals.net/Leo13/113rerum.htm>

ადამიანი სახელმწიფოზე ძირძველია, ამიტომ ამ უკანასკნელს აქვს უფლება დაიცვას და უზრუნველყოს თავისი ცხოვრება სახელმწიფოზე უკეთ.

Rerum Novarum-ში პაპი დაბეჯითებით, არა ერთგზის აცხადებს, რომ კერძო საკუთრების გაუქმება დიდი ზიანის მომტანი იქნება მომუშავეთა ფენისთვის. მათ აღარ ექნებათ შესაძლებლობა, რომ გაიორმაგონ საკუთრება ან გახდეს კაპიტალისტი, არადა ამის რეალური შანსი მას შეიძლება ჰქონდეს თუ იქნება მომთმენი და შრომისმოყვარე (მსგავსი სიტყვებით ამხნევებდა თავის დროს ნაპოლეონიც თავის ჯარისკაცებს - თითველ ჯარისკაცს ჩანთაში მარშლის კვერთხი აქვსო). ამ გაჭირვებიდან თავის დასაღწევად პაპი მოუწოდებდა მომუშავეებს თვითდახმარებისკენ, რაც გულისხმობდა მათ გაერთიანებას ქრისტიანულ მუშათა ასოციაციებში. ამას ამატებდა პაპი ურთიერთდახმარების აღმოჩენას რაიმე უბედურების ან ავადმყოფობის ჟამს. ამ კავშირების ძირითად და შეუცვლელ კანონს უდავოდ წარმოადგენდა ისეთი წყობილების დაგეგმვა, რომელიც საშუალებას მისცემდა უფრო წარმატებულად და სწრაფად მიეღწიათ მომუშავეებს მიზნისთვის. ეს უკანასკნელი კი იმაში მდგომარეობდა, რომ მომუშავეს ამ კავშირის მეშვეობით თავისი ფიზიკური, სულიერი და ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება შესძლებოდა.¹³

Rerum Novarum-ში პაპი აცხადებს, რომ ქრისტიანულმა ცხოვრებამ უნდა უზრუნველყოს დროებითი კეთილსამყოფელი და არა პერმანენტული განცხრომა, რაც გულისხმობს გონივრული ოდენობის საკვებისა თუ სხვა ელემენტარული საარსებო საშუალებების მოპოვებას. დამსაქმებელმა უნდა დაუფასოს შრომა დასაქმებულს, რაც გამოიხატება შრომით ანაზღაურებაში. „რა თქმა უნდა არაა ადვილი, იმის გაგება რომელი საფასურია სამართლიანი. მაგრამ პატრონებმა და მდიდარმა ხალხმა უნდა იცოდნენ, რომ კანონები, როგორც საღვთო, ასევე ადამიანური აღკვეთს ადამიანის გამოყენებას უსახსრობის გამო. სამართლიანი და დამსახურებული საფასურის ჩამორთმევა დანაშაულია“. [RN:13]¹⁴

აღნიშნულ მუშათა კავშირების მოვალეობა აგრეთვე იქნებოდა მომუშავეთა რელიგიური თუ სულიერი აღზრდა. „ჩვენი კავშირები პირველ რიგში უნდა იყოს ღვთისკენ მიმართული. რელიგიური საწყისი უნდა იკავებდეს პირველ ადგილს. ამ კავშირის ყველა წევრმა უნდა იცოდეს რას წარმოადგენს მის მოვალეობებს ღვთის წინაშე, რა სწამს, რისი

¹³ Lanari B. (2009). Rerum Novarum and Seven Principles of Catholic Social Doctrine. http://www.ignatiusinsight.com/features2011/blanari_rerumnovarum_may2011.asp

¹⁴ Rerum Novarum. (May 15, 1891). On Capital and Labor, Encyclical of Pope Leo XIII. <http://www.papalencyclicals.net/Leo13/113rerum.htm>

იმედი აქვს და რა გადაარჩენს მას. მათ უნდა უყვარდეთ და პატივი სცენ წმინდა ეკლესიას....“ [RN:57]¹⁵ პაპი ცალკე გამოყოფს აგრეთვე სახელმწიფო კავშირებს. ეს უკანასკნელნი მუშათა ასოციაციებისგან განსხვავდებიან იმით, რომ მათი მიზნები სხვადასხვაა. სამოქალაქო საზოგადოების (სახელმწიფოს) არსებობის საფუძველი საერთო კეთილდღეობაა და ამიტომ იგი ყველას ინტერესს ეხება. სახელმწიფოს შიგნით წარმოქმნილ საზოგადოებას ეწოდება კერძო, რადგან მათი უშუალო მიზანი არის მათში მონაწილეთა სარგებლობა. სახელმწიფომ არ უნდა აღკვეთოს ისინი. ასეთ საზოგადოებებში გაწევრიანება ადამიანთა პირადი ნებაა, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას და არ დაარღვიოს მათი უფლებები.

პაპ ლეო XIII-ს სწამდა, რომ საუკეთესო საზოგადოებად ითვლებოდა ის, რომელიც იყო ღირსეული. რადგან თუ საზოგადოებაში ყველა ღირსეულია, მაშინ კანონები იქნება სამართლიანი. ღირსეული საზოგადოების წარმომადგენელთა ფორმირება კი ღირსეულ ოჯახში ხდება. ეს ურთიერთდაკავშირებული პროცესია, რომელიც ვერ გამოირიცხავს ურთიერთს. ამიტომაც, ქადაგებს პაპი რელიგიის აუცილებლობას, რადგან ქრისტიანულ სამყაროში ღარიბი ფენა ვერ იარსებებდა, რადგან მდიდარი ფენა ქველმოქმედების გზით დაეხმარებოდა ღარიბებს.¹⁶

აღნიშნულ ენციკლიკეში ლეო XIII ეხება ოჯახის პრინციპებსაც. მისი სიტყვებით ნებისმიერ ადამიანს აქვს ოჯახის შექმნის უფლება. „ბუნების წმინდა კანონის მიხედვით მამა ვალდებულია გამოკვებოს და შეინახოს თავისი შთამომავლობა. ასევე შვილებმა უნდა მიიღონ მისგან ის აუცილებელი, რათა არ იცხოვრონ სიღარიბეში. მაგრამ ეს შეუძლებელია, თუ მამა არ ფლობს რაიმე სახის უძრავ ქონებას.“ [RN:13]¹⁷ პაპი მიიჩნევს, რომ ამ მიზეზის გამო, სამოქალაქო მხარეს არ აქვს უფლება ჩაერიოს და საკუთარი სურვილისამებრ განკარგოს სხვისი ცხოვრება. სხვა საკითხია, თუ ოჯახი იმყოფება გაჭირვებულ მდგომარეობაში, ასეთ დროს საზოგადოებამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს, რადგან ოჯახი თავისთავად წარმოადგენს საზოგადოების ნაწილს. პაპი ლეო XIII ხაზს უსვამს, რომ სოციალიზმი საწყისი იდეიდან ნაპრალია, რადგან იგი ცდილობს შეცვალოს ოჯახის მოვალეობები და

¹⁵ Rerum Novarum. (May 15, 1891). On Capital and Labor, Encyclical of Pope Leo XIII. <http://www.papalencyclicals.net/Leo13/113rerum.htm>

¹⁶ Lanari B. (2009). Rerum Novarum and Seven Principles of Catholic Social Doctrine. http://www.ignatiusinsight.com/features2011/blanari_rerumnovarum_may2011.asp

¹⁷ Rerum Novarum. (May 15, 1891). On Capital and Labor, Encyclical of Pope Leo XIII. <http://www.papalencyclicals.net/Leo13/113rerum.htm>

პასუხისმგებლობები სახელმწიფოს ზედამხედველობით. ეს ანადგურებს ოჯახის ერთიანობას, რომელიც მნიშვნელოვან აგურს წარმოადგენს საზოგადოების მშენებლობაში.

ამგვარად, ვატიკანის ამ სოციალური დოქტრინის მიხედვით სამართლიანი საზოგადოების იდეალური მოდელი უნდა ემყარებოდეს არა სოციალიზმის პრინციპებს, არამედ ქრისტიანული დემოკრატიის ძირითად პოსტულატებს, ეს კი თავისთავად გულისხმობს თანამშრომლობას ყველა ქვეყანას, ქალაქსა თუ ფენას შორის. Rerum Novarum-ის სახით, პაპი ცდილობდა მომუშავეთა ფენის ყურადღების მოდუნებას კაპიტალისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. იმ პერიოდში რომის ეკლესიას სხვა გზა არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ახალი ორიენტირები გამოესახა და მაქსიმალურად გაეტარებინა ახალი პოლიტიკა ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორც ენციკლიკეში გამოჩნდა, პაპისთვის სოციალიზმის გარდა საფრთხის მატარებელი კაპიტალიზმიც აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ იგი კრიტიკის ქარცეცხლში გაახვია - როგორც ეკონომიკურ ექსპლოატაციაში მყოფი საზოგადოება, ადამიანის მორალური პრინციპების დამანგრეველი სისტემა. Rerum Novarum-ში მოცემული იყო საზოგადოების განვითარების ახალი ორიენტირები, განსაზღვრული იყო სახელმწიფოს როლი, ხაზგასმული იყო ოჯახის ინსტიტუტის ურყევობის პრინციპი, მომუშავეებს მოუწოდებდნენ გაერთიანებისკენ და საკუთარი უფლებების ამგვარი დაცვისკენ.

და ბოლოს უნდა ითქვას, რომ „სოციალიზმის მთავარი საფუძველი - ქონების ერთიანობა უნდა უარყოფილი იქნას, რადგან ეს მიაყენებს ზარალს სწორედ მათ, ვისაც წესით სარგებელი უნდა მოუტანოს. რეალურად იგი იქნება წინააღმდეგობრივი ხასიათისა და აუცილებლად გამოიწვევს არეულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენ უნდა ვაღიაროთ პირველად და ძირითად პრინციპად საკუთარი ქონების ხელშეუხებლობა. მხოლოდ მაშინ ჩვენ შევძლებთ ვიპოვოთ სამკურნალო საშუალება“.[RN:15]¹⁸

¹⁸ Rerum Novarum. (May 15, 1891). On Capital and Labor, Encyclical of Pope Leo XIII. <http://www.papalencyclicals.net/Leo13/113rerum.htm>

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პიერო პეტროზილო. (2011). *ქრისტიანობის ლექსიკონი/პიერო პეტროზილო*. სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტი, ქრისტ. თეოლოგიისა და კულტ. ცენტრი. თბ.: სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტის გამომც. 434 გვ.
2. Grabow, K., Agethen, M., Uertz, R. & Willig, R. (2011). *Christian Democracy: Principles and Policy-making*. Berlin: Konrad-Adenauer-Stiftung e. V.
3. Lanari, B. (2009). *Rerum Novarum and Seven Principles of Catholic Social Doctrine*. http://www.ignatiusinsight.com/features2011/blanari_rerumnovarum_may2011.asp
4. *Libertas Praestantissimum Donum, On the Nature of Human Liberty*. (June 20, 1888). Encyclical of Pope Leo XIII, <http://www.papalencyclicals.net/Leo13/113liber.htm>
5. Munro, A. *Christian democracy*. Encyclopædia Britannica. <http://www.britannica.com/EBchecked/topic/115089/Christian-democracy>
6. *Rerum Novarum*. On Capital and Labor. (May 15, 1891). Encyclical of Pope Leo XIII, <http://www.papalencyclicals.net/Leo13/113rerum.htm>
7. Андерхилл, Д., Барретт С., Бернелл П., Бернем П. & др. (2001). *Политика*. Толковый словарь. М.: "ИНФРА-М", Издательство "Весь Мир".
8. Пименова, Л. А. (1992). *Идея свободы во Французской революции XVIII в.* Новая и новейшая история. № 1. <http://vivovoco.astronet.ru/VV/PAPERS/ECCE/LIBERTE.HTM>

Rerum Novarum, როგორც ქრისტიანული დემოკრატიის საფუძველი

ტერეზა ჯაფარიძე

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

XVIII-XIX საუკუნეებში არა ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი მსოფლიო პოლიტიკურ ისტორიაში. მათ შორის აუცილებლად გამოსაყოფია საფრანგეთის რევოლუცია (1789-1799), რაც ერთგვარად გარდამტეხი აღმოჩნდა ისტორიის შემდგომ

განვითარებაში. უპირველეს ყოვლისა, ამ პერიოდში აბსოლუტური მონარქია ახალმა წყობამ - რესპუბლიკანიზმმა ჩაანაცვლა. ეს ცვლილება კათოლიკურ ეკლესიასაც შეეხო, და იმჟამინდელ რომის პონტიფექსს ლეო XIII-ს სხვა რა დარჩენოდა, თუ არა შეეცვალა პოლიტიკური კურსი და გამოესახა დიპლომატიის ახალი ორიენტირები.

ლეო XIII-მ თავისი სამოქმედო გეგმა ნათლად ჩამოაყალიბა ენციკლიკეში Rerum Novarum, რომელმაც თავის მხრივ საფუძველი დაუდო ქრისტიანული დემოკრატიის განვითარებას. პაპმა აღნიშნულ ენციკლიკეში ჯეროვანი ყურადღება დაუთმო სოციალიზმის პირობებში მომუშავეთა უფლებებს, მათ მდგომარეობას, მოუწოდებდა გაერთიანებისა და ურთიერთდახმარებისკენ, საზოგადოების მორალურ წმენდას, ოჯახის პრინციპებსა და სახელმწიფოს როლს. გარდა ამისა, პაპი შეეხო კაპიტალიზმის სისტემას, რომელიც პაპის სიტყვებით, ქადაგებდა ნიჰილიზმს, უნდობლობასა და აგრესიულობას.

Rerum Novarum as a Basis of Christian Democracy

Tereza Japaridze

Ph.D. Student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

During XVIII-XIX centuries one of the significant phenomenon has occurred in the history of world policy. Among them is urgently notable French Revolution (1789-1799) that was similarly turning-point in the further development of history. First of all, during this period absolute monarchy was replaced by a new regime – republicanism. The Catholic Church was also referred by these changes. That's why Roman Pontifex of that period Leo XIII was forced to change a political course and draw new orients of diplomacy. Leo XIII clearly formed his action plan in an encyclical Rerum Novarum that was a basis of development of Christian Democracy. In the denoted encyclical Pope paid a great attention to the rights of labors, their circumstances, appealed them for unification and mutual aids, ethical cleaning of the society and the princes of family and the role of state in socialism conditions. Furthermore, Pope Leo XIII discussed a system of Capitalism, according to his words, it preached nihilism, distrustfulness and aggressiveness.

მუკდენის ინციდენტი და მისი გავლენა მსოფლიოზე



ჯაბა მესხიშვილი

დოქტორანტი

თუ რატომ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, ამის შესახებ ბევრი მოსაზრება არსებობს, თუმცა ძირითად ორ მთავარ მიზეზს ასახელებენ: 1. ჰიტლერი და მისი აგრესიული პოლიტიკა. 2. მეორე მსოფლიო ომამდე იმდროინდელი მსოფლიოს ლიდერების ჰიტლერისადმი დამთბობი პოლიტიკა. მაგრამ, ჩემი აზრით, მეორე მსოფლიო ომის დაწყების სათავე არა ევროპაში, არამედ აზიაშიც უნდა ვეძიოთ და ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის ოფიციალური დაწყების თარიღი იყო (1939 წლის სექტემბერი). ჩემი მოსაზრებით, იაპონიის მილიტარისტული საგარეო პოლიტიკა და მის წინააღმდეგ დასავლეთის ქვეყნების უნიათო რეაგირება გახდა საერთაშორისო წესრიგის რღვევის მიზეზი, რამაც კაცობრიობა საბოლოოდ მეორე მსოფლიო ომამდე მიიყვანა. შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები შესანიშნავი მაგალითი იყო ჰიტლერისთვის თუ როგორ დაუსჯელად შეეძლო აგრესული ქმედებების გატარება.

კორეის ნახევარკუნძული და მანჯურია იაპონიის განსაკუთრებული ინტერესისა და ყურადღების ქვეშე-19 საუკუნის მიწურულიდან მოექცა¹. ეკონომიკური სარგებლის მიღების გარდა, იაპონიას აშინებდა რუსეთის ექსპანსია შორეულ აღმოსავლეთში. იგი შიშობდა, რომ მოგვიანებით კორეის ნახევარკუნძული შესაძლოა იაპონიაზე თავდასხმის პლაცდარმად გამოეყენებინა რუსეთის იმპერიას. ამიტომ, პრევენციის მიზნით, აღნიშნული ტერიტორიების საკუთარი გავლენის ქვეშე მოექცია. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1894-1895 წინეთ იაპონიის და 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომები, ორივე ომში იაპონიამ წარმატებას მიაღწია. შედეგად კორეაში სრულ ბატონობას მიაღწია და მანჯურიაში სხვადასხვა

¹ პირველად მანჯურია იაპონიის ყურადღების ქვეშე, როგორც სტრატეგიული პლაცდარმი მატერიკზე 1823 წელს მოექცა (იმ პერიოდში იაპონია ჯერ კიდევ თვითიზოლაციაში იყო), როდესაც პოლიტ-ეკონომისტმა სატო ნაბუჰირომ გამოაქვეყნა სტატია, სადაც ის ამომბდა, რომ მანჯურიის დაკავებით იაპონიას შეეძლებოდა და გაუღვივებოდა ჩინეთის მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაკავება (5-578).

კონცესიები მიიღო. 1912 წელს ჩინეთში სინჰაის რევოლუციის შემდეგ მანჯურია პრაქტიკულად გამოვიდა ჩინეთის მმართველობიდან და პრო-იაპონური მმართველობა დამყარდა. თუმცა 20-იანი წლებში ანტი-იაპონური განწყობა განსაკუთრებით გაღვივდა ჩინეთში და მანჯურიის დაკარგვის საფრთხეც წარმოიშვა, ამიტომ იაპონის მილიტარისტულმა წრეებმა გადაწყვიტეს იმ დროინდელი მანჯურიის მმართველის ჩან ტსო-ლინის მოცილება და ეს 1928 წლის 4 ივნისს, მუკდენის გარეუბანში მისთვის რკინიგზაზე მოწყობილი ტერაქტით მიაღწიეს (7- 90-91 გვ).

მანჯურია არ განიხილებოდა მხოლოდ რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში ექსპანსიის შემაკავებელ სტრატეგიულ მნიშვნელობად. იაპონელები მას ბევრად უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. 1927 წელს ჩინურმა გაზეთმა „China Critic“ გამოაქვეყნა სტატია იმის შესახებ, რომ იმ დროინდელმა იაპონიის პრემიერ მინისტრმა ტანაკამ იმპერატორს წარუდგინა მემორანდუმი, სადაც იამატოს რასის მსოფლიოზე გაბატონების გეგმა იყო ასახული, (საბოლოოდ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ომში გამარჯვებით გვირგვინდებოდა გეგმა), რომელშიც განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ბუნებრივი რესურსებით მდიდარ მანჯურიის და შიდა მონღოლეთის დაპყრობას ეკავა (3-176 გვ). დღემდე დაუდგენელია მართლა არსებობდა თუ არა ე.წ. „ტანაკა მემორანდუმი“. ისტორიკოსთა ნაწილს დღემდე მიაჩნია, რომ მართლაც არსებობდა მსგავსი მემორანდუმი. (3-176გვ). დაახლოებით ანალოგიური მიზნები და გეგმა გააჩნდა იმ დროინდელ გავლენიან იაპონელ პოლკოვნიკ იშივარა კანჯისაც, მისთვისაც მსოფლიოზე გაბატონებისთვის მანჯურიას და ასევე შიდა მონღოლეთს დიდი მნიშვნელობა გააჩნდა და აშშ-სთან 20-30 წლიანი ხანგრძლივი ომისთვის მისი რესურსები აუცილებელი იყო (8-283 გვ). ის ასევე წერდა, რომ „მონღოლეთი და მანჯურია არ არიან ჩინური ტერიტორიები და ეკუთვნის მონღოლ და მანჯურიელ ხალხს. ამ საკითხის შეუფასებლობამ კი იაპონური ეროვნული ინტერესები ჩიხში შეიყვანა, ამიტომ საჭიროა ამ პრობლემის მოხსნა“ (3-187 გვ).

ტანაკას საკუთარი მიზნების განხორციელება არ დასცალდა, რადგან ჩან ტსო-ლინის ტერაქტის გამო იმპერატორის ნდობა დაკარგა და გადადგომა მოუწია, თუმცა 20-იანი წლების მიწურულს მსოფლიოში და იაპონიაში მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რამაც შემდგომში იაპონიის და შესაძლოა მსოფლიოს ბედიც კი განსაზღვრა. პირველ რიგში ეს იყო 1929 წელს აშშ-ში დაწყებული დიდი ეკონომიკური კრიზისი ე.წ. „დიდი დეპრესია“, რომელიც მთელ მსოფლიოში გავრცელდა და შესაბამისად იაპონიის ეკონომიკასაც დიდი ზიანი მიაყენა.

ეკონომიკური კრიზისის ფონზე გააქტიურდნენ მილიტარისტული ძალები. 1929 წელს ფაშისტური იდეების მქონე ახალგაზრდა იაპონელმა ოფიცრებმა დაარსეს „საკურაკაი“ (საკურას საზოგადოება), სადაც მათი იდეების მომხრეები გაერთიანდნენ (4-294 გვ). მათ ძირითად მსხვერპლს პოლიტიკოსები და გავლენიანი ადამიანები წარმოადგენდნენ. მათი პირველი მსხვერპლი პრემიერ-მინისტრი ჰამაგუჩი ოსაჩი გახდა. 1930 წელს, სახალხოდ, ტოკიოს სადგურში მძიმედ დაჭრა ულტრა ნაციონალისტმა საგოია ტომეომ. მათ შემდგომში წარმატებით გაანეიტრალეს მიცუსის მსხვილი კორპორაციის გენერალური დირექტორი დან ტაკუმა, ფინანსთა მინისტრი ინოუე ჯუნოსუკე (მიზეზი სამხედრო ხარჯების შემცირება იყო) (5-581 გვ), ხოლო 1932 წლის 15 მაისს მოკლეს იაპონიის პრემიერ-მინისტრი ინუკაი ცუიოში, რომლის მკვლელობითაც დასრულდა იაპონიაში არჩევნების შედეგად არჩეული პარტიების მიერ მინისტრთა კაბინეტების შექმნის ერა და დაიწყო სამხედროების გავლენით დანიშნული პრემიერების ეპოქა (3-188 გვ).

მილიტარისტული ძალების მიზანი იყო „შიდა მონღოლეთის და მანჯურიის პრობლემის“ გადაჭრა, მათ გადაწყვიტეს, რომ რადგან პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ პრობლემების მოგვარება, ამიტომ სამხედროებს უნდა აეღოთ ეს მისია საკუთარ ხელში. მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა მათ დიდი დახმარება გაუწია, რადგან პოლიტიკურ პარტიებს ხალხის ნდობა დაკარგული ჰქონდათ. ამიტომ მათ ისარგებლეს სიტუაციით და ეკონომიკურ გაჭირვებაში პოლიტიკური პარტიების მმართველობას და ძაიბაცუებს² დასდეს ბრალი. ამით ხალხში სამხედროებისადმი ისედაც არსებული გაჭირვება საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენეს და მათდამი სიმპატიები კიდევ უფრო გაზარდეს (8 -286-287 გვ). მათ მთავარ წამყვან ადგილად იქცა კორეაში დისლოცირებული, ე.წ. კვანტუნის არმია.

1931 წლის სექტემბერში კვანტუნის არმიიდან მოსალოდნელ შესაძლო ჯანყის საფრთხეზე მუკდენის გენერალურმა კონსულმა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეატყობინა. მინისტრთა კაბინეტის საგანგებო თათბირზე გადაწყდა, რომ სიტუაციის გასარკვევად და შეთქმულების აღმოსაფხვრელად კვანტუნში სამხედრო მინისტრი მინამი ჯირომ გადაწყვიტა გენერალი ტატეკავა გაეგზავნა. მისი ეს გადაწყვეტილება პრესაში, როგორც პირომანის ტყეში შეგზავნად შეფასდა. ისინი მართლებიც აღმოჩნდნენ, რადგან მოგვიანებით გაირკვა, რომ ის შეთქმულებთან იყო კავშირში (4-294 გვ).

² მსხვილი ფინანსურ-ეკონომიკური კომპანიები

ამასობაში პოლკოვნიკებმა იშივარა კანჯიმ და სეიშირო იტაგაკიმ მანჯურის ინტერვენციის გეგმა მოამზადეს (მათ მხარს უჭერდნენ გავლენიანი გენერლები სადაო არაკი და შუნრუკე ჰატა). მოფიქრებული ჰქონდათ, თუ როგორ უნდა გაემართლებინათ თავი მანჯურის დაპყრობის გამო. გეგმის მიხედვით მანჯურიელებს თავად უნდა მიემართათ თხოვნით იაპონელებისთვის, რათა დახმარებოდნენ ჩინელებისგან თავდაცვაში და ეკონომიკურ განვითარებაში. გეგმა უნდა განხორციელებულიყო მოკლე პერიოდში, რომ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს რეაგირება ვერ მოსწროთ (7 -15 გვ).

17 სექტემბერს ტატეკავა ჩავიდა კვანტუნის რეგიონში, მოვლენები კი მეორე დღეს განვითარდა. 18 სექტემბერის ღამით მეორე ბატალიონის მეთაურმა კავამოტომ რამდენიმე ჯარისკაცთან ერთად მუკდენის გარეუბანში რკინიგზაზე ტერაქტი მოაწყო. აფეთქების ადგილას მისულ იაპონელებს კი ჩინურ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი რამდენიმე გვამი „დახვდა“. გვამები, რა თქმა უნდა, ტერაქტის ორგანიზატორების მიერ იყო წინასწარ გამზადებული. იაპონელებმა ტერაქტი მაშინვე ჩინურ მხარეს დააბრალეს და ინტერვენციის დაწყების საბაზად გამოიყენეს. შეთქმულებმა მთავრობასთან და იმპერატორთან შეუთანხმებლად თვითნებურად დაიწყეს შეტევა ჩინეთის მმართველობის ქვეშ არსებული ტერიტორიებისკენ (4-294 გვ).

ინციდენტის დროს მანჯურის მმართველი ჩან ჰსიან-ლიანი პეკინში იმყოფებოდა. მან, როდესაც მომხდარის შესახებ გაიგო, ბრძანება გამოგზავნა, რომ პროვოკაციას არ აჰყოლოდნენ (4-295 გვ). 21 სექტემბერს იშივარამ და შეთქმულთა სამხედრო შტაბის სხვა წევრებმა კვანტუნის არმიის სარდალს ჰონჯო შიგერუს მოსთხოვეს სამხედრო ნაწილების მანჯურიაში გადასროლა. ჰონჯო არ იყო შეთქმულთა შორის, ამიტომ იმპერატორის სპეციალური ბრძანების³ გარეშე ჯარის გაგზავნის წინააღმდეგი იყო, თუმცა იგი მაინც დაიყოლიეს და მთავარი იერიშებიც დაიწყო (8-289 გვ).

მუკდენის ინციდენტის გამო ერთა ლიგის გენერალურმა მდივანმა დრამონდმა წუხილი გამოხატა და მხარეებს მოუწოდა თავი შეეკავებინათ მოვლენების შემდგომი ესკალაციისგან (1-276 გვ). ვაკაცუკის კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოვლენები არ გაფართოვდებოდა და ამის შესახებ საერთაშორისო საზოგადოებასაც შეატყობინა. შესაბამისი

³ ინსტრუქციით რაიმე შეტევითი სამხედრო მოქმედების დაწყება მხოლოდ იმპერატორის ნებართვით იყო შესაძლებელი.

ინსტრუქცია კვანტუნის არმიასაც გაუგზავნეს, მაგრამ მათ სრულიად უგულებელყვეს მთავრობის მითითება და უფრო განაგრძეს იერიშები და ოკუპაცია (4-296გვ).

მანჯურიაში დაბრუნებულმა ჩან ჰსიან-ლიანმა დამარცხებული ჯარისკაცები შეაგროვა, პარტიზანული ომი გააჩაღა მტერთან, ხოლო ჩინეთის მმართველი ჩან კაიში იმ დროს ქვეყნის შიგნით კომუნისტებთან და პროვინციებში გაბატონებულ სხვადასხვა სამხედრო დაჯგუფებებთან ბრძოლაში იყო ჩართული (6-51 გვ), (2-278 გვ). ამრიგად, იაპონელებთან ომი არც შეემლო სუსტ ჩინეთს და არც სურვილი ჰქონდა. ამიტომ, ჩან კაიშიმ ერთა ლიგას მიმართა დასახმარებლად. ერთა ლიგის გენერალურმა მდივანმა დრამონდმა კიდევ ერთხელ მოუწოდა სიტუაციის გართულებისგან თავის შეკავება (1-276 გვ). იაპონიის მთავრობამ პირობა დადო, რომ იერიში შეჩერდებოდა, მაგრამ რეალობა სულ სხვა იყო. კვანტუნის არმია დამოუკიდებლად განაგრძობდა მოქმედებას.

ერთა ლიგის სხდომის დახურვიდან რამდენიმე დღეში კვანტუნის არმიამ განაახლა იერიში. მიზეზად კი ჩინეთის მხრიდან შეთანხმების დარღვევა დაასახელა, რამაც თურმე აიძულა იაპონური მხარე „მშვიდობისთვის“ ებრძოლათ. საპასუხოდ ერთა ლიგამ 30 სექტემბერს მიიღო რეზოლუცია და მხარეებს კიდევ ერთხელ მოუწოდა მშვიდობისკენ. მაგრამ უშედეგოდ, კვანტუნის არმია კვლავ განაგრძობდა იერიშებს (1-276 გვ).

სიტუაციის გართულების გამო ერთა ლიგა 16 ნოემბერს კიდევ ერთხელ შეიკრიბა პრობლემაზე სამსჯავროდ. 10 დეკემბერს გადაწყდა, რომ სიტუაციის ადგილზე შესასწავლად ხუთ წევრიანი საგამომიებო კომისია გაიგზავნებოდა. კომისიას სათავეში ინგლისელი ლორდი ლიტონი ჩაუყენეს. კომისიამ 1932 წლის 29 თებერვალს ჩააღწია იაპონიაში(8-297). მანამდე კი ჩინეთისთვის მოვლენები კატასტროფულად განვითარდა.

არმია პრაქტიკულად გამოსული იყო კონტროლიდან. პრემიერ-მინისტრმა ვაკაცუკიმ გამოსავალს რომ ვერ მიაგნო, იძულებული გახდა გადამდგარიყო და მისი ადგილი მმართველი პარტიის პრეზიდენტმა ინუკაიმ დაიკავა. 1932 წლის იანვრიდან იაპონურმა არმიამ წარმატებული იერიშების შედეგად პეკინს 40 კმ-ზე მიუხლოვდა. 1932 წლის 28 იანვარს იაპონიამ ზღვიდან დაბომბა შანხაი, რამაც დიდი საერთაშორისო უკმაყოფილება გამოიწვია და გაძლიერდა იაპონიაზე ზეწოლა. როგორც შემდგომში გაირკვა, ეს ინციდენტი კვანტუნის არმიის შეთქმულების მიერ იყო დაგეგმილი. მათ მიზანს წარმოადგენდა მანჯურიიდან ყურადღების სხვა მიმართულებით გადატანა (გაღმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებაო), რასაც წარმატებით მიაღწიეს კიდევაც. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ იაპონია აპირებდა იერიშის

ცენტრალურ ჩინეთშიც გადატანას, სადაც დასავლეთის ძლიერ ქვეყნებს ეკონომიკური ინტერესები ჰქონდათ. ამიტომ, მანჯურიაში მეტ-ნაკლებად დაკარგა სიმწვავე და მთელი ყურადღება შანხაიზე გადავიდა. საერთაშორისო უკმაყოფილებამ პიკს მიაღწია (4-297 გვ). ჩინეთს შანხაის დატოვებაც მოუწია. 5 მაისს ჩან კაიში იძულებული გახდა იაპონელებთან ხელი მოეწერა ხელშეკრულებისათვის, რომლის მიხედვითაც შანხაი დემილიტარიზებულ ზონად გამოცხადდა, ჩინეთის მხარეს ნება დაერთო მხოლოდ მცირე საპოლიციო ძალები ჰყოლოდა (1-277 გვ).

1932 წლის მარტისთვის იაპონიამ წარმატებით დაასრულა მანჯურიის ოკუპაცია და წინასწარი გეგმის მიხედვით შექმნა მანჯოუ-გოს მარიონეტული სახელმწიფო, რომელმაც 1932 წლის 1 მარტს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქვეყნის მეთაურად დაინიშნა ჩინეთის იმპერატორთა შთამომავალი ჰენრი ჰუ-ი. თუმცა რეალურ მმართველობას კვანტუნის არმიის სარდალი ასრულებდა (10- 439 გვ).

1932 წლის აპრილში მანჯურიაში ჩასულ ლიტონის კომისიას ადგილზე სხვა რეალობა დახვდა, უკვე არსებობდა დამოუკიდებელი მანჯოუ-გოს სახელმწიფო. ინუკაის კაბინეტის საგარეო საქმეთა მინისტრმა განუცხადა კომისიას, რომ მიუხედავად მოსახლეობის თხოვნისა, მისი დამოუკიდებლობის ცნობას არ აპირებდნენ. თუმცა მოგვიანებით, სექტემბერში საიტოს კაბინეტმა მაინც აღიარა დამოუკიდებელ ქვეყნად და მასთან დიპლომატიური ურთიერთობაც დაამყარეს (4-296 გვ).

6 თვიანი ძიების შემდეგ ლიტონის კომისიამ ერთა ლიგას წარუდგინა დასკვნა, რომელიც 2 ოქტომბერს გამოქვეყნდა. დასკვნის მიხედვით, მანჯურია აღიარებულ იქნა როგორც ჩინეთის განუყოფელ ნაწილად, ხოლო იაპონიას ბრალი დასდეს „ბრიან-კელოგის პაქტის“ და „ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულების“ დარღვევაში, 18-19 სექტემბრის მოვლენები შეფასდა არაადეკვატურ ქმედებად, ხოლო მანჯოუ-გოს აღიარება არაგულწრფელ და ნაჩქარევ გადაწყვეტილებად. რეკომენდაცია მიეცა ჩინეთს და იაპონიას, რომ მანჯურიიდან გაეყვანათ ჯარები, ამასთან უნდა დადებულიყო შეთანხმება მხარეებს შორის, რომლის მიხედვითაც მანჯურიაში დაცული იქნებოდა იაპონიის ეკონომიკური ინტერესები. იაპონიას ბრალი დასდეს ერთა ლიგის შეთანხმებების და სამშვიდობო ხელშეკრულებების დარღვევაში (8 296-297 გვ). პრინციპში, ერთა ლიგას მეტის გაკეთების შესაძლებლობა არც ჰქონდა, თუ კი ვინმეს შეეძლო იაპონიაზე გავლენის მოხდენა, ეს იყო აშშ, დიდი ბრიტანეთი და სსრკ, მაგრამ

არც ერთმა მათგანმა არ გამოიჩინა ინიციატივა, ვინაიდან საშინაო პრობლემების მოგვარებით იყვნენ დაკავებული.

აშშ იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო გამოსული „დიდი დეპრესიიდან“ და არ ეცალა შორეული აღმოსავლეთის კრიზისის მოსაგვარებლად. ერთადერთი, რაც ჰუვერის ადმინისტრაციამ გააკეთა იყო „არ აღიარების დოქტრინის“ გამოცხადება (4-296 გვ). აშშ-ს მსგავსად ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა დიდი ბრიტანეთიც და არც მას ეცალა ჩინეთის დახმარებისთვის, თანაც იაპონიას სსრკ-ს დასაბალანსებელ ძალად განიხილავდა. სსრკ საგარეო პოლიტიკაში აქტიურობისთვის ჯერ არ იყო მზად, თან მეორე მხრივ აწყობდა ჩინეთის დასუსტება, რაც ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის დამყარებას შეუწყობდა ხელს. მისთვის ასევე ხელსაყრელი იყო საერთაშორისო ვითარების გართულება. ამიტომ, არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს. 1932 წლის სექტემბერში იაპონიის ელჩს ჰიროტას სსრკ-ში განუცხადეს, რომ საბჭოთა მხარე არ აპირებდა შორეულ აღმოსავლეთში ჩაურევლობის პოლიტიკის შეცვლას (9-57 გვ). მეტიც, 1935 წელს აღმოსავლეთის რკინიგზა იაპონიას მიეცა და ჯარები მდინარე ამურის ხაზამდე დახია (4-296 გვ). ამრიგად, ჩინეთისთვის საგარეო გეოპოლიტიკური ვითარება არ იყო ხელსაყრელი.

ამავე დროს, ჩინეთის პრობლემის გარშემო აზრთა სხვადასხვაობა დასავლეთში - კონსერვატორულ და ლიბერალურ ფრთებს შორისაც არსებობდა, მაგრამ ისინი გაუბედავად მოქმედებდნენ და მკვეთრ ნაბიჯებს ვერ დგამდნენ. ისინი იმედს არ კარგავდნენ, რომ იაპონია საბოლოოდ არ იტყოდა უარს საერთაშორისო თანამშრომლობაზე. გარდა ამისა, იაპონიაში ბევრ დასავლელ კომპანიას ჰქონდა ფინანსური ინტერესები და ამიტომ ცდილობდნენ არ გაფუჭებოდათ ურთიერთობა იაპონიის მმართველ წრებთან (2-585 გვ).

1933 წლის იანვარში იაპონიის მიერ შანხაი-გუანის აღება გახდებოდა ერთა ლიგის მიერ 24 თებერვალს უფრო მკაცრი რეზოლუციის მიღების მიზეზი. ამით თავის წევრ ქვეყნებს მოუწოდა, რომ არ ეცნოთ მანჯოუ-გოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. თუმცა, იმავდროულად რეზოლუციაში კვლავ ხაზგასმული იყო იაპონიის განსაკუთრებული ინტერესები და უფლებები მანჯურიაში (1-277 გვ).

აღნიშნული რეზოლუციის მიღებამ ერთა ლიგასა და იაპონიას შორის დამაბულ ურთიერთობაზე უარყოფითად იმოქმედა. იაპონიამ შენევაში ერთა ლიგასთან მოლაპარაკებებისთვის მაცუოკა მიავლინა. შენევაში მაცუოკას დასავლეთის მხრიდან მკაცრი კრიტიკის მოსმენა მოუწია. ისინი ითხოვდნენ იაპონიას მხრიდან მანამდე მიღებული

რეკომენდაციების შესრულებას. 1933 წლის მარტში ერთა ლიგამ 42 ხმით დაამტკიცა ლიტონის კომისიის დასკვნა და იაპონიას მკაცრად მოთხოვა ჯარების გაყვანა. იაპონიამ გამოსავლად ერთა ლიგის დატოვება მიიჩნია და 27 მარტს მაცუოკამ ერთა ლიგის დატოვების შესახებ გამოაცხადა⁴ (10-440 გვ). ეს იმას ნიშნავდა, რომ იაპონიამ ერთა ლიგასთან ერთად დატოვა ვერსალი და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებიც და დაადგა თვითიზოლაციის გზას. მოგვიანებით მისი მაგალითი გაითვალისწინეს გერმანიამ და იტალიამ და დატოვეს ერთა ლიგა. ისინიც მიხვდნენ ამ ორგანოს უუნარობას.

შორეულ აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ იმდროინდელი მსოფლიო საზოგადოება და საერთაშორისო ინსტიტუტები არ აღმოჩნდნენ მზად დაეცვათ სუვერენული ქვეყნის საზღვრები და შეეჩერებინათ აგრესორი ქვეყანა. პირველი მსოფლიო ომის დროს მიღებული გაკვეთილი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს მშვიდობის დაცვის მყარი სისტემა შეექმნათ. ყველა საერთაშორისო სამშვიდობო ხელშეკრულება ფარატინა ქაღალადი აღმოჩნდა და მათში ასახული პრინციპების დაცვის მექანიზმები პრაქტიკულად არ არსებობდა. ერთა ლიგაც ვერ აღმოჩნდა ქმედითი ორგანო, მას მხოლოდ უსარგებლო რეზოლუციების მიღება შეეძლო და რეალურად აგრესორი ქვეყნის შემაკავებელი ბერკეტი არ გააჩნდა. სიტუაციას კომიკური ელფერიც დაჰკრავდა. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის აგრესია და საერთაშორისო სამართლისა და ხელშეკრულებების დარღვევა აშკარა იყო, ერთა ლიგა და სხვა წამყვანი ქვეყნები ჩინეთსაც მოუწოდებდნენ იარაღი არ გამოეყენებინა საკუთარი სუვერენული საზღვრების დასაცავად. მსოფლიო ლიდერი ქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე და მერეც, მხოლოდ საკუთარი ფინანსური ინტერესები უფრო ადარდებდათ, ვიდრე სამართლიანობის დაცვა შორეულ აღმოსავლეთში. აშშ-მ 1941 წლის ივნისში გაბედა იაპონიისთვის მისთვის მეტად აუცილებელ პროდუქტზე - ნავთობის მიყიდვაზე ემბარგოს დაწესება⁵.

⁴ ერთა ლიგის დატოვების მიუხედავად მასში შემავალ ზოგიერთ ორგანიზაციაში იაპონელები კვლავ აგრძელებდნენ მუშაობას.

⁵ იაპონიისთვის ნავთობის ემბარგოს დაწესებამ იმდენად მძიმე გადაწყვეტილება აღმოჩნდა, რომ მთელი მისი მომავალი გადაწყვიტა. აშშ-სთან ომის დაწყების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იაპონელი ისტორიკოსები ნავთობის ემბარგოს ასახელებენ, მათი აზრით იაპონიას ომის გარდა სხვა გზა აღარ ჰქონდა ნავთობის მოსაპოვებლად.

შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები ჰიტლერისთვისაც მაგალითის მიმცემი გამოდგა. იგი მიხვდა, რომ მასაც შეეძლო ისე დაერღვია ყველა საერთაშორისო შეთანხმება, შეეძლო მეზობელი ქვეყნების ოკუპაცია-ანექსია (ჩეხოსლოვაკია-ავსტრია). საპასუხოდ კი არ მიუღია არავითარი სასჯელი. მუკდენის ინციდენტის მსგავსად მოაწყო ინსცენირებული თავდასხმა და გაასაღა როგორც მოწინააღმდეგის მიერ მოწყობილ ქმედებად (გლაივიცე). ცხადია, რომ ერთა ლიგა არაფრის მომცემი ორგანიზაცია იყო, მას შეეძლო მხოლოდ არაფრის მომცემი რეზოლუციების მიღება და საჭიროების შემთხვევაში კი არც მისი დატოვება შექმნიდა პრობლემას ქვეყნისთვის. იაპონიის შემდეგ გერმანიამაც დატოვა ერთა ლიგა 1933 წლის სექტემბერში.

ვინ იცის მანჯურიის ინციდენტის შემდეგ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს უფრო მეტად პრინციპული პოზიცია რომ დაეჭირათ და იაპონია აეძულეზინათ შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულები და საერთაშორისო ხელშეკრულებების დაცვა, დაეკისრებინათ მძიმე ფინანსური სანქციები და თუნდაც მისთვის ყველაზე მძიმე - ემბარგო ნავთობზე შესაძლოა იაპონიას უარი ეთქვა თავისი აგრესიული პოლიტიკის გაგრძელებაზე. ეს აგრეთვე ნათელი მაგალითი იქნებოდა ჰიტლერისთვისაც, შესაძლოა მასაც ვეღარ გაებედა თავისი ბოროტი ზრახვების განხორციელება და კაცობრიობასაც აცილებოდა მეორე მსოფლიო ომი.

ამბობენ ისტორია ხშირად მეორდება და ამიტომ საჭიროა მისგან სწორი დასკვნების გამოტანა. თანამედროვე სამყაროშიც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე განვითარებული მოვლენებმა ცხადყო, რომ დღეს არსებული საერთაშორისო წესრიგიც ისეთივე მყიფეა და მშვიდობის დაცვის ხელშეკრულებებიც ისეთივე ფარატინა ქალაღდება, როგორც XX საუკუნის 30-იან წლებში იყო. დღესაც შესაძლებელია სუვერენული ქვეყნის საზღვრების ძალადობრივად შეცვლა, როგორც მაშინ მოხდა და მისი აცილების რეალური არც ბერკეტები არსებობს და არც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მხრიდან მათი დაცვის სურვილი. თანამედროვე მსოფლიოში განვითარებული მოვლენების თვალის მიდევნება მიტოვებს განცდას, რომ ეს უკვე მოხდა XX საუკუნის 30-იან წლებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპასქირი, თ. (2009). ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია 1914-1945, I ნაკვეთი. თბ., გამომცემლობა მერიდიანი.
2. Ebrey Patricia Buckley. (1999). Cambridge Illustrated History of China. Cambridge University Press.
3. Gordon, A. (2009). Modern History of Japan, from Tokugawa times to the Presently. New York: Oxford University press.
4. Hall John, w., Jansen Marius, B., Kanai Madoka & Twitchett Denis. (1988). The Cambridge History of Japan. The twentieth century Cambridge University press. New York, Cambridge, New Rochelle, Melbourne, Sydney.
5. Jansen Marius, B. (2000). The Making of Modern Japan. The Belknap press of Harvard University press, Cambridge: Massachusetts and London, England.
6. Modern China: An encyclopedia of history, culture and nationalism. (1998). Ke-wen Wang, Garland reference library of humanities, Beijing.
7. Kato, Yoko. (2007). *From Manchurian incident To Sino-Japan war*. Tokyo. Iwanami Shoten.
8. Kato, Yoko. (2009). *Even So, Japanese chose a war*. Tokyo. Asahi publisher.
9. Hatori, Ryuji. (2009). *Hirota Koki*. Tokyo. Chyuko Shinshyo.
10. Sato, Makoto., & etc. (2008). *Research of Japanese History*. Tokyo. Yamagawa publisher.

მუკდენის ინციდენტი და მისი გავლენა მსოფლიოზე

ჯაბა მესხიშვილი
დოქტორანტი
კობეს უნივერსიტეტი

ანოტაცია

XX საუკუნის 20-იან წლების მიწურულს იაპონიაში გააქტიურდნენ მილიტარისტულ-ფაშისტური ძალები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა დიდი იაპონიის იმპერიის შექმნა. მიზნის მისაღწევად სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა მანჯურიის რეგიონს. მათ მთავრობისგან ფარულად შეიმუშავეს მანჯურიის ოკუპაციის გეგმა. ინტერვენციის დაწყების

საბაზად გამოიყენეს მუკდენის მახლობლად მოწყობილი ტერაქტი და მთავრობისგან შეუთანხმებლად მოახდინეს მანჯურიის ტერიტორიის ოკუპაცია.

ერთა ლიგამ მხარეთა დაშოშმინების მიზნით მიღებული რამდენიმე რეზოლუციის შემდეგ, პრობლემის ადგილზე შესასწავლად ლორდი ლიტონის მეთაურობით კომისია გააგზავნა, დასკვნის საფუძველზე იაპონიას მოსთხოვეს მანჯურიის დატოვება, მაგრამ აღსასრულებლად ორგანიზაციას იაპონიაზე ზეწოლის ბერკეტები არ ჰქონდა. საპასუხოდ იაპონიამ მანჯურიის ნაცვლად ერთა ლიგა დატოვა. შედეგადაც ცხადი გახდა, რომ საერთაშორისო საზოგადოება არ იყო მზად აგრესორი ქვეყნის შესაჩერებლად. ამან მოგვიანებით უფრო ცხადად ევროპაში იჩინა თავი, რამაც კაცობრიობა მეორე მსოფლიო ომამდე მიიყვანა.

Mukden Incident and Its Influence on World

Jaba Meskhishvili

Ph.D. Student

Kobe University

Abstract

In the last 20 years of the XX century military-fascist forces stirred to activity in Japan. Their aim was creating a Greater Japanese Empire. A strategic importance for achieving the goal was granted to Manchuria region. They have drawn out an occupation plan of Manchuria secretly. An organized massacre near Mukden was used as a reason of intervention and without coordinating with government, they occupied Manchuria territory. The League of Nations due to calming down the sides accepted several resolutions, and sent a commission with the guidance of Lord Lytton to study the problem at place. On the basis of conclusion Japan was demanded to leave Manchuria, but the organization was lacking the levers to influence on Japan. In response Japan left the League of Nations instead of Manchuria. As a result it was clear that an international organization was not ready to stop an aggressive state. This was later uncovered in Europe, that lead mankind to the Second World War.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები სამოქალაქო საპროცესო
სამართალში



ლევან გორელაშვილი
მაგისტრი

„...და დაჯდა მოსე ხალხის განსასჯელად; დილიდან საღამომდე იდგა ხალხი მოსეს წინაშე“.
„დაინახა მოსეს სიმაღლე ყველაფერი, როგორ ექცეოდა იგი ხალხს და ჰკითხა: რატომ ზიხარ
მარტო“. „უთხრა მოსემ სიმაღლეს: როცა ხალხს რაიმე საქმე გაუჩნდებათ, ჩემთან მოდიან და მეც
განვსჯი მათ სამართალს“. „უთხრა სიმაღლეს მოსეს: არ არის კარგი, რასაც შენ აკეთებ. ახლა
გაიგონე ჩემი სიტყვა, რჩევას მოგცემ: *გამოყავი ერიდან რჩეული ხალხი, ღვთისმოშიშნი,
ანგარების მოძულენი, წრფელი ხალხი და ათასისთავებად, ასისთავებად,
ორმოცდაათისთავებად და ათისთავებად დაუდგენენ ერს. მათ განსაჯონ ერი ყოველ დროს;
დიდი საქმეები შენ მოგახსენონ, ხოლო წვრილმანი თავად გადაწყვიტონ.*“¹

ნიშანდობლივია, რომ ათასწლეულების წინათაც კი ერის ყველაზე დიდი
წინამძღოლების მთავარი საქმე ადამიანების განსჯა და მათთვის „სამართლის ქმნა“ იყო, რასაც
ძველი აღთქმიდან ზემოაღნიშნული ამონარიდებიც მოწმობს. გარდა ამისა ხსენებული
ამონარიდები სხვა მხრივაც მჭიდრო კავშირშია სასამართლო სისტემასთან, რამდენადაც იგი
ადგენს როგორც მოსამართლის თანამდებობისთვის საჭირო პიროვნულ თვისებებს, შერჩევის
კრიტერიუმებს („*რჩეული ხალხი, ღვთისმოშიშნი, ანგარების მოძულენი, წრფელი ხალხი*“),
ასევე სასამართლოებს ყოფს ინსტანციებად („*ათასისთავებად, ასისთავებად,
ორმოცდაათისთავებად და ათისთავებად*“) და რაც ყველაზე საინტერესო და წინამდებარე
ნაშრომის თემასთან უშუალო კავშირშია, არის ის, რომ იგი განსაზღვრავს მართლმსაჯულების
საბოლოო ინსტანციისთვის (თანამედროვე საკასაციო ინსტანციისთვის) საქმეთა
დასაშვებობის წინაპირობებს („*დიდი საქმეები შენ მოგახსენონ, ხოლო წვრილმანი თავად*

¹ ძველი აღთქმა – "გამოსვლა" თავი მე-18
<http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia/gamosvla/gamosvla-18.htm>

გადაწყვიტონ“). ყოველივე ეს კი მნიშვნელოვან საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სასამართლოების პირველ, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებად დაყოფის პირველი გამოვლინება გვხდება ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 3000 წლით ადრე.

ერთი შეხედვით სასამართლო სისტემის ძველი აღთქმისეული სტრუქტურა ათასწლეულების შემდეგაც იმავე პრინციპებზე დაყრდნობით ფუნქციონირებს „დიდი საქმეები შენ მოგახსენონ, ხოლო წვრილმანი თავად გადაწყვიტონ“, თუმცა საკითხის სიღრმისეული განხილვა ავლენს სასამართლო სისტემის ძველი აღთქმისეული სტრუქტურის მნიშვნელოვან მოდერნიზაციას, რის შემდეგაც მისი როლი მართლმსაჯულებაში აღარ შემოიფარგლება მხოლოდ „დიდი“ საქმეების განხილვით, პირიქით სრულიად შესაძლებელია „დიდ“-მა საქმეებმა ვერ მიაღწიონ საბოლოო ინსტანციის ზღურბლს, მაშინ როდესაც კანონმდებლობა უშვებს „პატარა“ საქმეებისათვის საკასაციო განხილვის დაშვების შესაძლებლობას. წინამდებარე ნაშრომის თემაც სწორედ იმ მახასიათებლებს (წინაპირობებს) და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას ეხება, რაც განასხვავებს „დიდ“ საქმეს წვრილმანთაგან.

თემის აქტუალობა თავად მისი სათაურიდან გამომდინარეობს, იმდენად რამდენადაც საკასაციო საჩივრის ობიექტის ზუსტ განსაზღვრას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით 2014 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, საკასაციო სასამართლოში შესული 417 საკასაციო საჩივრიდან 279 (66.91%) დაუშვებლად იქნა ცნობილი, რაც ნიშნავს იმას, რომ მართლმსაჯულების საბოლოო ინსტანციის სასამართლო უარს ამბობს საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილებებისა თუ განჩინებების 2/3-ზე მეტის განხილვაზე იმ საფუძველით, რომ არ არის დაკმაყოფილებული კანონმდებლობით მისთვის გათვალისწინებული წინაპირობებიდან არცერთი.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს როლი უმნიშვნელოვანესია მთლიანად სახელმწიფო მართლმსაჯულების პროცესში, რომელიც მოიცავს მის როგორც საჯარო, ისე კერძო ბუნებას. საჯარო ბუნების მნიშვნელობა გამოიხატება კონკრეტულ მიზანში - განახორციელოს სამართლის დინამიკური, პროგრესირებადი და მაუნიფიცირებელი განმარტების უზრუნველყოფა, ჩამოაყალიბოს მართლმსაჯულების ერთიანი სისტემა და განამტკიცოს სამართლებრივი უსაფრთხოება. ამის პარალელურად არსებობს ასევე კასაციის კერძო ინტერესი, რომელიც გულისხმობს კონკრეტულ სასამართლო დავის განხილვით,

კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღებას. მიუხედავად იმისა, რომ არგუმენტები ორივე მხრიდან მრავლად არსებობს, მაინც რთული საკითხი იქნება კასაციის მიზნებისათვის რომელიმე მათგანისათვის უპირატესი მნიშვნელობის მინიჭება. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში გათვალისწინებულია საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული პრობლემების წარმოჩენა.

პირველ რიგში შევეხები იმ საკანონმდებლო საფუძვლებს, რომელთანაც პირდაპირ არის დაკავშირებული წინამდებარე ნაშრომით წარმოჩენილ პრობლემურ საკითხებთან. საქართველო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად „საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებზე დასაშვებია, თუ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;“. როგორც ცნობილია, საქართველო რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახის წევრია და მის კანონმდებლობაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს გერმანული სამართლის პრინციპებს. გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გარდა სამართლის განვითარებისა ან ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა, განსაზღვრულია ასევე კასაციის დასაშვებობა, როდესაც საქმეს აქვს არსებითი მნიშვნელობა. ეს კი ცნო რაიჰენბეჰერის განმარტებით ეხება ისეთ შემთხვევებს, რომლებიც სცდება ცალკეული შემთხვევების ფარგლებს და რომლებზედაც საზოგადო ინტერესიდან გამომდინარე აუცილებელია საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მითითებულ მუხლში კასაციის დასაშვებობის ზემოაღნიშნული საფუძვლები ერთმანეთთან "ან" კავშირით არის დაკავშირებული, რაც კასაციის დაშვების დროს იძლევა იმის საშუალებას, რომ სახეზე იყოს თუნდაც ერთ-ერთი მათგანი. განსხვავებით ქართული საპროცესო კოდექსისგან, სადაც ნორმის დეფინიციის მიხედვით აუცილებელია ორივე წინაპირობის ერთდროულად არსებობა, ანუ საქმე მნიშვნელოვანი უნდა იყოს როგორც სამართლის განვითარებისათვის, ასევე ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, თუმცა სავსებით სწორად მიმაჩნია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თუ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისათვის, იგი ასევე მნიშვნელობას იძენს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.²

² ცნო რაიჰენბეჰერი, შალვა პაპუაშვილი _ სამართლის განვითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი "მართლმსაჯულება და კანონი", #4(6), 2005 გვ.72.

გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბებული პრინციპის მიხედვით, სამართლის განვითარების საფუძვლით კასაცია დასაშვებია თუ საქმე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ჩამოყალიბდეს ცალკეული მატერიალური ან საპროცესო განმარტების ზოგადი პრინციპები ან მოხდეს კანონში ხარვეზის აღმოფხვრა. ხოლო ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის კასაცია დასაშვებია ისეთ შემთხვევაში, როდესაც თავიდან უნდა იქნას აცილებული სასამართლო პრაქტიკაში მკვეთრი განსხვავების დანერგვა ან მათი შემდგომი არსებობა, თუმცა გადამწყვეტია ისიც, თუ რა მნიშვნელობა აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ზოგადად სასამართლო პრაქტიკისათვის.

"ეს ის შემთხვევაა, როდესაც არსებობს საყოველთაო ინტერესი სამართლის კონკრეტული ნორმის ერთგვაროვანი გაგებისათვის და ეს პრობლემა არ ყოფილა სასამართლოს განსჯადი (ან ქვემდგომი სასამართლოების ინტერპრეტაცია საჭიროებს შემდგომ შეფასებას), რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის შემდგომი განვითარებისათვის."³ აღნიშნული განმარტებიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საკასაციო საჩივრის ამ საფუძვლით დასაშვებად ცნობის შემთხვევაში, საკასაციო განხილვის მთავარი მიზანი არა მხარეთა შორის არსებული დავის საბოლოო გადაწყვეტაა, არამედ მათ შორის არსებული დავის განხილვით სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რაც თავისთავად იწვევს მხარეთა შორის დავის გადაწყვეტას, რომელიც ამ შემთხვევაში გვევლინება არა როგორც საკასაციო განხილვის მიზანი, არამედ როგორც მისი თანმდევი შედეგი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლი პირველი პუნქტის თანახმად საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. აღნიშნული ნორმა წარმოადგენს გადაწყვეტილების საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის პრინციპის რეალიზაციას კანონმდებლობაში, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრინციპია საპროცესო კანონმდებლობაში და გულისხმობს იმ შეზღუდვას, რომელიც უკრძალავს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კასატორის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების კასატორის საზიანოდ შეცვლას. საუარესოდ შებრუნების აკრძალვის პრინციპი წარმოადგენს საჩივრის შეტანის უფლების უზრუნველყოფის გარანტიას და მის მართებულობას საკმაოდ საფუძვლიანი არგუმენტები

³ მაია ვაჩაძე, ინგა თოდრია, პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბილისი 2005 წელი. GTZ, გვ. 207

უმადრებს ზურგს, თუმცა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრინციპულ პრობლემას ქმნის. კერძოდ, ჩნდება პასუხგაუცემელი კითხვა: თუ კონკრეტული საკასაციო საჩივრის განხილვის საფუძველი არის სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება, უნდა ჰქონდეს თუ არა საკასაციო სასამართლოს უფლება, აღნიშნული საფუძველით დასაშვებად ცნობილი საკასაციო საჩივრის განხილვის დროს იმსჯელოს იმ საკითხებზე, რომლებიც თუმცა კასატორის მხრიდან სადაო არ გამხდარა, მაგრამ მისი განხილვა მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, ანუ იმისთვის რისთვისაც იგი დასაშვებად იქნა ცნობილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრობლემა თავს იჩენს მაშინ, როდესაც საქმის სრულად განხილვა მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, თუმცა ამ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება საკასაციო საჩივრით ხდება არა სრულად, არამედ მის კონკრეტულ ნაწილში, რაც ზღუდავს სასამართლოს სრულად გამოიკვლიოს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმე.

როგორც ზევით აღვნიშნე საკასაციო ინსტანციის სასამართლოს როლი მოიცავს მის როგორც საჯარო, ისე კერძო ბუნებას და მათ შორის უპირატესობის მინიჭება, განსაკუთრებით საკანონმდებლო დონეზე, უცილოდ აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს. ზოგად საწყისებზე მათი თანაარსებობა პრობლემას არ ქმნის, თუმცა ზემოთ მოყვანილი მაგალითი აჩენს მათი ინტერესების კვეთას, როდესაც აუცილებელი გახდება რომელიმე მათგანისათვის კონკრეტულ შემთხვევაში უპირატესობის მინიჭება.

პირადი სუბიექტური აზრით, განსახილველ შემთხვევაში კასაციის საჯარო ინტერესის მნიშვნელობა უფრო მკაფიოდ იჩენს თავს ვიდრე მისი კერძო ბუნება. ამ დასკვნამდე მისვლისათვის უნდა გაანალიზდეს იმ სიკეთის მოცულობა, რომელსაც კასაციის ერთი ან მეორე ინტერესი გვთავაზობს. კასაციის საჯარო ინტერესის შემთხვევაში სასწორის ერთ მხარეზე გვაქვს კონკრეტული საქმის სრულყოფილი განხილვის შედეგად ცალკეულ საკითხთა სპექტრის სამართლებრივი განხილვა, სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება, ხოლო მეორე მხრივ კი მხოლოდ გადაწყვეტილი კერძო დავა. პირველ შემთხვევაში ხდება პრობლემის არსებითი აღმოფხვრა, რომელიც აწესრიგებს პრობლემის შემდგომი წარმოშობის შესაძლებლობას. თუ ვიტყვით, რომ სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის საკასაციო სასამართლოს

უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება სრულყოფილად განიხილოს გასაჩივრებული საქმე მიუხედავად საკასაციო საჩივრის საზღვრებისა, მაშინ უთუოდ დავდგებით რისკის ქვეშ შევექმნათ საკანონმდებლო დონეზე თეორიული შესაძლებლობა იმისა, რომ წინააღმდეგობაში მოვიდეთ გადაწყვეტილების საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის პრინციპთან. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ საკასაციო საჩივრით ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილების სრულყოფილად (მაგალითად ორივე მხარის მიერ) გასაჩივრების შემთხვევაში პრაქტიკულად დანიშნულებას მოკლებულია გადაწყვეტილების საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის პრინციპი, კიდევ უფრო მკაფიო ხდება განსახილველ პრობლემატიკაში საჯარო ინტერესისათვის უპირატესობა. უფრო მეტიც, აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირების შემთხვევაში, კასატორი მხარე ფაქტობრივად წინასწარვე იქნება ინფორმირებული იმ შესაძლო შედეგებზე, რაც შესაძლებელია მოჰყვეს მისი საკასაციო საჩივრის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე დასაშვებად ცნობას და თვითონვე ხდება პასუხისმგებელი ამ გზით მართლმსაჯულების დადგენის მიზნისკენ მიმავალ შედეგებზე. იმ შემთხვევაში თუ უარს ვიტყვით განსახილველ პრობლემატიკაში საჯარო ინტერესის უპირატესობაზე, იძულებულნი შევიქმნებით შევეგუოთ იმ მდგომარეობას, რომ კონკრეტულ შემთხვევებში აღმოვჩნდებით სასამართლოს მიერ ე.წ. "თვალის დახუჭვის" აუცილებლობას წინაშე იმ საკითხების განხილვისას, რომელთა განხილვაც ერთის მხრივ მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, ხოლო მეორეს მხრივ არ გამხდარა სადაო კასატორის მიერ. ეს კი ზომაზე დიდ ხვრელად წარმოჩნდება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, რადგანაც პროცესუალური ნორმის მოქმედების ხარჯზე ხდება მატერიალური მნიშვნელობის, კონკრეტულად კი სასამართლოსათვის მინიჭებული უმნიშვნელოვანესი ფუნქციის - მართლმსაჯულების განხორციელების შეზღუდვა, რაც სასამართლოში მოქმედ პრინციპებსა და მის ძირითად ფუნქციებს შორის უზენაესია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კი მიზანშეწონილად მიმაჩნია წარმოჩენილი პრობლემის აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა ან ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;“

2. 391-ე მუხლის მე-5 ნაწილს „ა“ პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა¹“ პუნქტი:

„ა¹) საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას, საჯარო ინტერესიდან გამომდინარე აქვს არსებითი მნიშვნელობა;“

3. 391-ე მუხლს მე-5 ნაწილის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ ნაწილი:

„5¹. ამ მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასაშვებად ცნობილი საკასაციო საჩივრის განხილვისას წარმოშობილი აუცილებლობის შემთხვევებში, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გასაჩივრებული საქმის განხილვისას გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს და საქმე განიხილოს სრულყოფილად.“

4. 404-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.“

გარდა ზემოაღნიშნულისა, წინამდებარე ნაშრომში მსურს ყურადღება გავამახვილო საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ პრობლემურ საკითხზე. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე საქართველოს უზენაესი სასამართლო 2014 წლის პირველ ნახევარში შესულ საკასაციო საჩივრების 67%-ს დაუშვებლად ცნობის მოტივით უარს ეუბნება საკასაციო განხილვაზე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ კასატორთა მნიშვნელოვან უმრავლესობას, რომელთა უკან უამრავი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემები დგას და რომლებიც უზენაეს სასამართლოს, მართლმსაჯულების უზენაეს ინსტანციას სიმართლის დადგენის პროცესში „ბოლო იმედის თვალით“ შესცქერიან, სასამართლო ეუბნება უარს მართლმსაჯულების განხორციელებაზე. აღნიშნული უცილოდ გამაგრებული უნდა იყოს საპირწონე საფუძვლით, რომლის მიხედვითაც ცალსახად გამოიკვეთება მართლმსაჯულების განხორციელების პირობებშიც კი, ქვედა ინსტანციებში დამდგარი სამართლებრივი შედეგის შეუცვლელობა და რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კასაცია აზრს და დანიშნულებას მოკლებულია. აღნიშნულის გარეშე კი კასატორთა 67% ყოველთვის იქნება გაჯერებული განცდით, რომ არათუ სიმართლის დადგენას, არამედ მის დასადგენად აუცილებელ

პროცესსაც კი ვერ მიაღწიეს და შედეგად უსამართლოდ დაიჩაგრნენ. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად კი აუცილებელია დაუშვებლად ცნობის განჩინებების სათანადო იმგვარი დასაბუთება, რომ კასატორ მხარეს არ დარჩეს პასუხაუცემელი კითხვები.

პრაქტიკოს იურისტებს ხშირი შეხება ექნება საკასაციო სასამართლოს მიერ დაუშვებლად ცნობილ საკასაციო საჩივრების განჩინებებზე, რომლებიც ერთმანეთისაგან ძირითად შემთხვევებში განსხვავდება მხოლოდ კასატორისა და მოწინააღმდეგე მხარის დასახელებებითა და დავის საგნით, ხოლო შინაარსობრივი დასაბუთება არის ძირითად შემთხვევებში შაბლონურად იდენტური და დაახლოებით შემდეგი რედაქციის:

„სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.“

„საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.“

„ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.“

პირველადი გააზრებით, თითქოს საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით სასამართლოს პოზიცია გადმოცემულია ერთმნიშვნელოვნად და პრაგმატულად. ფაქტია, რომ ზემოაღნიშნული ციტატები არ მოიცავენ თავისთავში არსებით მსჯელობას, თუ რა გარემოებებმა მიიყვანა საკასაციო სასამართლო აღნიშნულ დასკვნამდე. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს დაუშვებლად ცნობილ საკასაციო საჩივრების განჩინებების აბსოლუტური უმრავლესობა შეიცავს მსჯელობას, რომლის მიხედვითაც გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. ასეთ შემთხვევაში მხარე მოკლებულია შესაძლებლობას გაიგოს თუ კონკრეტულად რომელი გადაწყვეტილებით იქნა დადგენილი პრაქტიკა ანალოგიურ საქმეზე, გაეცნოს პრაქტიკის დამდგენ

გადაწყვეტილებას და შეაფასოს რამდენად არის საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილება და პრაქტიკის დამდგენი გადაწყვეტილება ანალოგიური მისი შემთხვევისა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, იქიდან გამომდინარე რომ იგი საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაა და მისი შეცვლის შესაძლებლობას, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, უნდა გამოირჩეოდეს ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილებებისაგან მეტი დასაბუთებულობითა და მაღალი ხარისხის არგუმენტაციით, რა კრიტერიუმებსაც რა თქმა უნდა ვერ დააკმაყოფილებს ზემოთ მოყვანილი შაბლონური არგუმენტაცია. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ არასათანადოდ დასაბუთებული განჩინება კი საწინდარია კასატორის მხრიდან, რომელიც ძირითად შემთხვევებში ისედაც სუბიექტურადაა გამსჭვალული სადავო საქმის მიმართ, განჩინების კიდევ უფრო ნეგატიურად აღსაქმელად, მაშინ როდესაც საკვებით შესაძლებელია სასამართლო, მიუხედავად განჩინების არასათანადოდ დასაბუთებისა, სრულად მართებულად მიიჩნევდეს საკასაციო საჩივარს დაუშვებლად.

ამ ფონზე მიზანშეწონილი და აუცილებელიც კი არის, რომ თუ უზენაესი სასამართლო საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის განჩინებაში ავითარებს მსჯელობას განსახილველ საქმეზე ქვედა ინსტანციების მიერ მიღებული გადაწყვეტილების უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან შესაბამისობის შესახებ, მაშინ მეტი სიცხადის შესატანად გადაწყვეტილებაშივე მოხდეს მითითება თუ კონკრეტულად რომელ გადაწყვეტილებას მიიჩნევს სადავო საქმეზე პრაქტიკის დამდგენად. გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე არგუმენტირებულად უნდა მოხდეს დასაბუთება თუ რა პარალელებს ავლებს საკასაციო ინსტანციის სასამართლო განსახილველ საქმესა და პრაქტიკის დამდგენ გადაწყვეტილებას შორის, რასაც საბოლოო ჯამში მიჰყავს სასამართლო საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნულის გარეშე დაუშვებლად ცნობის განჩინების დასაბუთება დადგენილ პრაქტიკასთან გასაჩივრებული საქმის შესაბამისობის საფუძვლით აზრს კარგავს. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებით პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებისაგან, სადაც დასაბუთებულობა აუცილებელი კომპონენტია მისი ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებისათვის, ხოლო საკასაციო ინსტანციის სასამართლოს შემთხვევაში დასაბუთებულობის როლი ამ მნიშვნელობას მოკლებულია, ეს გარემოება არ

შეიძლება აკნინებდეს ზოგადად დასაბუთებულობის მნიშვნელობას სასამართლოს ნებისმიერი სახის გადაწყვეტილებაში, მათ შორის დაუშვებლად ცნობის განჩინებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საკითხზე მუშაობისას მიღებულმა როგორც სტატისტიკურმა ინფორმაციამ, ასევე საკასაციო სასამართლოს შესაბამისი განჩინებების შესწავლამ და განზოგადებამ გამოავლინა ცალკეული ნაკლოვანებები, რომელთა ზემოთ მოყვანილი შინაარსის საკანონმდებლო ცვლილებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება, ვფიქრობ საფუძვლიანად აღმოფხვრის წარმოჩენილ პრობლემებს და განხილული თემის ობიექტს მეტ ხარისხს შესძენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ძველი აღთქმა – "გამოსვლა" თავი მე-18 <http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia/gamosvla/gamosvla-18.htm>
2. ცნო რაიჰენბეჰერი, შალვა პაპუაშვილი - სამართლის განვითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი "მართლმსაჯულება და კანონი", #4(6), 2005 გვ.72.
3. ვაჩაძე, მ., თოდრია, ი., ტურავა, პ., წკეპლაძე, ნ. (2005). *საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი*. გვ. 207 – თბილისი: GTZ

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები სამოქალაქო საპროცესო სამართალში

ლევან გორელაშვილი

მაგისტრი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავდა მოკლედ და ზოგადად მიმოეხილა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები, ასევე წარმოეჩინა ის პრობლემები, რაც პრაქტიკაში ვლინდება, კერძოდ, ერთ შემთხვევაში პრობლემა, რომელიც გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმის არასრულყოფილი რედაქციის გამო, ხოლო მეორე შემთხვევაში კი - განსახილველი საქმის დადგენილ პრაქტიკასთან შესაბამისობის საფუძვლით დაუშვებლად ცნობილი საკასაციო საჩივრების ძირითად შემთხვევებში არასათანადო, შაბლონური დასაბუთების მანკიერი პრაქტიკის გამო.

სტატიაში მოყვანილი კვლევისათვის გამოთხოვილ იქნა შესაბამისი საჯარო ინფორმაციები საქართველოს უზენაესი სასამართლოდან და განზოგადებულ იქნა 50-მდე მიზნობრივი განჩინება საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით.

კვლევის პროცესში წარმოჩინდა პრობლემატიკა, რომელიც გარკვეულწილად აუცილებელს ხდის ცალკეულ შემთხვევებში საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს კასაციის საჯარო ინტერესის უპირატეობა მის კერძო ინტერესთან მიმართებაში, რომლის აღმოფხვრისათვის სტატიაში მოცემულია კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილების ძირითადი ასპექტები.

გარდა აღნიშნულისა კვლევის პროცესში გამოიკვეთა დაუშვებლად ცნობილი საკასაციო საჩივრების არასათანადო დასაბუთების შემთხვევები და მის აღმოსაფხვრელად უცხოური პრაქტიკის გაანალიზებით შექმნილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად სტატიაში მაქსიმალურად ლაკონურად იქნა განვითარებული მსჯელობა საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებულ, როგორც მისი წარმოშობის საფუძვლებზე და მის რეალურ მდგომარეობაზე, ასევე არსებულ ხარვეზებზე და მისი აღმოფხვრის გზებზე.

Prerequisites for Admissibility of Cassation Appeals in Civil Procedural Law

Levan Gorelashvili

Magistrate

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The above-mentioned thesis aims to briefly and generally review the prerequisites for Admissibility of Cassation Appeals, also to detect problems evicted in practice. In particular, from one side – the problem, which is derived from the imperfect wording of the appropriate norm of the civil legislation, and from the other side – inappropriate reasoning practice in most complaints recognized inadmissible on the basis of compliance with established practice.

For the research used in the article, public information was requested from the Supreme Court, and almost 50 reasoning ruling on Cassation Appeals recognized inadmissible was generalized. The problems revealed during the research process, makes it necessary to define the advantage of the public interest of cassation with regard to the private interest on legislative level. For the elimination of this problem the main aspects of legislative amendments as a solution is given in the article.

In addition, the research also revealed the fact concerning the inappropriate reasoning of the Cassation Appeals recognized inadmissible and with the aim of eliminating this problem, relevant recommendations were elaborated by analyzing foreign practice.

As a result of all above mentioned, the article will try to develop laconically discussion concerning the admissibility of the Cassation Appeal, starting from the basis of its origin and its actual conditions, as well as the existing gaps and the ways of its elimination.

ემოციური ინტელექტის როლი ეფექტური ლიდერობისთვის



ნინო დგვევაძე
დოქტორანტი

1. კვლევის საგანი, სამეცნიერო სიახლე და აქტუალურობა

სამეცნიერო კვლევები ემოციური ინტელექტის ე.წ. EI-ს შესახებ სულ ორი ათწლეულის დამსახურებას წარმოადგენს. ბოლო პერიოდში სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ადამიანის შეფასება ემოციური ინტელექტის დონის მიხედვით. ხოლო, განსაკუთრებით აქტუალური ემოციური ინტელექტისა და ლიდერობის უნარ-ჩვევების კავშირის კვლევა გახდა. შესაძლებელია ითქვას, რომ ემოციური ინტელექტის ცნების განვითარებამ და მკვლევარების მიერ განხორციელებულმა კვლევის შედეგებმა მთლიანად შეცვალეს ეფექტური ლიდერის ტრადიციული განმარტება.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის ბოლოს EI-ს ერთ-ერთმა მკვლევარმა განაცხადა “თუ ინტელექტის მამოძრავებელი ძალა მეოცე საუკუნის ბიზნესებში იყო IQ, მაშინ ოცდამეერთე საუკუნეში ის იქნება EI” (1). მართლაც, მკვლევარები ემოციური ინტელექტის გაზომვის მრავალი სახის ტესტს გვთავაზობენ, რომელთაც აქტიურად იყენებენ საერთაშორისო თუ უცხოური კომპანიები თანამშრომელთა ეფექტურობის და მათში ლიდერობის პოტენციალის გამოსავლენად.

მიუხედავად უცხოეთში ემოციური ინტელექტის ფართო საზოგადოებაში პოპულარულობისა, რაც მნიშვნელოვნად დანიელ გოლემანის წიგნის “ემოციური ინტელექტის” (2) დამსახურებაა, საქართველოში ემოციური ინტელექტის ცნება, როგორც ბიზნესებისთვის ისე სამეცნიერო წრეებისთვის ჯერ კიდევ ახალია, შესაბამისად, არც ემოციური ინტელექტისა და ლიდერობის ურთიერთკავშირის კვლევა განხორციელებულა. ბიზნეს სფეროში ცნების პოპულარიზაცია აქ ტრენინგ კომპანიებმა მოახდინეს, რომლებიც ამ

მიმართულებით ტრენინგ კურსს სთავაზობენ. თუმცა, EI-ს ტესტირება კომპანიების მხრიდან ლიდერობის პოტენციალის გამოსავლენად ჯერ არ დანერგილა და არც ლიდერობის განვითარების პროგრამების პრაქტიკა არსებობს.

2. ახალი პარადიგმის ჩამოყალიბების წინაპირობა

თავდაპირველად, ინტელექტის თეორიის ჩამოყალიბებისას, დებატები ეხებოდა არა მარტო ინტელექტის ბუნებას, არამედ იმას, თუ რამდენი ინტელექტი არსებობს. ინტელექტი შესაძლებელია დავყოთ სხვადასხვანაირად იმის მიხედვით კრისტალიზირებულ (მეხსიერებაზე დამყარებულ) ან თხევად (პროცესებზე-დამყარებულ) უნარებს ეხება თუ ალტერნატიულად, იმის მიხედვით თუ რა ტიპის ინფორმაციაზეა ფოკუსირებული. მეცნიერების გარკვეული ჯგუფის მიერ ინტელექტი დაყოფილია ვერბალურ/შეთავაზებით და აღქმით/ორგანიზაციულ ნაწილებად (3). ათწლეულების განმავლობაში მეცნიერები ეძებდნენ მესამე ინტელექტს, დარწმუნებული იყვნენ რა, რომ ეს ორი ინტელექტი არასაკმარისი იყო, რათა გადმოეცა მენტალური უნარის ინდივიდუალური განსხვავებები (4). 1920 წელს ე. თორნდაიკმა წამოაყენა სოციალური ინტელექტის ცნება, რომელიც მოიცავდა “შესაძლებლობებს, რომ მმართო ქალი და კაცი, ბიჭები და გოგონები - რომ იმოქმედო გონიერად ადამიანებთან ურთიერთობისას” (5). აღნიშნული კვლევებიდან არცერთი პირდაპირ არ იყო დაკავშირებული EI-სთან, თუმცა თორნდაიკის სოციალური ინტელექტის ცნება ინტრაპერსონალური ინტელექტის წინაპირობად შეგვიძლია მივიჩნიოთ. 80-იანი წლებიდან მრავალი ინტელექტის არსებობის იდეის მიმდებლობა გაიზარდა და ამავე პერიოდში ემოციების კვლევა აქტიურ ფაზაში გადავიდა. ემოციების განმარტებას საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ ფილოსოფოსები, ხოლო ფსიქოლოგები - ამ განმარტებების დახვეწა-განვითარებას. ემოციების სისტემის აღქმა, როგორც განვითარებადი მინიშნებების სისტემისა ძირითადად დარვინთან (1872-1998) და ეკმანთან (1973) არის დაკავშირებული. ეკმანის (6) თანახმად გარკვეული განსხვავებები არსებობს ემოციების წაკითხვის მხრივ კულტურებს შორის, თუმცა მყარი რწმუნებულება არსებობს იმისა, რომ ემოციების დიდი ნაწილი უნივერსალურია. შესაბამისად, ემოციების ფუნქციონალური როლი, როგორც კომუნიკაციის სიგნალისა ფართოდ არის აღიარებული. 1983 წელს ჰოვარდ გარდნერმა მრავალი ინტელექტის თეორია წარმოადგინა და თავდაპირველად ექვსი, ხოლო შემდგომში ცხრა ინტელექტის არსებობა შემოგვთავაზა: ვერბალურ-ლინგვისტური,

ლოგიკურ-მათემატიკური, ვიზუალური, სხეულებრივ-კინესთეტიკური, მუსიკალური, ნატურალისტური, ეგზისტენციალური, ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური ინტელექტები (7). მის მიერ წარმოდგენილი ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური ინტელექტები გარკვეულწილად ემოციურ ინტელექტის ცნებას უკავშირდება და ნიადაგს ამზადებს ახალი პარადიგმის დაბადებისთვის.

3. ემოციური ინტელექტის განსხვავებული მოდელები

პიტერ სალოვეიმ და ჯონ მეიერმა 1990 წელს პირველად განსაზღვრეს ემოციური ინტელექტი (EI), როგორც “შესაძლებლობა, რომ გააკონტროლო შენი და სხვისი გრძნობები და ემოციები, მოახდინო მათი ამოცნობა და გამოიყენო ეს ინფორმაცია შენი აზროვნებისა და ქმედების სამართავად”(8). მას შემდეგ EI-ს ცნების კვლევაში ჩაერთვნენ ემოციის მკვლევარები, დიფერენცირებული და კლინიკური ფსიქოლოგები, ორგანიზაციული ქცევის, განათლების და, რაღათქაუნდა, მენეჯმენტის და მართვის მკვლევარები. მკვლევარების ნაწილი (9) ახდენს EI მოდელების კატეგორიზაციას უნარების და შერეული მოდელების ბანაკებად. ე.წ. უნარების მოდელი, რომელიც ფოკუსირებულია ექსკლუზიურად კოგნიტიურ შესაძლებლობაზე (8), მიიჩნევს EI-ს, როგორც ინტელექტის ფორმას, რომელსაც აქვს უნარი დაამუშაოს ემოციური ინფორმაცია. ხოლო, მოდელები, რომლებიც EI-ში აერთიანებენ მრავალგვარ უნარს, ქცევას, და პიროვნულ თვისებას კლასიფიცირებულია, როგორც შერეული მოდელები. შერეული მოდელების ბანაკის წარმომადგენელი ზოგიერთი მკვლევარი EI-ს განმარტავს, როგორც “არაკოგნიტიური შესაძლებლობების, კომპეტენციების და უნარ-ჩვევების ნაკრებს, რომელიც ზემოქმედებს ადამიანის უნარზე წარმატებით გაუმკლავდეს გარემოს მოთხოვნებს და ზეწოლებს” (10).

ყველაზე ფართოდ აღიარებული EI მოდელებია მეიერის და სალოვეის (11) ოთხ-მიმართულებიანი უნარების მოდელი, დანიელ გოლემანის კომპეტენციების მოდელი (12) და ბარ-ონის არა-კოგნიტიური EI მოდელი (13).

ჯ. მეიერის და პ. სალოვეის უნარების EI მოდელი (11) განსაზღვრავს ინტელექტს მისი ტრადიციული გაგებით, რაც გულისხმობს ემოციების და ემოციური ინფორმაციის დამუშავების მენტალური უნარების ნაკრებს, რომელიც ნაწილია ან წვლილი შეაქვს ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში და ზოგადად ინტელექტში. მათი მოდელის

თანახმად უნარები იერარქიულად არიან განლაგებულნი, ბაზისური ფსიქოლოგიური პროცესებიდან უფრო რთული და კომპლექსური და ინტეგრირებული პროცესებისკენ. მაიერის და სალოვეის ოთხ-მიმართულებიანი მოდელი შემდეგ უნარებს მოიცავს:

1. საკუთარი და სხვისი ემოციის ზუსტად და შესატყვისად აღქმის უნარი;
2. აზროვნებისას ემოციების გამოყენების უნარი;
3. ემოციების, ემოციების ენის და იმ სიგნალების გაგების უნარი, რომელიც ემოციისგან მომდინარეობს;
4. საკუთარი ემოციების კონკრეტული მიზნების მისაღწევად მართვის უნარი.

ჯ. მეიერი და პ. სალოვეი ავითარებენ მოსაზრებას, რომ EI-ს უნარები ასაკთან და გამოცდილებასთან ერთად ვითარდებიან (4). ფართო პოპულარობით სარგებლობს უნარებზე დაფუძნებული ე.წ. მეიერი-სალოვეი-კარუზოს ემოციური ინტელექტის ტესტი, რომელიც შემდეგი აბრივიატურით არის ცნობილი MSCEIT. აღნიშნული ტესტი აფასებს პიროვნების უნარებს მეიერის და სალოვეის EI მოდელის ოთხივე მიმართულებით (33).

დანიელ გოლემანის კომპეტენციებზე დაფუძნებული EI მოდელი (12) სპეციალურად სამუშაო გარემოში გამოსაყენებლად შეიქმნა და იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ლიდერის უნარებთან. მისი მოდელი 20-მდე კომპეტენციას ზოგად უნარებში აერთიანებს. დ. გოლემანის EI-ს პირველი მოდელი მოიცავდა თვითშემეცნებას, თვითრეგულაციას, მოტივაციას, ემპათიას და სოციალურ უნარებს (12). ხოლო, ბოლო ნაშრომებში მან გაამარტივა აღნიშნული მოდელი და მისი განახლებული ვერსია წარმოგვიდგინა.

მან EI კომპეტენციები 4 კატეგორიად დაყო, რომელიც ასოცირებულია 2 ძირითად მიმართულებასთან (14 A):

1. პირადი კომპეტენცია:
 - ა) თვითშემეცნება არის მხარდაჭერილი იმ უნარით, რომელიც აუცილებელია, რომ შეძლო საკუთარი ემოციების ამოცნობა. ის მოიცავს თვითშეფასებას, რომელიც დაკავშირებულია საკუთარი სიძლიერეების და სისუსტეების აღიარებასთან, საკუთარი მოტივების და ღირებულებების შემეცნებასთან.
 - ბ) საკმარისი არ არის ემოციების შეცნობა, აუცილებელია მათი მართვაც. საკუთარი

თავის მართვა გამომდინარეობს ისეთი კომპეტენციებიდან, როგორცაა თვით-კონტროლი, სანდობა, გაცნობიერებულობა, ადაპტირებადობა, მიღწევაზე ორიენტირებულობა, ინიციატივის გამოჩენა და ოპტიმიზმი.

2. სოციალური კომპეტენციები:

ა) სოციალური ცნობიერება დაკავშირებული ემპათიასთან, ორგანიზაციულ ცნობიერებასთან და სერვის ორიენტირებულობასთან.

ბ) ურთიერთობათა მართვა მოითხოვს განვითარებულ შთამაგონებელი ლიდერის უნარებს, რომ შეძლონ მოტივირება, გავლენა მოახდინონ დარწმუნების გზით, განავითარონ სხვები უკუკავშირის და გაძლიერების გზით, განახორციელონ ცვლილებები, კონფლიქტების მართვა, კავშირების შექმნა, რომელიც ავითარებს და ინარჩუნებს ურთიერთობებს, გუნდურ მუშაობას და კოლაბორაციას, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას და გუნდურობას.

ბარ-ონის (1997) მიერ წარმოდგენილი არა-კოგნიტიური ემოციური ინტელექტის მოდელი (13) უფრო ფართოდ არის აღქმული და მოიცავს 15 კონცეპტუალურ კომპონენტს, რომელიც ემოციური და სოციალური ინტელექტის 5 კონკრეტულ განზომილებას განეკუთვნება. მის მიერ განსაზღვრული განზომილებებია: ინტრაპერსონალური ემოციური ინტელექტი, ინტერპერსონალური ემოციური ინტელექტი, ადაპტირების, სტრესის მართვის და ზოგადი განწყობის ემოციური ინტელექტები.

ემოციური ინტელექტი განსხვავებულია ადამიანის ინტელექტისგან. არ არსებობს რაიმე ცნობილი კავშირი IQ-სა და EI-ს შორის. ადამიანი ვერ მოახდენს EI-ს განსაზღვრას იმის მიხედვით თუ რამდენად ჭკვიანია ესა თუ ის ადამიანი. კოგნიტიური ინტელექტი ანუ IQ არ არის მოქნილი. ის დაბადებიდან მოგყვებათ. ინტელექტი არის ადამიანის სწავლების უნარი და არ არის დაკავშირებული ასაკთან. IQ იგივე რჩება 15 წლის და 70 წლის ასაკშიც. ხოლო, EI კი მოქნილი უნარია, რომელიც შეიძლება შეისწავლოს ადამიანმა (15). ტრევის ბრედბერის და ჯინ გრივის თანახმად, რალათქმაუნდა, ზოგიერთი ადამიანი იბადება უფრო მაღალი EI-თი ვიდრე სხვა, მაგრამ მიუხედავად ამისა პიროვნებას ყოველთვის შეუძლია იმუშაოს საკუთარი EI-ს განვითარებაზე.

4. ემოციური ინტელექტისა და ეფექტური ლიდერობის კავშირი

ლიდერობა ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ განხილული კონცეფციაა. მიუხედავად მისი პოპულარულობისა და მისდამი დიდი ინტერესისა, ის კვლავ რჩება ღია კონცეფციად, რომელიც სხვადასხვაგვარად განისაზღვრება სხვადასხვა მკვლევარების მიერ, მათი გამოცდილების და შეხედულებების შესაბამისად. ცვალებად ბიზნეს გარემოში მუდმივად ტრანსფორმირებადი ახალი გამოწვევები, რომელთაც კომპანიის მენეჯმენტი უპირისპირდება მოითხოვს ლიდერის კონცეფციის მუდმივ განახლებას და განვითარებას. ლიდერის ფაქტორი კრიტიკულად მნიშვნელოვანია კომპანიის განვითარებისთვის და კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. მენეჯერი უნდა გახდეს ლიდერი, უნდა შესძლოს გავლენა მოახდინოს თანამშრომლებზე და მობილიზება გაუკეთოს მათ უნარებს კომპანიის მიზნების სასიკეთოდ და კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. თუ რა ტიპის ლიდერი არის ეფექტური თანამედროვე ცვალებად ბიზნეს გარემოში ფართოდ საკვლევი საკითხი გახდა ემოციური ინტელექტის მკვლევარების მიერ.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ათასობით კვლევა განხორციელდა იმის დასადგენად თუ რა სტილის, რა მახასიათებლების, რა ხასიათის უნდა იყოს ლიდერი და არის თუ არა კავშირი ემოციურ ინტელექტსა და ლიდერის ეფექტურობას შორის.

წლების განმავლობაში მენეჯერები ემოციებს აღიქვამდნენ, როგორც ხმაურს ორგანიზაციაში, რომელსაც აურზაური შემოაქვს კომპანიის რაციონალურ ფუნქციონირებაში. თუმცა, ემოციური ინტელექტის მკვლევარების ნაშრომებმა დაადასტურა, რომ დრო, როდესაც ბიზნესი ემოციებს არაადექვატურად აღიქვამდა წარსულს ჩაბარდა. ტ. ბრედბერის და ჯ. გრივის თანახმად EI არის სამუშაო ეფექტურობის ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი და ლიდერობის და პირადი სრულყოფილების ყველაზე ძლიერი მამოძრავებელი (15). EI-ს მკვლევარები ასკვნიან, რომ “ემოციური ინტელექტის მქონე ლიდერები მეტ წარმატებას აღწევენ” (16), ისინი ემოციებს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გასაუმჯობესებლად იყენებენ და ინტერპერსონალური ურთიერთობებით თანამშრომლებში ენთუზიაზმს, ნდობას და თანამშრომლობას ნერგავენ (17), EI უმაღლესი რანგის ლიდერების მნიშვნელოვანი ძირითადი ატრიბუტია (18), ყველა ეფექტურ ლიდერს ერთი საერთო მახასიათებელი აქვს. მათ ყველას აქვთ EI-ს მაღალი დონე (12). ლიდერობის

შედეგი (თანამშრომლების მხრიდან დამატებითი ძალისხმევა, ეფექტურობა და კმაყოფილება) მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ემოციური ინტელექტის კომპონენტებთან ისევე, როგორც მთლიან ემოციურ ინტელექტთან. ემოციური მენეჯმენტი ხაზს უსვამს ლიდერის უნარს, რომ იყოს ინსპირაციულად მოტივირებადი და ინტელექტუალურად მასტიმულირებელი (26).

დ. გოლმანმა, რ. ბოიათიმ და ა. მაქკაიმ შემოგვთავაზეს რეზონანსული ლიდერის ცნება. მკვლევარების თანახმად EI-ს ოთხივე მიმართულება - თვითშემეცნება, საკუთარი თავის მართვა, სოციალური ცნობიერება და ურთიერთობების მართვა რეზონანსული ლიდერისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. მათი მოსაზრებით, ასეთი ტიპის ლიდერი შეწყობილია შიდა სიგნალებთან. EI-ს ოთხივე კომპეტენციას შორის დინამიურ ურთიერთობას პრაქტიკული და არა მარტო თეორიული დატვირთვა აქვს. ავტორების თანახმად ისინი სწორედ ეფექტური რეზონანსული ლიდერობის შემადგენელი ნაწილები არიან (14 b). ლიდერმა უნდა განახორციელოს კომპანიის ხედვა თანამშრომელთა მოტივაციით, გაძლიერებით, შთაგონებით, მოსმენით, დარწმუნებით და, რაღათქმაუნდა, რეზონანსის შექმნით. მკვლევარების თანახმად რეზონანსური ლიდერის ხელოვნება აკავშირებს ინტელექტს და ემოციებს (14 c).

დ. გოლმანმა 200-მდე მსხვილ გლობალურ კომპანიაში განახორციელა კვლევები (მათ შორის არის British Airways, Grand Suisse და ა.შ.), რის საფუძველზეც იგი აცხადებს, რომ IQ და ტექნიკური უნარები ლიდერების ეფექტურობასთან არ არის დაკავშირებული. მკვლევარის თანახმად ეს უნარები პირველადი ბარიერების გადალახვისთვის და აღმასრულებელ პოზიციებზე დანიშვნის პირველ ეტაპზე სჭირდებათ, ხოლო “EI არის ლიდერობის sine qua non (აუცილებელი პირობა)”. ის აცხადებს “მის [EI-ს] გარეშე პიროვნებას შეიძლება გავლილი ქონდეს საუკეთესო ტრენინგ პროგრამები, შეიძლება ქონდეს გამჭრიახი, ანალიტიკური გონება, ჭკვიანური იდეების უსაზღვრო მარაგი, მაგრამ ვერ გახდეს ლიდერი” (12). ფუნდამენტალური უნარების გარეშე ლიდერობა შეუძლებელია, თუმცა მარტო ინტელექტი ვერ ქმნის ლიდერს. კვლევის შედეგების ანალიზისას, როდესაც მოხდა ტექნიკური უნარების, IQ-ს და EI-ს თანაფარდობის შესწავლა, როგორც ბრწყინვალე შესრულების შემადგენელი კომპონენტებისა, დადგინდა, რომ ემოციური ინტელექტი 2-ჯერ უფრო მნიშვნელოვანია ტექნიკურ უნარებსა და IQ-ზე ნებისმიერი დონის სამუშაოსათვის. ხოლო, უმაღლესი რანგის მენეჯმენტში EI-ს მნიშვნელობის როლი იზრდება. დ. გოლმანის თანახმად, ლიდერულ პოზიციებზე ეფექტურობის 90 %-ს განსაზღვრავენ სწორედ ემოციური ინტელექტის

ფაქტორები და არა კოგნიტიური შესაძლებლობები (12).

ტ. ბრედბერის და ჯ. გრივსის თანახმად ემოციური ინტელექტის აღმოჩენამ დააკავშირა ერთი თავისებური მოვლენა. კვლევების მიხედვით ადამიანები უმაღლესი დონის IQ-თი უსწრებდნენ საშუალო დონის IQ-ს მქონე ადამიანებს 20 % შემთხვევებში, მაშინ, როცა საშუალო IQ-ს მქონე ადამიანები უსწრებდნენ მაღალი IQ-ს მქონე ადამიანებს შემთხვევების 70 %-ში. ამ ე.წ. ანომალიას ნათელი მოჰფინა მრავალწლიანმა კვლევებმა და EI-ს, როგორც წარმატების წყაროს აღმოჩენამ. ავტორების მიერ განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ეფექტური თანამშრომლების 90 %-ს ჰქონდათ მაღალი EI-ს მაჩვენებელიც. ტ. ბრედბერი და ჯ. გრივსი იმასაც კი აცხადებენ, რომ კავშირი EI-სა და შემოსავალს შორის იმდენად პირდაპირია, რომ EI-ს თითოეული პუნქტის გაზრდა იწვევს პიროვნების წლიური შემოსავლის 1300\$-ით ზრდას (15).

რ. ბოიათზის მიერ განხორციელებული კვლევის თანახმად, რომელიც ლიდერების 360 გრადუსიანი შეფასების სისტემით განხორციელდა დადგინდა, რომ ორივე კოგნიტიური და ემოციური კომპეტენციები განსაზღვრავდნენ ლიდერის ფინანსურ შედეგიანობას. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შედეგების განმსაზღვრელი კომპეტენციების 93 % იყო სწორედ ემოციური ინტელექტის კლასტერებიდან (19). არაერთი მკვლევარის მიერ განხორციელებული კვლევები ადასტურებს, რომ არსებობს წინასწარი მტკიცებულება იმისა, რომ EI და ეფექტური ლიდერობა დაკავშირებულია (20).

ლიდერობის ტრანსფორმაციისას ლიდერობის ცნების სხვადასხვა განმარტება წარმოიშვა, მაგრამ ლიდერისა და EI-ს კორელაციის განხილვისას არ შეიძლება არ შევეხოთ ტრანსფორმაციული და ტრანზაქციული ლიდერების ცნებას. ტრანსფორმაციული ლიდერის ცნება განსაკუთრებული ინტერესის საგანი გახდა EI-ს მკვლევარებისთვის, რადგან ტრანსფორმაციული ლიდერი ისტორიულად პერსონიფიცირებულია, როგორც იმ მახასიათებლების მატარებელი, რაც EI-ს სხვადასხვა მოდელებშია ასახული (21).

1978 წელს ბერნსმა (22) წამოაყენა ტრანსფორმაციული ლიდერის ცნება, რომელიც მისი მიმდევრების საჭიროებებს და მოტივაციას ავლენს, მნიშვნელოვან ცვლილებებს ახდენს ინდივიდებში, ჯგუფებში და ორგანიზაციებში, ასევე, ტრანზაქციული ლიდერის ცნება, რომელიც დაქვემდებარებულების მიმდინარე ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებას

ახორციელებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ, გაცვლით ურთიერთობებზე ფოკუსირებით. 1985 წელს კი ეს პარადიგმა კიდევ უფრო განავითარა ბასმა (23). მის თანახმად ტრანსფორმაციული ლიდერობა გულისხმობს ისეთ მიდგომას, რომელიც იწვევს ინდივიდების და სოციალური სისტემების ცვლილებას. ასეთი ტიპის ლიდერის მიმდევრები გრძნობენ ნდობას, აღფრთოვანებას, ერთგულებას და პატივისცემას. ტრანსფორმაციული ლიდერის თვისებების გამო მიმდევრები მზად არიან უფრო მეტი იმუშაონ ვიდრე ჩვეულებრივ იმუშაებდნენ (24). ტრანსფორმაციულ ლიდერსა და EI-ს კავშირი არაერთმა მკვლევარმა შეისწავლა. იამამარინოს და სხვათა განმარტებით ლიდერები, რომლებიც ტრანსფორმაციულ ქცევებს იყენებენ მოტივაციას უქმნიან თავის თანამშრომლებს, რომ მათ კიდევ უფრო მეტი გააკეთონ ვიდრე მათგან მოელოდნენ (25). ემპირიული კვლევების შედეგად, რომელიც ლ. გარდნერის და კ. სტოუგის (26) მიერ განხორციელდა მაღალი რანგის მენეჯერებში, ტრანზაქციულ ლიდერის ტიპსა და ემოციურ ინტელექტს შორის ნაკლები კავშირი, ხოლო ტრანსფორმაციულ ლიდერის სტილსა და ემოციურ ინტელექტს შორის ძლიერი კავშირი დადასტურდა. იგივე შედეგები დაფიქსირდა სხვა მკვლევარების მიერ განხორციელებულ კვლევებში, რაც ადასტურებს ტრანსფორმაციული ლიდერობის სტილის ეფექტურობას და მის მჭიდრო კავშირს ემოციურ ინტელექტთან (27 A, B).

ლიდერის განსხვავებულ პერსპექტივას გვთავაზობენ EI-ს და ლიდერობის მკვლევარების ნაწილი (28). “ადამიანები გენდობიან, როცა შენ ხარ ნამდვილი და ავთენტური და არა ვილაცის რეპლიკა”- აცხადებენ სტატის ავტორები. მკვლევარებმა საკმაოდ მასშტაბური ხარისხობრივი კვლევა განახორციელეს 2007 წელს, ჩაატარეს რა 125 გამორჩეულად ეფექტურ და აღიარებულ ლიდერთან ჩაღრმავებული ინტერვიუები იმის დასადგენად, თუ როგორ განვიითარეს მათ ლიდერული თვისებები. მათი კვლევის საგანი იყო “როგორ უნდა გახდე და შეინარჩუნო ავთენტური ლიდერის თვისებები”. მათ მიერ განხორციელებული კვლევა ადასტურებს, რომ ლიდერის თვისებებით და მახასიათებლებით დაბადება არ არის საჭირო. ადამიანში ავთენტური ლიდერის უნარების აღმოჩენა მოითხოვს საკუთარ თავზე მუშაობას. მათი მოსაზრებით “მუსიკოსების და ათლეტების მსგავსად, შენ უნდა მიუძღვნა მთელი ცხოვრება საკუთარი პოტენციალის რეალიზებას”. რეზონანსული ლიდერისთვის საჭირო კომპეტენციას ეხება დ. გოლმანიც. იგი აცხადებს, რომ “ურთიერთობათა სწორი მართვა იწყება ავთენტურობით: საკუთარი გულწრფელი გრძნობების ქმედებით” (14 d).

ლიდერული უნარების გამომუშავების იდეას გამოცდილებით ავითარებს სწორედ მაქსიალი თავის ნაშრომში “High Flyers: Developing the Next Generation of Leaders” (1998) (29). მის თანახმად ნამდვილი ლიდერები ისინი არიან ვისაც აქვთ უნარი ისწავლონ საკუთარი გამოცდილებით და რომლებიც მუდამ ღია არიან სწავლისადმი. ასეთი ტიპის ადამიანები თუ მიიღებენ საჭირო გამოცდილებას სამუშაო გარემოში, მათ ექნებათ შესაძლებლობა, რომ შეისწავლონ ლიდერის ახალი თვისებები. დ. გოლმანის, რ. ბოიათზის და სხვ. მკვლევარების თანახმად ემოციური ინტელექტის კომპეტენციები არ არის თანდაყოლილი, არამედ სწავლადი შესაძლებლობებია, რომელთაგანაც თითოეულს უნიკალური წვლილი შეაქვს რეზონანსულ ლიდერად, შესაბამისად, ეფექტურ ლიდერად ჩამოყალიბების კუთხით (31).

სტატიაში განხილული EI-სა და ლიდერობის მკვლევარების ნაშრომების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ემოციურ ინტელექტსა და ეფექტურ ლიდერობას შორის კავშირი მკვლევარების დიდი ნაწილის მიერ დადასტურებული და აღიარებულია. თუმცა, მკვლევარების ნაწილის მიერ კვლავ აქტუალურად მიიჩნევა ემოციური ინტელექტის “ზნელი მხარის” განხილვა (30, 34) და იმის ანალიზი შესაძლებელია თუ არა ემოციური ინტელექტის მაღალი დონის მქონე ეფექტურმა ლიდერმა ის ცუდი მიზნებისთვის გამოიყენოს და მოახდინოს თანამშრომლების მანიპულაცია.

მიუხედავად ამისა, ტრანსფორმაციული ლიდერისა და ემოციური ინტელექტის კავშირზე ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ EI-ს “ზნელი მხარე” წინააღმდეგობაში მოდის თავად ტრანსფორმაციული ლიდერის განმარტებასთან. ბასის თანახმად ტრანსფორმაციული ლიდერის იდეალური გაგებით, ის ქმნის ფასეულ და პოზიტიურ ცვლილებას მის მიმდევრებში საბოლოო მიზნით, რომ ისინი ლიდერებად აქციოს. ტრანსფორმაციული ლიდერი ზრდის მოტივაციას, მორალს და მიმდევრების სამუშაოს შესრულების შედეგებს სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით (24).

დ. გოლმანმა, რ. ბოიათზიმ და ა. მაქკიმ 2 წლიანი კვლევის შედეგად (32) დაადგინეს, რომ ლიდერის განწყობა და ქცევა განსაზღვრავს მის ირგვლივ ყველას განწყობასა და ქცევას. მკვლევარების თანახმად ცუდი ხასიათის, შეუბრალებელი ხელმძღვანელი ქმნის ტოქსიკურ გარემოს ორგანიზაციაში, რომელიც სავსეა ნეგატიური და ვერშემდგარი ადამიანებისაგან, რომლებიც თავის მხრივ უგულვებელყოფენ შესაძლებლობებს. ხოლო, შთამაგონებელი, თვითკმარი ლიდერი კი პირიქით წარმოაჩენს მის მიმდევრებს, რომლებისთვისაც

ყოველგვარი გამოწვევა გადალახვადია. ამ ყველაფერს კი მივყავართ კომპანიის მოგებასთან ან წაგებასთან. სწორედ ლიდერის ემოციური ინტელექტი ქმნის გარემოს სადაც ინფორმაციის გადაცემა, ნდობა, ჯანსაღი რისკის-აღება და სწავლება ყვავის. ლიდერებში დაბალი დონის ემოციური ინტელექტი კი ქმნის გარემოს, სადაც გავრცელებულია შიში და შფოთვა. შეშინებულმა და დაძაბულმა თანამშრომლებმა შეიძლება მოკლევადიან პერსპექტივაში კარგი შედეგი აჩვენონ, მაგრამ, ეს შედეგი არასოდეს არის ხანგრძლივადიანი. კვლევის ეტაპზე მკვლევარები დაეყრდნენ უახლეს ნევროლოგიურ და ფსიქოლოგიურ კვლევის შედეგებს, ასობით ლიდერზე მოხდა დაკვირვება და დადგინდა, რომ “ემოციური ინტელექტი ისევე მოძრაობს კომპანიაში, როგორც დენი ელ. გაყვანილობის ქსელში” (32). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ავთენტური ლიდერისა და ემოციური ინტელექტის კავშირი და ავთენტური ლიდერის მახასიათებლები (28). ავთენტური ლიდერები მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს საშუალებას აძლევენ, რომ მიაღწიონ გრძელვადიან შედეგებს. ავთენტური ლიდერი აღიარებს, რომ ლიდერობა არ არის მხოლოდ მათი წარმატება ან ერთგული დაქვემდებარებულების არმიის ყოლა. მათ გააზრებული აქვთ, რომ ორგანიზაციის წარმატება ეფუძნება ორგანიზაციის ყველა დონეზე ლიდერების აღზრდას. ისინი არა მარტო შთააგონებენ ადამიანებს მის ირგვლივ, არამედ უფლებას აძლევენ მათ, რომ წამოდგნენ და იხელმძღვანელონ” (35). დ. გელმანის თანახმად “ურთიერთობების კარგად მართვა იწყება ავთენტურობით: გულწრფელი გრძნობებიდან ქმედებით” (14 d).

შესაბამისად, თავად EI-სა და ტრანსფორმაციულ ლიდერს, EI-სა და რეზონანსულ ლიდერს, EI-სა და ავთენტურ ლიდერს შორის დადასტურებული კავშირი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ემოციური ინტელექტის ე.წ. “ბნელი მხარე”, რომელიც ემოციური ინტელექტის პირადი მიზნებისთვის გამოყენებას გულისხმობს ეწინააღმდეგება, როგორც ტრანსფორმაციული ისე რეზონანსული და ავთენტური ლიდერების განმარტებებს. ამ ტიპის ლიდერების ღირებულებები ეფუძნება სწორედ არა მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობას, არამედ სხვათა განვითარებაზე და კომპანიის მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულობას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ემოციური ინტელექტის მქონე ლიდერი თავდაჯერებულია საკუთარ ძალებში, ის რეალისტურად აფასებს საკუთარ თავს და არ ჭირდება სხვათა მანიპულაცია. მის მიერ თანამშრომლებზე გავლენა ემსახურება, როგორც მათ პირად ისე კომპანიის განვითარებას.

დ. გოლმანის და სხვათა თანახმად ლიდერის განწყობა პირდაპირი მნიშვნელობით გადამდებია, ვრცელდება რა მომენტალურად მთელს კომპანიაში. კვლევის შედეგებზე დაფუძნებით მკვლევარები აკეთებენ დასკვნას, რომ თუ ლიდერის განწყობა და ქცევა ბიზნესის წარმატების პოტენციური მამოძრავებელია, მაშინ ლიდერის ნომერ პირველი ამოცანა სწორედ ემოციური ლიდერობაა (emotional leadership). ლიდერი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ არა მარტო ის არის ოპტიმისტურ, ავთენტურ, კარგ განწყობაზე, არამედ მისი საქციელის მეშვეობით მისი მიმდევრებიც იდენტურად გრძნობენ თავს. მკვლევარების მოსაზრებით კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ლიდერს შეეძლოს საკუთარი ცხოვრების მართვა, რაც მეტისმეტად რთულია. ეს უნარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან თანამშრომლები იმასაც კი გრძნობენ თუ ლიდერის განწყობა ყალბი ან მოჩვენებითია (28). აღნიშნულ მსჯელობას ადასტურებს ადამიანის ტვინზე ჩატარებული კვლევები, რომ ლიდერის განწყობა ზემოქმედებს მის ირგვლივ მყოფი ადამიანების ემოციებზე. მეცნიერები ამ ფაქტორს მიაწერენ ტვინის ლიმბური სისტემის, ადამიანის ემოციური ცენტრის ღია ბუნებას. მაშინ, როცა დახურული სისტემა ახდენს თვითრეგულაციას, ღია სისტემა დამოკიდებულია სხვა გარე წყაროებზე, რომ მართოს იგი. შესაბამისად, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვეყრდნობით სხვა ადამიანებთან კავშირს ჩვენი განწყობის განსასაზღვრად. სწორედ ამას უწოდებენ, ე.წ. “ინტერპერსონალურ ლიმბურ რეგულაციას” - ერთი ადამიანი გადასცემს სიგნალებს, რომელსაც შეუძლია ჰორმონის დონის, კარდიოვასკულარული ფუნქციების, ძილის რიტმის, იმუნური ფუნქციების შეცვლაც კი გამოიწვიოს მეორე ადამიანის ორგანიზმში. ჯერ კიდევ 1981 წელს ფსიქოლოგებმა ჰ. ფრიდმანმა და რ. რეგიომ აღმოაჩინეს, რომ სრულიად არავერბალურ კომუნიკაციასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მეორე ადამიანზე (28). შესაბამისად, თუ ემოციური ინტელექტის მქონე ლიდერის ქცევები არაავთენტურია, მისი განწყობა კი ყალბი ეს აუცილებლად გამოვლინდება არავერბალურ კომუნიკაციაში. ასეთი ტიპის ლიდერი ვერ იქნება რეზონანსში გარემოსთან და მას აუცილებლად აკლია EI-ს რომელიმე კრიტიკული კომპეტენცია. გოლმანის (14 E) თანახმად ზოგიერთი დისონანსური ლიდერი უფრო დაფარულია, ზედაპირულ შარმს და სოციალურ უნარ-ჩვევებს იყენებს, ქარიზმაც აქვს, რომ შეცდომაში შეგიყვანონ და შენი მანიპულაცია მოახდინონ. თუმცა, როდესაც ამას გრძნობს თანამშრომელი წარმოიშვება ცინიზმი და უნდობა. ასეთი ტიპის დისონანსურ ლიდერებს შეიძლება მოკლევადიანი ეფექტური შედეგი ქონდეთ, დაწინაურების ან უფროსის სიამოვნების მიზნით, მაგრამ ტოქსიკური გარემო,

რომელსაც ისინი ირგვლივ ტოვებენ მათ წარმატებას წარუმატებლობად აქცევენ. ასეთი ლიდერი აუცილებლად გამოიწვევს თანამშრომლების გამოწვა-გამოფიტვას.

5. დასკვნა

საქართველოში ბიზნეს ლიდერების მახასიათებლების შესწავლა და მათი ემოციური ინტელექტის ანალიზი საკვლევი თემაა და მნიშვნელოვანი იქნება, რომ განხორციელდეს. ასევე, კომპანიების მიერ პოტენციური ლიდერების გამოსავლენად ემოციური ინტელექტის გაზომვის სწორი ფორმით დანერგვა ხელს შეუწყობს ქართულ ბიზნეს კომპანიებში ჯანსაღი ურთიერთობების ფორმირებას და ეფექტური ლიდერების გუნდის ჩამოყალიბებას კომპანიის სხვადასხვა დონეზე, დაგვეხმარება, რომ გადავლახოთ პოსტ-კომუნისტური შერეული ტიპის მენეჯმენტის გამოვლინებები. მნიშვნელოვანია, რომ ქართული ბიზნესების დამფუძნებელმა პირებმა მხარი დაუჭირონ და ხელი შეუწყონ ლიდერების განვითარებას, რომლებსაც ემოციური რეზონანსი შეაქვთ კომპანიაში, რაც თავის მხრივ იწვევს კომპანიის თანამშრომლების სრულ რეალიზებას და მათივე სასიკეთოდ, არ წახალისონ დისონანსური ლიდერები. შესაბამისად, დროა დავივიწყოთ ცნობილი ტერმინი “ლიდერებად იზადებიან” და ოცდამეერთე საუკუნეში საქართველოს ბიზნეს კომპანიებიც შეუერთდნენ საერთაშორისო ბიზნესების მიერ აღიარებულ მიდგომებს, დანერგონ ლიდერების განვითარების პროგრამები, რომელიც არ იქნება შემოფარგლული აუდიტორიაში განხორციელებული ჯგუფური ტრენინგებით და მოიცავს კომპლექსურ მიდგომას ემოციური ინტელექტის უნარების და კომპეტენციების გამოსამუშავებლად ქოუჩინგის და სხვა მკვლევარების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიების გამოყენებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cooper, R.K., & Sawaf, A. (1997). *Executive EQ: Emotional intelligence in leaders and organizations*. New York: Grosset/Putnam, p. xxvii.
2. Goleman, D. (1995). *Emotional Intelligence*, Bantam Books, New York, NY in Niroshaan Sivanathen, G. Cynthia Fekken (2002). Emotional intelligence, moral reasoning and transformational leadership. *Leadership and Organizational Development* 23/4, pp. 198-204.
3. Kaufman, A. S. (2000). Tests of intelligence. In R. J. Sternberg (Ed.), *Handbook of intelligence* (pp.

445–476). New York: Cambridge University Press.

4. Walker, R. E., & Foley, J. M. (1973). Social intelligence: Its history and measurement. *Psychological Reports*, 33, 839–864 in John D. Mayer, Peter Salovey and David R. Caruso, “Emotional Intelligence – new ability or eclectic traits?” *American Psychologist*, September, 2008, pp. 503-517.

5. Thorndike, E. L. (1920). Intelligence and its uses. *Harper’s Magazine*, 140, 227–235 in John D. Mayer, Peter Salovey and David R. Caruso, “Emotional Intelligence – new ability or eclectic traits?” *American Psychologist*, September, 2008, pp. 503-517.

6. Ekman, P. (1973). *Darwin and facial expression: A century of research in review*. New York: Academic Press.

7. http://www.niu.edu/facdev/resources/guide/learning/howard_gardner_theory_multiple_intelligence_s.pdf

8. Salovey, P., & Mayer, J. D. (1990). Emotional intelligence. *Imagination, Cognition, and Personality*, 9, pp. 185–211.

9. John D. Mayer, Peter Salovey and David R. Caruso, “Emotional Intelligence – new ability or eclectic traits?” *American Psychologist*, September, 2008, pp. 503-517.

10. Bar-On, R. (1997), *Bar-On Emotional Quotient Inventory: User’s Manual*, Multi-Health Systems, New York, NY. P. 14 in Liza Gardner, Con Stough (2002), Examining the relationship between leadership and emotional intelligence in senior level managers, *Leadership & Organizational Development Journal* 23/2, pp. 68-78.

11. Mayer, J. D., & Salovey, P. (1997). What is emotional intelligence? in P. Salovey & D. Sluyter (Eds.), *Emotional development and emotional intelligence: Educational implications* (pp. 3–31). New York: Basic Books in John D. Mayer, Peter Salovey and David R. Caruso, “Emotional Intelligence – new ability or eclectic traits?” *American Psychologist*, September, 2008, pp. 503-517.

12. Daniel Goleman (2004), What makes a leader? *Harvard Business Review*, pp. 82-91 - <https://hbr.org/2004/01/what-makes-a-leader/ar/1>

13. Bar-On, R. (1997), *Bar-On Emotional Quotient Inventory: User’s Manual*, Multi-Health Systems, New York, NY. P. 14 in Liza Gardner, Con Stough (2002), Examining the relationship between leadership and emotional intelligence in senior level managers, *Leadership & Organizational Development Journal* 23/2, pp. 68-78.

14. Daniel Goleman, Richard Boyatzis, Annie McKee (2013), *Primal Leadership: unleashing the power*

- of emotional intelligence. Harvard Business Review Publishing, Boston, USA, A. pp. 37-52 B. pp. 30-52 C. pp. 28 E. pp. 53 F. pp. 51 G. pp. 44 H. 23 D. pp. 22.
15. Travis Bradberry and Jean Greaves (2009), *Emotional Intelligence 2.0*, by TalentSmart, Sand Diego, CA, USA.
16. Miller, M. (1999), 'Emotional intelligence helps managers succeed', *Credit Union Magazine*, Vol. 65, pp. 25-6.
17. George, J.M. (2000), 'Emotions and leadership: the role of emotional intelligence', *Human Relations*, Vol. 53, pp. 1027-41.
18. Cooper R.K. & Sawaf, A (1997) *Executive EQ: Emotional Intelligence in Leadership & Organizations*, Grosset/Putnum, New York, NY in Benjamin Palmer, Mellisa Walls, Zena Burgerss, Con Stough (2001), *Emotional Intelligence & Effective Leadership*. *Leadership & Organizational Development Journal* 22/1 pp 5-10.
19. Richard Boyatzis (2006), Using tipping points of emotional intelligence and cognitive competencies to predict financial performance of leaders. *Psicothema*, Vol. 18, Supl., pp. 124 – 131.
20. Benjamin Palmer, Mellisa Walls, Zena Burgerss, Con Stough (2001), *Emotional Intelligence & Effective Leadership*. *Leadership & Organizational Development Journal* 22/1 pp 5-10.
21. Mary J. Fambrough and Rama Kaye Hart (2008). *Emotions in Leadership Development: A Critique of Emotional Intelligence*. *Advances in Developing Human Resources* 2008; 10; 740 originally published online Sep 15, 2008; DOI: 10.1177/1523422308323542.
22. Burns, J.M. (1978), *Leadership*, Harper & Row, New York, NY in liza Garner, Con Stough (2002) *Examining the relationship between leadership and emotional intelligence in senior level managers*, *Leadership and Organizational Development* 23/2, pp. 68-78.
23. Bass, B.M. (1985), *Leadership and Performance beyond Expectations*, Free Press, New York, NY.
24. Bass, B.M. (1997), "Does the transactional- transformational leadership paradigm transcend organisational and national boundaries?", *American Psychologist*, Vol. 52, pp. 130-9.
25. Yammarino, F.J., Spangler, W.D. and Bass, B.M. (1993), "Transformational leadership and performance: a longitudinal investigation", *Leadership Quarterly*, Vol. 4, pp. 81-102.)
26. Liza Gardner, Con Stough (2002), *Examining the relationship between leadership and emotional intelligence in senior level managers*, *Leadership & Organizational Development Journal* 23/2, pp. 68-78.

-
27. (A) Barling, J., Slater, F. and Kelloway, E.K. (2000), 'Transformational leadership and emotional intelligence: an exploratory study', *Leadership and Organizational Development Journal*, Vol. 21, pp. 157-61. (B) Niroshaan Sivanathan, G. Cynthia Fekken (2002), Emotional intelligence, moral reasoning and transformational leadership. *Leadership and organizational development journal*, 23/4. Pp. 198 - 204.
28. Bill George, Peter Sims, Andrew N. Mclean and Diana Mayer (2007), *Discovering your authentic Leadership*, Harvard Business Review, February issue.
29. Morgan W. McCall (1998). *High Flyers: Developing the Next Generation of Leaders*, Harvard Business Review Press. Boston, Massachusetts.
30. Adam Grant (2014), *The Dark Side of Emotional Intelligence*, *Health – The Atlantic* at: <http://www.theatlantic.com/health/print/2014/01/the-dark-side-of-emotional-intelligence/282720/>
31. Daniel Goleman, Richard Boyatzis, Annie McKee (2002), *Primal Leadership: Realizing the Power of Emotional Intelligence*, Boston: Harvard Business School Press, 38.
32. Daniel Goleman, Richard E. Boyatzis (2001) *Primal Leadership: The Hidden Driver of Great Performance*, Harvard Business Review, December - <https://hbr.org/2001/12/primal-leadership-the-hidden-driver-of-great-performance/ar/1>
33. Peter Salovey and Daisy Grewal (2005), *Science of Emotional Intelligence*, Yale University, *Current Directions in Psychological Science*, Volume 14, No. 6, pp. 281-285.
34. Moshe Zeidner, Gerald Matthews, Richard D. Roberts (2004), "Emotional Intelligence in the Workplace: a critical review", *applied psychology: an international review*, 53 (3), pp. 371-399
35. Bill George, Peter Sims, Andrew N. Mclean and Diana Mayer (2007), *Discovering your Authentic Leadership*, Harvard Business Review, February issue.

ემოციური ინტელექტის როლი ეფექტური ლიდერობისთვის

ნინო დგვევაძე

დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ანოტაცია

ეს პირველი კვლევაა საქართველოში, რომელიც ეხება ახალი პარადიგმის, ემოციური ინტელექტისა და ლიდერობის კავშირს. სტატიის მიზანია ემოციური ინტელექტის სფეროში მოღვაწე მკვლევარების ნაშრომების შესწავლის და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მივიღოთ ნათელი სურათი იმისა, თუ რას წარმოადგენს ემოციური ინტელექტი, როგორ მოხდა ცნების ტრანსფორმაცია წლების განმავლობაში, რა მოდელებს გვთავაზობენ მკვლევარები და აქვს თუ არა მას გავლენა ლიდერის ეფექტურობაზე და კომპანიის შედეგებზე. ასევე, განვიხილავთ ეფექტური ლიდერის სხვადასხვა კონცეფციებს და მათ კავშირს ემოციურ ინტელექტთან. ეფექტური ლიდერის კონცეფციებსა და ემოციურ ინტელექტს შორის კავშირის დადასტურებით ვაყალიბებთ მოსაზრებას, რომ ემოციური ინტელექტის მკვლევარების ნაწილის მიერ გამოთქმული მოსაზრება ემოციური ინტელექტის ე.წ. “ზნელი მხარის” შესახებ არ არის შესაბამისობაში ემოციური ინტელექტის მაღალი დონის მქონე ლიდერის განმარტებასთან. სტატიაში გამოყენებული ლიტერატურა მოიცავს 1920 წლიდან 2014 წლის ჩათვლით პერიოდს და ქმნის კონკრეტულ წინაპირობას სამომავლო კვლევებისთვის.

The Role of Emotional Intelligence for Effective Leadership

Nino Dgvepadze

Ph.D. Student

Georgian Technical University

Abstract

This study is the first of its kind in Georgia exploring the connection between the new paradigm, emotional intelligence and effective leadership. The paper aims to examine the studies of researchers working in the field of emotional intelligence and make the critical analyses of it in order to present the theory of emotional intelligence in full, present how the concept was transforming for the last

decades and question if there is a connection between emotional intelligence and effective leadership and company results. The study covers literature review of various types of effective leadership concepts and their connection with emotional intelligence. By the confirmation of connection between emotional intelligence and effective leadership we make an inference that there is no compliance between a “dark side” of emotional intelligence presented by some of the researchers and an effective leader with high grade of emotional intelligence. The literature review traverses the research in the area covering the pre-paradigm and post-paradigm period of 1920s to 2014 and make the specific recommendations for future studies.

პროფესიული სტრესის საზომი ინსტრუმენტის - OSI-R™ (Occupational Stress Inventory – Revised Edition™) ადაპტაცია



თამარ ქობულაძე
დოქტორანტი

სალომე მხეიძე
მაგისტრი



პროფესიული სტრესის შესწავლამ პოპულარობა 1970 წლიდან ანგლო-საქსონურ ქვეყნებში მოიპოვა [4], რამაც საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა ინსტრუმენტებისა თუ კითხვარების შექმნას. ზოგიერთი მათგანი ზომავდა სტრესის გამომწვევ მიზეზებს, ზოგი კი სტრესის შედეგებს ჯანმრთელობასა და მიღწევებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მთელს მსოფლიოში, პროფესიული სტრესის თემაზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა მკვეთრად აღემატება პოსტტრამულ სტრესებზე პუბლიკაციების რაოდენობას.

საქართველოში, სამწუხაროდ, არ ვართ განებივრებულები პროფესიული სტრესის საზომი ვალიდური კითხვარებითა და სტრესის მართვის პროგრამებით. როდესაც პრობლემა თვალსაჩინო ხდება, ზოგიერთი ორგანიზაცია, თუ კონსულტანტი ცდილობს ყოველგვარი წინასწარი შესწავლის გარეშე, დასაქმებულებს შესთავაზოს პრობლემის დაძლევის „მზა“ გზები, რაც ხშირად უშედეგოა.

პირველი კითხვა, რომელიც ამ დროს უნდა დაისვას არის: „რა გავზომოთ?“ რომელსაც მაშინვე მოყვება მეორე შეკითხვა, თუ „როგორ გავზომოთ?“.

პროფესიული სტრესი¹ წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას ორგანიზაციულ ფსიქოლოგიაში, რადგან ის კავშირშია ორგანიზაციის თანამშრომელთა პროდუქტიულობასთან, კადრების დენადობასთან, სამუშაოს შესრულების ხარისხთან, სამუშაოს გაცდენებთან, შრომით კმაყოფილებასთან და სხვა მნიშვნელოვან ორგანიზაციულ

¹ „პროფესიული სტრესი - წარმოიქმნება მაშინ, როდესაც პიროვნება განიცდის დისბალანსს მის წინაშე მდგარ პროფესიულ მოთხოვნებსა და მათ შესასრულებლად არსებულ საკუთარ რესურსებს შორის“ (სამუშაოზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების პრევენციის კვლევისა და უსაფრთხოების საფრანგეთის ეროვნული ინსტიტუტი INRS).

საკითხებთან. პროფესიული სტრესის ხარისხის დადგენა და სტრესორების² გამოვლენა მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ დასაქმებული პერსონალისთვის, არამედ ორგანიზაციისათვისაც, ვინაიდან შეუძლებელია ორგანიზაციას მაქსიმალური სარგებელი მოუტანოს თანამშრომელმა, რომელიც მუდმივად პროფესიულ სტრესს განიცდის.

ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, როგორც არის საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, სკანდინავიის ქვეყნები, იტალია, გერმანია, შვეიცარია, ბელგია და სხვა, პროფესიული სტრესისა და ფსიქო-სოციალური რისკების და მათგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალის კვლევა, მრავალი სამეცნიერო კვლევითი გუნდისა და პრაქტიკოსი მკვლევარების, ფსიქოლოგების, ერგონომების, სოციოლოგებისა თუ ეკონომისტების ინტერესის საგანს წარმოადგენს. „პროფესიული სტრესის მართვის კონცეფცია“ ევროპაში, დღესდღეობით ორგანიზაციების სოციალურ-ეკონომიური წარმატების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად ითვლება.

მიუხედავად რეალური საჭიროებისა და არსებული ინტერესისა, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობდა ქართული ან ქართულ ენაზე ადაპტირებული, სტანდარტიზირებული და ნორმირებული ინსტრუმენტი, რომელიც სპეციალისტებს საშუალებას მისცემდა გაეზომათ პროფესიული სტრესი და დაეგემათ სტრესის პროფილაქტიკის ორგანიზაციული პროგრამები. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვან ამოცანად მივიჩნიეთ უკვე შექმნილი - სანდო და ვალიდური ინსტრუმენტის ქართულ პოპულაციაზე, ქართულ რეალობაზე მორგება.

უცხოელ ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად, შეირჩა პროფესიული სტრესის საზომი ინსტრუმენტის შესწორებული ვარიანტი - OSI-R (Occupational Stress Inventory – Revised) **Samuel H.Osipow (PhD)**. აღნიშნული ტესტისადმი ინტერესი პირველად, საფრანგეთში, რეიმის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის (C2S)³ ლაბორატორიაში გაჩნდა, სადაც პროფესიული სტრესის საკვლევ ინსტრუმენტებზე მუშაობის პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო OSI-R-ის ფრანგულ რეალობაზე ადაპტირებულმა ვერსიამ (ავტორი D.Steiler). ფრანგი სპეციალისტების შეფასებით, აღნიშნულმა ტესტმა,

² **სტრესორი** - ნებისმიერი სტიმული, რომელსაც ინდივიდი აღიქვამს საფრთხედ.

³ **ფსიქოლოგიის ლაბორატორია C2S** (კოგნიცია-ჯანმრთელობა-სოციალიზაცია) - Laboratoire de Psychologie C2S ("Cognition Santé Socialisation" (EA 6291)) Université de Reims Champagne-Ardenne (France) რეიმს შამპან-არდენის უნივერსიტეტი

სხვადასხვა სფეროში ჩატარებულ კვლევებში, ადეკვატურად უპასუხა ტესტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და მათ, საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მისცა.

ტესტის შემქმნელებისა და გამომცემლობისგან მიღებული ოფიციალური თანხმობის შემდეგ, აშშ-ში შექმნილი, პროფესიული სტრესის საზომი ინსტრუმენტის შესწორებული ვარიანტის - OSI-R (Occupational Stress Inventory – Revised) **ორიგინალი ვერსია**, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ქართულ ენაზე ითარგმნა და ქართულ პოპულაციაზე ადაპტირდა. **კვლევა დაფინანსდა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაცემული „ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტის“ ფარგლებში.**

პროფესიული სტრესის საკვლევი ტესტის შესწორებული ვარიანტი (**Occupational Stress Inventory Revised Edition (OSI-R) Samuel H. Osipow (PhD)**), შემუშავდა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუელ ოსიპოუს მიერ. აღნიშნული ტესტი პროფესიული სტრესის, როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე შესწავლის შესაძლებლობას იძლევა, აადვილებს პრობლემის იდენტიფიცირებასა და კორექციას და გამოიყენება კონკრეტული ორგანიზაციის კარტოგრაფიის შექმნაში. OSI-R ასევე გამოიყენება ორგანიზაციაში სოციალური კლიმატის შესახებ აუდიტის ჩასატარებლად, თანამშრომლებისთვის სპეციალური ტრენინგ(ებ)ის საჭიროების განსაზღვრასა და ფსიქოსოციალური რისკების თავიდან ასაცილებლად დაძლევის სტრატეგიებისა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაში. OSI-R-ის გამოყენება შესაძლებელია განსხვავებულ გარემოსა და პროფესიულ დონეზე (მენეჯერებთან, სპეციალისტებთან, ტექნიკოსებთან, სოციალური სფეროს მუშაკებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, საჯარო მოხელეებთან და ა.შ).

1. OSI_R – Occupational Stress Inventory – Revised – ტესტის მიზანი და სტრუქტურა

1.1. რას აფასებს OSI_R

პროფესიული სტრესის საზომი ინსტრუმენტის შესწორებული ვერსია (OSI - R) ზომავს სამუშაოსადმი ადაპტაციის სამ ასპექტს, ესენია: **პროფესიული სტრესი, ფსიქოლოგიური დაძაბულობა და დაძლევის რესურსები.** თითოეულ ამ სფეროში, სკალების გამოყენებით იზომება გარემოსა და ინდივიდის კონკრეტული ატრიბუტები, რომლებიც სამუშაოსადმი ადაპტაციის მნიშვნელოვან მახასიათებლებს წარმოადგენს.

პროფესიული სტრესი იზომება ექვსი ქვესკალის გამოყენებით, რომელთაც ერთობლივად, პროფესიული როლების კითხვარს უწოდებენ (Occupational Roles Questionnaire, ORQ). ადრინდელი სახელწოდებაა Occupational Environmental Scales (პროფესიული გარემოს სკალები) (Osipow & Spokane, 1981). პროფესიული სტრესის ადეკვატურად გაზომვის მიზნით, შესაბამისი ლიტერატურის დახმარებით მოხდა სტრესის შემცველი რამდენიმე როლის იდენტიფიცირება და განსაზღვრა (McLean, 1974). სტრესის შემცველი როლების გასაზომად შემუშავდა შემდეგი სკალები: *როლური გადატვირთულობის (RO)*, *როლური უკმარისობის (RI)*, *როლური ბუნდოვანების (RA)*, *როლური განუსაზღვრელობის (RB)*, *პასუხისმგებლობის (R)* და *ფიზიკური გარემოს (PE)* სკალები.

პიროვნული დაძაბულობის სკალა შედგება ოთხი ქვესკალისაგან, რომელსაც პიროვნული დაძაბულობის კითხვარი ეწოდება (Personal Strain Questionnaires, PSQ). ის ასახავს სხვადასხვა ტიპის აფექტურ, სუბიექტურ რეაქციებს. იმ ინდივიდებისათვის, რომელთაც უჭირთ ეფექტურად დაძლიონ სხვადასხვა სახის სტრესი სამუშაო ადგილზე ან სხვა ტიპის გარემოში, დაძაბულობის კლასიფიკაცია ოთხ კატეგორიადაა შესაძლებელი. ესენია: *სამუშაოსთან დაკავშირებული დაძაბულობა (VS)*, *ფსიქოლოგიური დაძაბულობა (PSY)*, *ინტერპერსონალური დაძაბულობა (IS)* და *ფიზიკური დაძაბულობა (PHS)*.

დასასრულს, განისაზღვრა დაძაბულობის რესურსების სკალა. ნიუმენის და ბერის მიმოხილვის თანახმად (Newman, Beehr, 1979), დაძაბულობის რესურსები იზომება შემდეგი ოთხი სკალით, რომლებიც ერთობლივად შეადგენს პიროვნული რესურსების კითხვარს (Personal Resources Questionnaire, PRQ). მასში შედის *რეკრეაციის (RE)*, *საკუთარ თავზე ზრუნვის (SC)* *სოციალური მხარდაჭერის (SS)* და *რაციონალური, კოგნიტური დაძაბულობის (RC)* სკალები.

1.2. ტესტის შესაძლო გამოყენება

ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისათვის OSI-R მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით.

ა) **სქრინინგის ინსტრუმენტი.** ინდივიდებს, რომლებსაც, საკუთარი დაკვირვებით ან კოლეგებისა და პროფესიონალების დაკვირვებით, აშკარად ახასიათებთ ძლიერი დაძაბულობა, შეუძლიათ მიიღონ ღირებული ინფორმაცია სტრესის გამომწვევი როლებისა და მათი ურთიერთქმედების შესახებ (მაგ. როლთან დაკავშირებული სამუშაოს დატვირთვის სიჭარბე და როლის უკმარისობა).

ბ) პროფესიული შეფასება. OSI-R-ის გამოყენებით შესაძლებელია სტრესის წყაროებისა და სიმპტომების დადგენა, რომლებიც წამყვანია ამა თუ იმ სამუშაო ჯგუფსა თუ ერთეულში. ეს ინფორმაცია შესაძლოა გამოყენებულ იქნას აღწერითი მიზნებისთვის ან გათვალისწინებულ იქნას სამუშაო გარემოს მოწყობის, ორგანიზებისა და/ან მართვის დროს.

გ) კონსულტაცია, განათლება და განვითარება. ბიზნესსა და წარმოებაში არასდროს განხორციელებულა დასაქმებულთა დახმარებისა და კონსულტირების იმდენი პროგრამა, რამდენიც დღევანდელ დღეს. ზოგადად, დასაქმებული პირები გამოხატავენ ინტერესს OSI – R ტესტის შევსების მიმართ. გარდა ამისა, ვისაც ესმის ადამიანებზე გახანგრძლივებული პროფესიული სტრესის ზემოქმედების მნიშვნელობა და ცდილობს ასეთი ადამიანების დახმარებას, აინტერესებს იმ ინფორმაციის მოპოვება, რომელსაც OSI - R გვთავაზობს. ამგვარ ინტერესს იჩენენ პროფესიონალი კონსულტანტები, ფსიქოლოგები, ადმინისტრატორები და დასაქმებულის ოჯახის წევრები. OSI-R-ში შემავალი დებულებების განხილვამ შესაძლოა ბიძგი მისცეს დისკუსიისას როლებისა და პასუხისმგებლობების თაობაზე. ასეთი დისკუსია შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, რადგანაც სულ უფრო მეტი ოჯახი ფიქრობს იმაზე, თუ როგორ დაიცვას წონასწორობა სამსახურეობრივ კარიერასა და პირად ცხოვრებას შორის.

დ) კონსულტაცია კარიერის საკითხებზე. სულ უფრო მეტი ადამიანი აცნობიერებს იმას, რომ ოპტიმალური შესაბამისობის დაცვა ინდივიდსა და მის სამუშაო გარემოს შორის დადებითი შედეგების მომტანია (French, 1976; Holland, Powell&Fritzsche, 1994). ამავე დროს, პროფესიული კარიერის შუა ეტაპზე მრავალი ზრდასრული ადამიანი ფიქრობს საკუთარ კარიერაში ცვლილებების შეტანაზე და ახორციელებს კიდევ ამ ცვლილებებს, რომლებიც, შეიძლება, სხვადასხვა მასშტაბის იყოს. სამუშაოთი უკმაყოფილო პირი, ან ადამიანი, რომლისთვისაც სამუშაო, დაძაბულობის მაღალ ხარისხს შეიცავს შეიძლება მოგებული დარჩეს ისეთი კარიერული ცვლილების შედეგად, რომელიც სამუშაო გარემოსთან მის უკეთ მორგებას გულისხმობს (Spokane, 1985). ან კიდევ, ასეთ ადამიანს შეიძლება დასჭირდეს დახმარების გაწევა სტრესის დაძლევაში, რათა მოხდეს მისი უკეთესი ადაპტაცია ახლანდელ სამუშაო გარემოსთან.

ე) ინტერვენციის გაზომვა. OSI-R-ის სკალების მეშვეობით, საკმაოდ ზუსტად შეიძლება გაიზომოს სტრესისა და დაძაბულობის მოხსნაზე მიმართული ინტერვენციის შედეგები და ინტერვენციის ეფექტურობა, როგორც ინდივიდუალურ, ისე ორგანიზაციის დონეზე.

2. OSI_R – Occupational Stress Inventory – Revised – ადაპტაცია და შედეგები

2.1. OSI-R-ის ადაპტაციის საფეხურები

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, OSI-R ტესტის ადაპტაციისა და სტანდარტიზაციის ნორმების დაცვით, ტესტმა გაიარა შემდეგი საფეხურები:

1. ტესტის ბუკლეტისა და ტესტის სახელმძღვანელოს თარგმანი - თავდაპირველად მომზადდა OSI-R ტესტის სახელმძღვანელოს ქართული ანალოგი, რამაც გაამარტივა თითოეული სუბსკალის ნიუანსების აღქმა და ტესტის ბუკლეტში შემავალი 140 დებულების თარგმნა.

2. ტესტის ბუკლეტის თარგმანის ექსპერტებთან ერთად განხილვა - ეს ეტაპი მოიცავდა ინგლისური ენის პროფესიონალურ დონეზე მცოდნე ექსპერტ ფსიქოლოგებთან ერთად არსებული ქართული თარგმანის ერთობლივ შეფასებას, დებულებების სათითაოდ განხილვას შინაარსობრივი ნიუანსების წვდომისა და დებულების ორაზროვნების ან ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით.

3. ტესტის ბუკლეტის კორექცია და ენობრივი რედაქცია - ამ ეტაპზე შეჯერდა ექსპერტებისგან მიღებული შეფასებები და შეიქმნა კითხვარის განახლებული ვერსია, რომელიც საბოლოოდ ენობრივად დარედაქტირდა ქართული ენის ფილოლოგის მიერ.

4. ტესტის ბუკლეტის უკუთარგმანი - წინა ეტაპის შედეგად მიღებული ქართული ტესტი ითარგმნა ქართულიდან ინგლისურად, ფსიქოლოგიური ტესტის ადაპტაციაში გამოცდილების მქონე ფსიქოლოგისა და ამავდროულად, ინგლისური ენის სპეციალისტის მიერ.

5. ტესტის ორიგინალი ინგლისური ვერსიისა და უკუთარგმანის შედეგად მიღებული ტესტის შედარება - ტესტის ადაპტაციის შემდგომ ეტაპზე, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა უკუთარგმანის შემსრულებელსა და ტესტზე მომუშავე ჯგუფს შორის. შეხვედრის დროს, შინაარსობრივი განსვლების აღმოჩენის მიზნით, შედარდა ტესტის ორიგინალი ბუკლეტის თითოეული დებულება უკუთარგმანის შედეგად მიღებულ დებულებას.

6. ტესტის ბუკლეტის საბოლოო კორექცია - სამუშაო შეხვედრის დროს აღმოჩენილი შინაარსობრივი განსვლები დაკორექტირდა ტესტის ქართულ თარგმანში. კორექტირების დროს გათვალისწინებული იქნა უკუთარგმანის შემსრულებელი სპეციალისტის რეკომენდაციები დებულებების ნიუანსებთან დაკავშირებით და ექსპერტული შეფასებები.

7. პასუხების ფურცლის შექმნა - კვლევისთვის საჭირო დემოგრაფიული მონაცემების განსაზღვრა - შეიქმნა ტესტის საბოლოო ვერსიისთვის პასუხების ფურცელი, რომელიც წარმოადგენს ორიგინალი ინგლისური ტესტის პასუხების ფურცლის ანალოგს და რომელზეც ასევე დატანილია წინამდებარე კვლევისთვის საჭირო დემოგრაფიული მონაცემების შესაბამისი გრაფები.

8. ტესტის ადმინისტრირება, მონაცემთა ბაზის შექმნა და პირველადი ანალიზი - ტესტი ჩატარდა 1010 დასაქმებულს, რომელთაც უწყვეტად ჰქონდათ ნამუშევარი ბოლო ერთი წლის განმავლობაში. შემდგომ შეიქმნა მონაცემთა ბაზა; შეგროვებული მონაცემების პირველადი დამუშავების მიზნით, ბაზაში დაკორექტირდა ე.წ. გამოტოვებული დავალებები იმ რეკომენდაციის გათვალისწინებით, რომელიც იყო მითითებული ტესტის სახელმძღვანელოში, კერძოდ კი, მიმდებარე ქულების საშუალო მაჩვენებლის გამოყენებით. ამის შემდგომ გაკეთდა პროფესიათა კლასიფიკაცია Standard Occupational Classification by Bureau of Labor Statistics-ის საშუალებით, რომელიც ასევე გამოყენებული იყო ტესტის ორიგინალი ვერსიის მონაცემთა დამუშავებისას.


§2.2 შერჩევის აღწერა

გამომდინარე იქიდან, რომ OSI-R ტესტის ორიგინალი ვერსია ნორმირებული იყო 983 დასაქმებულზე, წინამდებარე კვლევაში, შერჩევის მოცულობა განისაზღვრა 1010 ადამიანით. შერჩევა ჩატარდა ხელმისაწვდომობის პრინციპით და მეტ-ნაკლებად მოიცვა ყველა ასაკობრივი დიაპაზონი.

კვლევაში მონაწილე გამოკითხულთა ასაკი ვარირებდა 20-დან 80 წლამდე. კვლევაში მონაწილეთაგან - 653 ქალი, ხოლო 347 მამაკაცი გახლდათ, (ათმა ადამიანმა ღიად დატოვა სქესის გრაფა). კერძო სტრუქტურაში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენდა - 511 ადამიანს, სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმებულთა რიცხვი იყო - 439, საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობდა - 15 მათგანი, ხოლო სხვა ტიპის ორგანიზაციებში (არასამთავრობო და ა.შ.) - 35 ადამიანი. (ასევე ათმა ადამიანმა ღიად დატოვა ორგანიზაციის ტიპის გრაფა).

რაც შეეხება შერჩევაში მოხვედრილ პროფესიათა ჯგუფებს (პროფესიები დაჯგუფებულია Standard Occupational Classification by Bureau of Labor Statistics-ის მიხედვით), 1 გრაფიკზე ნაჩვენებია აღნიშნული პროფესიული ჯგუფების განაწილება შერჩევაში.

გრაფიკი 1



2.3. OSI_R – ის ადაპტირებული ვარიანტის ფსიქომეტრული მახასიათებლები

2.3.1. სანდოობა

OSI-R-ის ადაპტირებული ვარიანტის სანდოობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ე.წ. შინაგანი შეთანხმებულების მეთოდი (1). კრონბახის ალფა, რომელიც გვეხმარება განვსაზღვროთ დავალებათა ურთიერთკორელაცია ტესტის ქვესკალის შიგნით და (2). Split-half-ის მეთოდი, რომლის შედეგადაც ტესტის ქვესკალა იყოფა ორ ნაწილად და ითვლება ამ ორ მონაცემს შორის კორელაცია სპირმენ-ბრაუნის კორელაციის კოეფიციენტის საშუალებით.

ცხრილ 1 - ში მითითებულია თითოეული ტესტის და ქვესკალების სანდოობის კოეფიციენტები:

ცხრ. 1

კვლევის ინსტრუმენტი	კრონზახის ალფა კოეფიციენტი	დებულეზათა რაოდენობა
OSI_R ინსტრუმენტის ORQ სკალა	.836	60
OSI_R ინსტრუმენტის PSQ სკალა	.898	40
OSI_R ინსტრუმენტის PRQ სკალა	.837	40

აღმოჩნდა, რომ OSI-R ტესტის ორიგინალი, ქართული ვერსიის სუბსკალების ალფა კოეფიციენტები არსებითად არ განსხვავდება ინგლისური ტესტის შესაბამისი მაჩვენებლებისაგან (იხ. ცხრილი 2).

ცხრ. 2

ქვესკალა	ქართული ტესტის კრონზახის ალფა კოეფიციენტი	ორიგინალი ტესტის კრონზახის ალფა
პროფესიული როლების კითხვარი (ORQ)		
როლური გადატვირთულობა (RO)	.68	.78
როლის უკმარისობა (RI)	.75	.85
როლის ბუნდოვანება (RA)	.78	.79
როლის საზღვრები (RB)	.66	.72
პასუხისმგებლობა (R)	.71	.75
ფიზიკური გარემო (PE)	.74	.89
დამაბულობის კითხვარი (PSQ)		
სამუშაოსთან დაკავშირებული დამაბულობა (VS)	.71	.75
ფსიქოლოგიური დამაბულობა (PSY)	.80	.86

ინტერპერსონალური დამაბულობა (IS)	.61	.75
ფიზიკური დამაბულობა (PHS)	.73	.85
პიროვნული რესურსების კითხვარი (PRQ)		
რეკრეაცია (RE)	.72	.77
საკუთარ თავზე ზრუნვა (SC)	.62	.70
სოციალური მხარდაჭერა (SS)	.83	.88
რაციონალური/კოგნიტიური დამლევა (RC)	.74	.81

2.3.2. ინტერკორელაციები OSI-R ტესტის სუბსკალებს შორის.

ქვესკალებს შორის კავშირის გასაზომად გამოყენებულ იქნა პირსონის კორელაციის კოეფიციენტი. აღსანიშნავია, რომ OSI-R-ის ქართული ტესტის პროფესიული როლების კითხვართ მიღებული კორელაციები სტატისტიკურად სანდოა, ისევე, როგორც ტესტის ორიგინალ ვერსიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია RO (როლური გადატვირთვა) ქვესკალის კორელაციის კოეფიციენტების მსგავსება RB (როლის უკმარისობა) ქვესკალასთან.

პიროვნული დამაბულობის კითხვარის ქართული ვერსიის ოთხივე სკალა ერთმანეთთან ძირითადად მაღალ კორელაციაშია და ეს კორელაციის კოეფიციენტებიც მაღალი სტატისტიკური სანდოობით ხასიათდება. ორ ქვესკალას - სამუშაოსთან დაკავშირებული დამაბულობის (VS) ქვესკალასა და ფსიქოლოგიური დამაბულობის (PSY) ქვესკალას შორის კორელაციები ძალიან ახლოსაა ქართულ და ინგლისურ ტესტებში და მისი მნიშვნელობა არის ინგლისურის შემთხვევაში .59. და ქართულის შემთხვევაში .57. აღსანიშნავია ისიც, რომ სამუშაოსთან დაკავშირებული დამაბულობა (VS) გარკვეულწილად დაბალი სანდოობის კორელაციას ავლენს, პიროვნებათშორის დამაბულობასთან (IS) და ფიზიკურ დამაბულობასთან (PHS), თუმცა კოეფიციენტი არც თუ ისე დაბალია.

პიროვნული რესურსების კითხვარში შემავალი ქვესკალებიც ერთმანეთთან დადებით კორელაციაშია და აღნიშნული კორელაციის კოეფიციენტებიც სტატისტიკურად სანდოა.

3. დემოგრაფიული მაჩვენებლები

კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო დემოგრაფიულ ჯგუფთა შორის განსხვავებების დადგენა პროფესიული სტრესის საზომი ტესტის ქვესკალების მონაცემების

მიმართულებით. განსხვავებების სტატისტიკური ანალიზი შეფასდა ოთხი დემოგრაფიული ცვლადის მიხედვით, ესენია - ასაკი, სქესი, განათლება და სამუშაო პოზიცია.

სტატისტიკური ანალიზის საშუალებით შეფასდა დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის განსხვავებები T კრიტერიუმის და One-way Anova-ს (იმ შემთხვევებში, სადაც ცვლადი ორზე მეტ მნიშვნელობას იღებდა) გამოყენებით, იმ მიზნით, რომ განსაზღვრულიყო განსხვავდებიან თუ არა პროფესიული სტრესის ქვესკალების საშუალო მაჩვენებლებით ერთმანეთისაგან სხვადასხვა სქესის, ასაკის, განათლებისა და სხვადასხვა პოზიციაზე მომუშავე ადამიანები.

3.1. კავშირები დემოგრაფიულ ცვლადებთან

სქესის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები დაფიქსირდა მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვის სკალებზე (მამაკაცი (N=347, M=23.88, SD=6.24) და ქალი (N=653, M=23.51, SD=5.61)), როლური გადატვირთულობის (მამაკაცი (N=347, M=20.75, SD=5.95) და ქალი (N=653, M=22.46, SD=6.28)) და სოციალური მხარდაჭერის (მამაკაცი (N=347, M=39.92, SD=7.49) და ქალი (N=653, M=40.99, SD=6.40)) სკალებზე.

ასაკობრივი სხვაობები - კვლევაში მონაწილე რესპოდენტები 5 ასაკობრივ ჯგუფში გაერთინდა (ესენია: I ჯგუფი - 20-დან 24 წლამდე, II ჯგუფი 25-დან 34 წლამდე, III ჯგუფი - 35-დან 44 წლამდე, IV ჯგუფი- 45-დან 54 წლამდე და V ჯგუფი-55 წლიდან ზემოთ). ასაკობრივი ჯგუფების პროფესიული სტრესის სუბსკალების ჭრილში ერთმანეთთან შედარებისას გამოიკვეთა მხოლოდ ერთი სტატისტიკურად სანდო მონაცემი - როლური გადატვირთულობის სკალაზე (RO).

ფსიქოლოგიური დაძაბულობის სკალაზე ყველაზე მაღალი მაჩვენებლით 25-დან 34 წლამდე ასაკის დასაქმებულები ხასიათდებიან, ხოლო ამ სკალაზე ყველაზე დაბალი მაჩვენებლები 55 წელს ზევით მყოფ რესპოდენტებს აქვთ.

განათლების მიხედვით გამოყოფილი იყო შემდეგი ჯგუფები - *არასრული საშუალო, საშუალო, პროფესიული, არასრული უმაღლესი, უმაღლესი და სამეცნიერო ხარისხის მქონე რესპოდენტები*. განათლების მიხედვით სუბსკალებზე განსხვავებების შეფასებისას, სტატისტიკურად სანდო მონაცემი მიღებულ იქნა მხოლოდ ფიზიკური გარემოს ქვესკალაზე.

ფიზიკური გარემოს ქვესკალაზე ყველაზე მაღალი მაჩვენებლები პროფესიული განათლების მქონე რესპოდენტებს აქვთ, ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო განათლების მქონეებს. აღსანიშნავია, რომ პროფესიული ტესტის საზომი კითხვარის ფიზიკური გარემოს ქვესკალა აფასებს იმას, თუ რამდენად განიცდის ინდივიდი სამუშაო გარემოში არსებული მომწამვლელი ნივთიერებების ზემოქმედებას ან რამდენად იმყოფება უკიდურესი ფიზიკური პირობების ზემოქმედების ქვეშ. ამგვარად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არასრული საშუალო განათლების მქონე რესპოდენტებს, სავარაუდოდ, დასაქმების პერსპექტივა მხოლოდ ქვედა სამუშაო რგოლებში აქვთ, ლოგიკურად შეიძლება აიხსნას მათი ფიზიკური გარემოს შესამჩნევი განსხვავება განათლების სხვა დონის მქონე დასაქმებულებისგან.

განსხვავებული შედეგები იქნა მიღებული პროფესიათა ჯგუფების მიხედვით პროფესიული სტრესის საზომი ტესტის სუბსკალების ანალიზისას. სტატისტიკურად სანდო მონაცემი გამოიკვეთა როლური გადატვირთულობის (RO), როლის უკმარისობის (RI), როლური განუსაზღვრელობის (RB), პასუხისმგებლობის (R), ფიზიკური გარემოს (PE), სამუშაოსთან დაკავშირებული დამაბულობის (VS), ფსიქოლოგიური დამაბულობის (PSY), საკუთარ თავზე ზრუნვის (SC) ქვესკალებზე. ტესტის ორიგინალურ ვარიანტში გამოყენებული სტატისტიკური პროცედურების შესაბამისად, დადგინდა ნორმები თითოეული სუბსკალის ქულებისათვის.

დასკვნა: წინამდებარე კვლევის ძირითადი შედეგი - პროფესიული სტრესის საკვლევი კითხვარის ქართულ პოპულაციაზე ადაპტაციაა. თუმცა ტესტის სრულყოფისა და შემდგომი ვალიდიზაციისთვის კიდევ რამდენიმე საფეხურია დარჩენილი, როგორც არის ტესტის კრიტერიალური ვალიდობისა და რეტესტული სანდოობის შეფასება ჩვენს პოპულაციაში, რაც სამომავლო კვლევის საგანს წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს კვლევა ერთგვარი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოში პროფესიული სტრესის კვლევის სფეროში და იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში, პროფესიული სტრესის საზომი ინსტრუმენტის - OSI-R-ის ქართულ პოპულაციაზე ადაპტირებული ვერსია წარმატებით იქნება გამოყენებული პროფესიული სტრესის პრობლემით დაინტერესებული მკვლევარების, ადამიანური რესურსების მართვის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისა და შრომისა და ჯანმრთელობის საკითხებით დაინტერესებული პირების მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „Occupational Stress Inventory Revised Edition™ (OSI-R™) Professional Manual (Samuel H. Osipow (PhD); 1998; Columbus, OH. (Additional copies available from: 16204 N. Florida Ave. Lutz, FL33549; 1.800.331.8378; www.parnic.com)
2. OSI-R: Inventaire de Stress Professionnel version révisée (S. H. Osipow, adaptation française: Steiler, D.); copyright ©2012 by Edition Hogrefe France ; #56 018 02; www.hogrefe.fr
3. Dominique Steiler; „Prévenir le stress au travail: de l'évaluation à l'intervention” ; 06/2010; chapter VII.
4. Steiler, D., Rosnet, E. (2011/5). La Revue des Sciences de Gestion (N°251) Organisation et ressources humaines; „La mesure du stress professionnel. Différentes méthodologies de recueil” p.71.

პროფესიული სტრესის საზომი ინსტრუმენტის - OSI-R™ (Occupational Stress Inventory – Revised Edition™) ადაპტაცია

თამარ ქობულაძე

დოქტორანტი

სალომე მხეიძე

მაგისტრი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - კვლევის მიზანია პროფესიული სტრესის საზომი ინსტრუმენტის შესწორებული ვარიანტის - OSI-R (Occupational Stress Inventory – Revised; **Samuel H. Osipow (PhD)**) ქართულ პოპულაციაზე, ქართულ რეალობაზე მორგება. აღნიშნული ინსტრუმენტი (OSI-R) საშუალებას გვაძლევს გავზომოთ სამუშაოსადმი ადაპტაციის სამი ასპექტი: პროფესიული სტრესი, ფსიქოლოგიური დაძაბულობა და დაძლევის რესურსები.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა – კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისსა და რუსთავში არსებულ სახელმწიფო, კერძო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებულ 1010 ადამიანზე. კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტის სანდოობა და ვალიდობა შემოწმდა ექსპერტული და სტატისტიკური ანალიზის საშუალებით.

დასკვნები - წინამდებარე კვლევის ძირითადი შედეგი - პროფესიული სტრესის საკვლევი კითხვარის ქართულ პოპულაციაზე ადაპტაციაა.

კვლევის შეზღუდვები(ხარვეზები)/გავლენა – ტესტის სრულყოფისა და შემდგომი ვალიდიზაციისთვის კიდევ რამდენიმე საფეხურია დარჩენილი, როგორც არის ტესტის კრიტერიალური ვალიდობისა და რეტესტული სანდოობის შეფასება ჩვენს პოპულაციაში, რაც სამომავლო კვლევის საგანს წარმოადგენს.

სიახლე/ღირებულება - არაერთი კვლევით დასტურდება, რომ სამუშაოსთან დაკავშირებული სტრესი საფრთხეს უქმნის შრომითი ურთიერთობების ორივე სუბიექტს - ორგანიზაციას და დასაქმებულს. ქართულ ენაზე ადაპტირებული, სტანდარტიზირებული და ნორმირებული ინსტრუმენტი - OSI-R (Occupational Stress Inventory – Revised, პირველ რიგში ხელს შეუწყობს ორგანიზაციებში პროფესიული სტრესის კვლევას, სტრესის დამლევის პროგრამების დაგეგმვასა და შემდგომი შედეგების გაზომვას.

Adapting the OSI-R™ (Occupational Stress Inventory – Revised Edition™)*Tamar Kobuladze*

Ph.D. Student

Salome Mkheidze

Magistrate

Tbilisi I. Javakhishvili State University

Abstract

Goal – the study aims to adjust the revised edition of occupational stress inventory - OSI-R (Occupational Stress Inventory – Revised; **Samuel H. Osipow (PhD)**) - to Georgian population and conditions. The tool mentioned above (OSI-R) enables us to measure the three aspects of adaptation to the workplace: professional stress, psychological tension and the resources to overcome them.


Structure/methodology/approach – the study was conducted at state, private, international and non-government organizations in Tbilisi and Rustavi, and participants included 1010 employees of these organizations. The reliability and validity of the instrument used within the study was checked by means of the expert and statistical analysis.

Conclusions – The main result of the given study is the adaptation of the occupational stress inventory to the Georgian population.

Limitations of the study/influence – there are several more steps left for improvement and the further validation of the test, such as assessing the criterial validity and the retest reliability within our population; this represents the subject of further research.

Novelty/Value - various researches confirm that the occupational stress threatens the both parties of the labor relations – the organization and the employee. Adapted to the Georgian language, standardized and normalized tool - OSI-R (Occupational Stress Inventory – Revised), first of all will support the research of the occupational stress within organizations, as well as planning stress reduction programs and measuring the results in future.

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება



თათია ღერკენაშვილი

მაგისტრი

თანამედროვე ეპოქაში, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თემა უდაოდ აქტუალური და დიდი მნიშვნელობის მატარებელია, ვინაიდან მომავალი თაობის აღზრდა და სწავლა-განათლება პროფესიულად დახელოვნებულ პედაგოგებზეა დამოკიდებული.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს შეაფასოს თუ, როგორ ხდება სკოლებში მასწავლებელთა პროფესიულ ზრდაზე ზრუნვა, რა როლს ასრულებს მასში სკოლის დირექტორი და რამდენად უზრუნველყოფენ კერძო და საჯარო სკოლები მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

პრობლემა რომ ნამდვილად არსებობს ამაზე არავინ დავობს და მასწავლებლები ამის შესახებ ღიადაც საუბრობენ. აღნიშნული კვლევის ობიექტს წამოადგენდნენ თბილისის კერძო და საჯარო სკოლების დირექტორები და იქ მომუშავე მასწავლებლები.

მნიშვნელოვანია, სკოლებში არსებული მდგომარეობა და ის თუ, რამდენად ემთხვევა მასწავლებელთა და დირექტორთა პასუხები ერთმანეთს, რა პრობლემებზე საუბრობენ ისინი და საერთოდ რაში მდგომარეობს პრობლემის არსი. იქნებ სკოლები მაქსიმუმს აკეთებენ თავიანთი მასწავლებლების პროფესიული ზრდისთვის და პრობლემა მასწავლებლებშია, ან, იქნებ, მათ არ აქვთ საკმარისი მოტივაცია, რომ თავად იზრუნონ კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

პროფესია მასწავლებელი – ისტორიული კონტექსტი

მასწავლებლის პროფესიული განვითარება, ეს, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ის ფრაზაა, რომელიც თანამედროვე მასწავლებლებს ყველაზე ხშირად ესმით. საზოგადოება მუდმივად ახსენებს პედაგოგს პროფესიული განვითარების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ბევრი

მათგანისთვის მაინც ბუნდოვანია, კერძოდ რა ღონისძიებებს გულისხმობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, რატომ არის ის ერთნაირად აუცილებელი როგორც დამწყები, ასევე გამოცდილი მასწავლებლისათვის და როგორ აისახება ეს პროცესი მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება გულისხმობს იმ საქმიანობათა ერთობლიობას, რაც მასწავლებელს პროფესიულ ზრდასა და კარიერული შესაძლებლობების მოძიებაში ეხმარება. უფრო ზუსტად, მასწავლებლის პროფესიული განვითარება „*ესაა პროფესიული ზრდა, რომელსაც მასწავლებელი გამოცდილების დაგროვებით, საკუთარ თავზე სისტემატიური დაკვირვებითა და გამოცდის მეშვეობით აღწევს*” (Glatthorn, 1995). ისწავლო თუ როგორ ასწავლო და იღწვოდე გახდე საუკეთესო მასწავლებელი, ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და მოითხოვს არა მხოლოდ პრაქტიკული და კომპლექსური უნარების ექსპერტების მეთვალყურეობის ქვეშ განვითარებას, არამედ სპეციფიკური ცოდნის შეძენასა და გარკვეული დამოკიდებულებებისა და ეთიკური ნორმების წინა პლანზე წამოწევას. კალდერჰედისა და შოროკის (Calderhead and Shorrock, 1997), სიტყვებით რომ ვთქვათ გარდა იმისა, რომ მასწავლებელმა უნდა იცოდეს „*რა*” და „*როგორ*”, იგი ასევე კომპეტენტური უნდა იყოს საკითხებში „*რატომ*” და „*როდის*”.

პროფესიული განვითარება მხოლოდ აკადემიური კურსების მოსმენას და პროფესიული ტრენინგების გავლას კი არ გულისხმობს, არამედ კოლეგებთან თანამშრომლობას, მენტორობას, აკადემიური პროდუქტის შექმნის პროცესს საკუთარი პროფესიის, საქმიანობის, რესურსებისა და შესაძლებლობების ახლებურად გადაფასებას, პროფესიული გამოცემების კითხვასა და აკადემიურ დისციპლინასთან დაკავშირებული დოკუმენტური ფილმების ყურებასაც (Ganser, 2000). ეს ის ღონისძიებებია, რომლებიც მასწავლებლის როგორც პროფესიულ, ასევე პიროვნულ განვითარებასაც ემსახურება, შესაბამისად, პროფესიული განვითარება ყველაზე ეფექტიანი მაშინაა, როდესაც უწყვეტ პროცესს წარმოადგენს.

მასწავლებლის პროფესიამ ჩამოყალიბების გრძელი და რთული, მწვავე კრიტიკითა და დებატებით აღსავსე გზა განვლო. მე-20 საუკუნემდე მასწავლებლობა "ნახევარ" პროფესიად მიიჩნეოდა, ხოლო "სწავლებლით დაკავებული პირები არ ასოცირდებოდნენ განსაკუთრებული ინტელექტუალური და სამეცნიერო ცოდნის მატარებლებთან, რომელთაც საზოგადოებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ". პედაგოგებად მრავალი ათწლეულის

განმავლობაში უპირატესად სკოლადამთავრებულებს ქირაობდნენ. უმაღლესი სასწავლებლების განვითარების შემდეგაც, მასწავლებლის კვალიფიკაციის დასაკმაყოფილებლად მცირე სპეციალური პედაგოგიური ცოდნის მიღება იყო საკმარისი. ორიოდე კურსის და პრაქტიკის საათების გავლის შემდეგ, კურსდამთავრებული სპეციალობასთან ერთად მასწავლებლის კვალიფიკაციასაც იღებდა. თუ დიპლომი ამგვარ კვალიფიკაციას არ მოიცავდა, მას გადამზადების მოკლევადიანი კურსების გავლა შეეძლო. რეალურად კი, სკოლებში ბოლო წლებამდე უმაღლესი განათლების არმქონე ადამიანებიც ასწავლიდნენ. დაბალი სპეციალური მომზადების გათვალისწინებით, სახელმწიფო გარანტირებული შედეგების მისაღებად, მასწავლებლებს მკაცრ, რეცეპტის მსგავს მითითებებს აძლევდა. შესაბამისად, მეოცე საუკუნის 90-იანი წლების პედაგოგიკის ქართულ სახელმძღვანელოებში დაწვრილებით იყო აღწერილი მაგალითად, მერხი სინათლისკენ როგორ უნდა მდგარიყო და რომელი მხრიდან უნდა მიახლოებოდა მასწავლებელი მოსწავლეს და ა.შ. ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტული პროგრამის შინაარსი ჯერ კიდევ იმ დროის გულუბრყვილო პედაგოგიური და პოლიტიკური წარმოდგენების გამოძახილია. როგორც კონვეიერის მუშას არ აქვს პროფესია, ისე რუტინულ, მკაცრად გაკონტროლებულ გარემოში, მასწავლებლების პროფესიონალებად ჩამოყალიბების ალბათობა ძალიან დაბალი იყო.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მნიშვნელობის გადაფასება გასული საუკუნის 80-იან წლებში მოხდა. ამ პერიოდში მსოფლიოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები განხორციელდა, რამაც მასწავლებლების მიმართ საზოგადოების მოთხოვნები შეცვალა. პედაგოგებს მოეთხოვებოდათ, მოსწავლეებისთვის ესწავლებინათ ეროვნულ სასწავლო გეგმებზე დაყრდნობით და ამასთანავე, მსოფლიოში მიმდინარე ზოგადი ტენდენციებიც აესახათ სწავლების პროცესში. ისინი ფასდებოდნენ არა მხოლოდ სწავლების პროცესის ეფექტიანობის, არამედ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების მიხედვითაც. მასწავლებლისთვის წაყენებულმა ახალმა მოთხოვნებმა მისი გადამზადების აუცილებლობა გააჩინა. ადრე მასწავლებლის პროფესიული განვითარება, ძირითადად, საუნივერსიტეტო განათლებით და ფრაგმენტული, საგნობრივი კომპეტენციების შექმნაზე ორიენტირებული პროფესიული კურსებით შემოიფარგლებოდა, ახლა მეტი ყურადღება პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას და პედაგოგიური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ეთმობა.

ახალი საგანმანათლებლო პარადიგმის შემოღებამ არსებული მოდელი ძირეულად შეცვალა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება უწყვეტ პროცესად გარდაიქმნა, სადაც საუნივერსიტეტო განათლების მიღება მხოლოდ ერთი, საწყისი ეტაპია, ხოლო პროფესიული განვითარება და ზრდა სკოლაში გრძელდება. სკოლები და პედაგოგიური უნივერსიტეტები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ: პედაგოგების პრაქტიკული გამოცდილება და სკოლის წიაღში წამოჭრილი საგანმანათლებლო პრობლემები საუნივერსიტეტო პროგრამის განუყოფელი ნაწილია, ხოლო მოქმედი მასწავლებლები მუდმივად უზრუნდებიან პედაგოგიურ სასწავლებლებს სასურველი აკადემიური კურსების გასავლელად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. შესაბამისად, პროფესიული განვითარება მუდმივი, ციკლური პროცესია და თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირს ეფუძნება.

დღეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოდელები ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კონტექსტების მიხედვით განსხვავდება. მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება სავალდებულოა ევროპის 20-ზე მეტ ქვეყანაში. საფრანგეთში, ჰოლანდიასა და შვედეთში პროფესიული განვითარების პერიოდული დადასტურება პედაგოგებისათვის სავალდებულოა. პედაგოგებისათვის ესპანეთში, ლუქსემბურგში, პორტუგალიაში, სლოვენიასა და სლოვაკეთში მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ნებაყოფლობითია, მაგრამ მჭიდროდ არის დაკავშირებული კარიერულ და ხელფასის ზრდასთან. ესპანეთსა და ლუქსემბურგში ის მასწავლებლები, რომლებიც პერიოდულად ესწრებიან ტრენინგებს, ხელფასზე გარკვეულ დანამატს იღებენ. სხვა ქვეყნებში პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობით მასწავლებლები აგროვებენ პირობით კრედიტებს, რის შედეგადაც მათ ეძლევათ საშუალება, დაწინაურდნენ კარიერულ კიბეზე, ზოგ ქვეყანაში კი ეს პროცესი დეცენტრალიზებულია და უშუალოდ სკოლაა პასუხისმგებელი, იზრუნოს მასწავლებლის პროფესიულ ზრდაზე (გაერთიანებული სამეფო, დანია, ესტონეთი, შვედეთი).¹

განვითარებულ ქვეყნებში არსებობს ჯგუფები, რომლებიც „კრიტიკული მეგობრები“- ს სახელით არიან ცნობილი. მათში ნებაყოფლობით გაერთიანებულია 7-12 მასწავლებელი, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით განუწყვეტლივ ეუფლებიან პრაქტიკულ მეთოდებს. ერთმანეთის საქმიანობაზე დაკვირვებით, მოსწავლეებისა და

¹ ინტერნეტგაზეთი – „*ვზრუნავთ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე*“.
<http://mastsavlebeli.ge/?action=news&npid=9>

მასწავლებლების მიღწევათა შესწავლით, სხვათა გამოცდილების გაზიარებით თუ სხვა გზით (ტრენინგი, მეთოდური შინაარსის სტატიები, სახელმძღვანელოები და სხვ.) მიღებული თეორიული ცოდნის ანალიზის საფუძველზე ისინი ქმნიან პროფესიული თვითგანვითარების ალგორითმს და სახავენ პრაქტიკის გაუმჯობესების გზებს.²

ცხრ. 1- ში ნაჩვენებია მასწავლებლების ხელფასის წლიური მონაცემები 2011 წლის მიხედვით, 9 ქვეყნის მაგალითზე. ცხრ 2- ში კი მოცემულია საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა მინიმალური ხელფასი (სრული დატვირთვის შემთხვევაში) განათლების, კვალიფიკაციისა და სტაჟის მიხედვით.

მასწავლებლების ხელფასის წლიური მონაცემები (აშშ დოლარის ეკვივალენტი, 2011 წლის მონაცემების მიხედვით)

ცხრ.1

ქვეყანა	საბაზო ხელფასი
ფინეთი	29,029
გერმანია	47,488
აშშ	36,858
ესპანეთი	35,881
საფრანგეთი	24,334
დიდი ბრიტანეთი (ინგლისი)	30,289
შვეიცარია	47,330
OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის) საშუალო	28,523
საქართველო	1,781

ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების ეკონომიკური დონე, ბუნებრივია დიდად განსხვავდება ქართული სახემწიფოს საბიუჯეტო შესაძლებლობებისაგან, თუმცა საკითხისადმი იმგვარი მიდგომა, თუ რა როლს ანიჭებს ყოველი ქვეყანა სასკოლო განათლებას რა თქმა უნდა, პოპულარულს ხდის განათლების სისტემას პროფესიული საქმიანობისთვის.

² „მასწავლებელთა პროფესიული განვითარება სკოლის ბაზაზე - სწავლების ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი”. http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=310

საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის მინიმალური ხელფასი (სრულიდატვირთვის შემთხვევაში)

ცხრ.2

განათლება, კვალიფიკაცია		სამუშაო სტაჟი		
		X ≤ 5 წელი	5 < X ≤ 10 წელი	X > 10 წელი
№	განათლება და კვალიფიკაცია	ლარი		
1.	სრული ზოგადი განათლება	289.75	303.48	308.05
2.	პროფესიული განათლება	324.83	338.55	343.13
3.	ბაკალავრიატი	359.90	373.63	378.20
4.	მაგისტრატურა	394.98	408.70	413.28
5.	დოქტორი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	430.05	443.78	448.35
საბაზო ხელფასი = ბაკალავრიატი = 1 თვე		305.00		

ცხრილი 2 – ის ანალიზიდან ჩანს, რომ მასწავლებლის ხელფასი, მისი განათლების, კვალიფიკაციისა და სტაჟის მიუხედავად მიზერულია. შესაბამისად, მასწავლებლის მასტიმულირებელ ობიექტად შეუძლებელია ჩაითვალოს მისი კვალიფიკაციის ამაღლება.

კვლევითი ნაწილი

და მაინც, რა არის საჭირო ხარისხიანი განათლების მისაღებად? პირველ რიგში - კარგი მასწავლებელი, რომელსაც ესმის მიზანი, მოსწავლის მოთხოვნილებები, შეუძლია დაგეგმვა, ზრუნავს როგორც მოსწავლის, ასევე საკუთარ განვითარებაზე. თუმცადა მხოლოდ მასწავლებელზე როდია ყველაფერი დამოკიდებული.

კერძო და საჯარო სკოლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის განსაზღვრული საქმიანობის აღწერის, ანალიზისა და შეფასებისათვის ჩატარებული კვლევა ძლიერი ბერკეტი აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად.

საჯარო და კერძო სკოლების დირექტორთა პასუხები შეჯერებულია ცხრ. 3 – ში. ვინაიდან კვლევა სულ რამდენიმე სკოლაში ჩატარდა, მისი შედეგები საერთო სურათს არ გვაძლევს, თუმცა ყურადსაღებია გარკვეული ტენდენციების გამო.

ცხრ. 3


№	კითხვარი	დირექტორები	
		კერძო სკოლა	საჯარო სკოლა
1.	არის თქვენს სკოლაში შემუშავებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების სასკოლო სტრატეგია/პროგრამა, რომელიც პასუხობს მასწავლებლების სურვილებსა და საჭიროებებს?	დიახ	დიახ
2.	უზრუნველყოფს თქვენი სკოლა თქვენს სხვადასხვა ტრენინგ-პროგრამაში ჩართვას და რამდენად ხშირად ხდება ეს?	დიახ – სემესტრში 2–3 ჯერ.	დიახ – სემესტრში 2–3 ჯერ.
3.	მოქმედებს თქვენს სკოლაში მასწავლებელთა შეფასების სისტემა?	დიახ	დიახ
4.	მოქმედებს თქვენთან მენტორ – მაძიებლობის პროგრამა?	არა	არა
5.	ხდება თქვენს სკოლაში მასწავლებელთა წახალისება?	დიახ	დიახ
6.	უზრუნველყოფს თქვენი სკოლა უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო და სამუშაო გარემოს ხელშეწყობას?	დიახ	დიახ
7.	თქვენი აზრით, ვინ შეიძლება შეაფასოს მასწავლებლის პროფესიული საქმიანობა სკოლაში?	სკოლის დირექტორებმა, საგნობრივი კათედრის გამგემ და კოლეგების ჯგუფმა.	სკოლის დირექტორებმა, საგნობრივი კათედრის გამგემ, კოლეგების ჯგუფმა და მოსწავლეებმა.
8.	როგორ ფიქრობთ რა საშუალებით უნდა მოხდეს მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის შეფასება?	ვიდეო გადაღების, გაკვეთილზე დასწრებისა და ადმინისტრაციის გამოკითხვით.	ძირითადად სკოლაში მომუშავე კადრი აფასებს ერთმანეთს ქულებით.

მასწავლებელთა გამოკითხვა და მისი შედეგები


მასწავლებელთა შერჩევა იყო შემთხვევითობის პრინციპზე დაფუძნებული და რაიმე ნიშნით არ მომხდარა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 50 მასწავლებელი. 25 კერძო და 25

საჯარო სკოლებში. კითხვარი შეიცავდა სულ 8 კითხვას, საიდანაც 2-ში, გარდა სავარაუდო პასუხებისა, მასწავლებლებს შეეძლოთ საკუთარი აზრის დაფიქსირება.


1. არის თქვენს სკოლაში შემუშავებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო სტრატეგია/პროგრამა, რომელიც პასუხობს მასწავლებლების სურვილებსა და საჭიროებებს?




2. უზრუნველყოფს თქვენი სკოლა თქვენს სხვადასხვა ტრენინგ-პროგრამაში ჩართვას და რამდენად ხშირად ხდება ეს?




3. მოქმედებს თქვენს სკოლაში მასწავლებელთა შეფასების სისტემა?




4. მოქმედებს თქვენთან მენტორ-მადიებლობის პროგრამა?




5. ხდება თქვენს სკოლაში მასწავლებელთა წახალისება?




6. უზრუნველყოფს თქვენი სკოლა უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო და სამუშაო გარემოს ხელშეწყობას?



7. თქვენი აზრით, ვინ შეიძლება შეაფასოს მასწავლებლის პროფესიული საქმიანობა სკოლაში? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე ვარიანტი)



8. როგორ ფიქრობთ რა საშუალებით უნდა მოხდეს თქვენი პროფესიული საქმიანობის შეფასება? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე ვარიანტი)



დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევამ აჩვენა, რომ დღეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არ არის შემუშავებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების სასკოლო სტრატეგია, რომელიც რელევანტურია პედაგოგების სურვილებისა და საჭიროებებისა, არც მასწავლებლის შეფასების მოქმედი სისტემა არსებობს და რეალურად სკოლებში მომუშავე კადრის წამახალისებელი ღონისძიებებიც სათანადოდ არ ხორციელდება.

მოცემული პრობლემების დროსა და სივრცეში გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა მთლიანად საგანმანათლებლო სისტემის განვითარების სახელმწიფოებრივი სტრატეგიული ხედვა, აგრეთვე სასკოლო ორგანიზაციის მისიიდან გამომდინარე, შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომების საფუძველზე.


სწორედ ეს არის საფუძველი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის, ხოლო ამ უკანასკნელის შესაბამისად კი იქმნება მოკლევადიანი პროგრამები (1-დან 3 წლამდე). ასეთი სახის პროგრამების საფუძველზე ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ყოველი ერთეული (სკოლა) შეიმუშავებს მის ხელთ არსებული საბიუჯეტო შესაძლებლობებიდან გამომდინარე განვითარების ინდივიდუალურ პროგრამას, რომელშიც ცენტრალური ადგილი უნდა ეკავოს პედაგოგს, მის განვითარებას და შესაბამისი ცოდნის მიღებას, კვალიფიკაციის ამაღლებას. მოცემულ პროგრამებში, უპირველეს ყოვლისა, ასახული უნდა იყოს სასკოლო დაწესებულებების პედაგოგების წახალისების სისტემა, რომელიც საჭიროა მუდამ შესაბამისობაში იყოს მათ მამოტივირებელ ინსტრუმენტებთან.

იგი უნდა შეივსოს რეალური მოქმედებების ერთიანობით, რომელსაც შეუძლია მიიყვანოს საგანმანათლებლო დაწესებულება კონკურენციულ უპირატესობამდე და უზრუნველყოს მისი შენარჩუნება გრძელვადიან პერსპექტივაში.

ქვემოთ მოცემულია სქემა 1, სადაც ნათლად ჩანს თუ როგორ მოქმედებს ორგანიზაციის წამახალისებელი ზემოქმედება ადამიანის მუშაობის შედეგზე.

ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაციაში ადამიანის ჩართვის მოდელი ინდივიდის თვალსაზრისით.

სქემა 1



ყველა ორგანიზაციაში, მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უარესად დიდი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს ადამიანური ფაქტორის ეფექტიანობის ამაღლებაზე (კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე) მიმართულ საქმიანობას, რისთვისაც აუცილებელია:

- ❖ თანამშრომლების მოტივირების, მათი მატერიალური და მორალური დაინტერესების სისტემის შექმნა;

- ❖ კადრების მატერიალური წახალისების დაკავშირება მათი ინდივიდუალური და მთლიანად ორგანიზაციის შეფასების კრიტერიუმებთან;
- ❖ პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის შესაფასებელ კრიტერიუმთა ამოქმედება, მინიმალური კრიტერიუმის ნორმატივების დაწესება, თითოეული პედაგოგის საქმიანობის შედეგების სისტემატური შეფასება; სასკოლო საქმიანობის საერთო შედეგებისა და კონკურენციული საგანმანათლებლო ორგანიზაციების მოქმედებათა გათვალისწინება პედაგოგების მატერიალური (ხელფასი, პრემირება, ბონუსები და ა.შ.) და არამატერიალური (დაჯილდოება, დაწინაურება, უფლებამოსილება და ა.შ.) სტიმულირების დროს.

თუ მასწავლებლები გრძნობენ, რომ მათ შრომას აფასებენ, გასამრჯელოს მუშაობის შესაბამისად უხდიან და მათ შრომისათვის ყველანაირ პირობებს უქმნიან, ისინი ცდილობენ საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას სასკოლო დაწესებულების ეფექტიანი მიზნების მიღწევისათვის. ხოლო თუ განმანათლებლები გრძნობენ, რომ მათ შრომას სათანადოდ არ აფასებენ, მაშინ ისინი, ბუნებრივია, გაცილებით უფრო ნაკლები ინტერესით ეკიდებიან მოვალეობების შესრულებას და ეძებენ ახალ სამსახურს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში არსებობდეს პედაგოგების შერჩევის სტრატეგიული ხედვა და მათთვის მოცემული საქმიანობის აღმძვრელი სტიმულები.

რეკომენდაციები

- ❖ შემუშავდეს საგანმანათლებლო სისტემის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიული ხედვა, აგრეთვე სასკოლო ორგანიზაციის მისიიდან გამომდინარე, შესაბამისი სტრატეგია, პროგრამულ/მიზნობრივი მიდგომების საფუძველზე.
- ❖ შემუშავდეს გარკვეული, მასწავლებლის პროფესიულ დახელოვნებაზე ორიენტირებული სტრატეგია, რომელიც, თავის წილ, სწავლება-სწავლის პროცესის მაღალ ხარისხის განაპირობებს.
- ❖ სახელმწიფოს მხრიდან დარეგულირდეს საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებლების პროფესიული გადამზადების საკითხი, რომელსაც აღარ ექნება ერთგვარად დისკრიმინაციული ხასიათი.

- ❖ სკოლებში დაინერგოს საკუთარ პროფესიულ ზრდაზე მომუშავე პედაგოგების იდენტიფიცირების ადეკვატური, ობიექტური ინსტრუმენტი და შემუშავდეს მათი წახალისების საერთო, უნიფიცირებული სტრატეგია–პროგრამა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Glatthorn, A. (1995). "Teacher Development ". In: Anderson, L. (Ed.), *International Encyclopedia of Teaching and Teacher Education* (2nd edition). London: Pergamon Press, p. 41.
2. Calderhead, J.; & Shorrock, S. B. (1997). *"Understanding teacher Education": Case Studies in the Professional Development of Beginning Teachers*. London: The Falmer Press, p.10.
3. Ganser, T. (2000). *"An ambitious vision of professional development for teacher"*. In: *NASSP Bulletin*, 84 (618), 6-12.
4. შამუგია, ა. (2013). *"განვითარებული ქვეყნების ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში პედაგოგიური კადრების მატერიალური სტიმულირების განვითარების ტენდენციების შეფასება"*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, შრომების კრებული, თბილისი.
5. შამუგია, ა. (2014). *"ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში"*. დისერტაცია – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., გვ. 23; 101.

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

თათია ღერკენაშვილი
მაგისტრი
კავკასიის უნივერსიტეტი

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს, კერძო და საჯარო სკოლების მაგალითზე დაგვანახოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დონე.

განათლების სისტემამ თანამედროვე სწრაფად ცვლად გარემოში განსაკუთრებულად მასშტაბური ცვლილებები განიცადა, რომელსაც თანამედროვე, უწინდელისაგან სრულიად განსხვავებული, პიროვნების აღზრდა დაეკისრა. აღნიშნულმა კი პირდაპირპროპორციულად განსაზღვრა აღზრდის პროცესის წარმმართველი უმთავრესი სუბიექტის - მასწავლებლის პროფესიული მომზადების საკითხის დასმა. განათლების სისტემის რეფორმის პროცესში, საშუალო თუ უმაღლეს სკოლაში, ხარისხსა და ეფექტურობას განსაზღვრავს მასში მოღვაწე პედაგოგიური პოტენციალი - თავისი ცოდნით, უნარებითა და პიროვნული თვისებებით. ყოველივე ეს კი სახელმწიფოს მხრიდან მასწავლებლის პროფესიისადმი განსაკუთრებულად პასუხისმგებლიან და ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს. შესაბამისად, მასწავლებლის პროფესიული განვითარების საკითხზე მსჯელობა, ანალიზი და კვლევა თვისობრივად ახალ და საინტერესო კონტექსტს უნდა ატარებდეს.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, პროფესიული საზოგადოებისათვის საინტერესო უნდა იყოს თბილისის რამდენიმე კერძო და საჯარო სკოლებში მასწავლებლის პროფესიული განვითარების მახასიათებლების ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილი სიტუაციის აღწერა. პედაგოგიკის მეცნიერების პრიზმიდან გამოტანილი დასკვნებისა და რეკომენდაციების შეთავაზება პროფესიული საზოგადოებისათვის.

აღნიშნული კვლევის მიზანია კერძო და საჯარო სკოლების ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის განსაზღვრული საქმიანობის აღწერა, ანალიზი და შეფასება.

Teachers' Professional Development at School

Tatia Gherkenashvili

Magistrate

Caucasus University

Annotation

The work has been done to show the level of teachers' professional development, by comparing public and private schools with each other.

Educational system in a rapidly changeable environment has underwent solely scale changes, which comparing with previous years, is now in charge of bringing up a person and this last one directly determined to raise the theme of the basic figure in leading to educate pupils, teacher's preparing for professional development. In the process of educational reform, it doesn't make sense it will be primary or higher education, its degree and effectiveness is determined by teachers who work there according their knowledge, skills and professional characteristics. Hence this profession undoubtedly need very careful and responsible attitude from the state. This is why research, discussion and analyzing of teachers' professional development, should carry really interesting context.

As for this theme is urgent, description of the situation based on the typological analyzing of the characteristics of teacher's professional development in some private and public schools in Tbilisi, also suggesting some professional society conclusions and recommendations brought out from pedagogical scientific prism, should be too interesting for professional society.

The aim of this research is to describe, analyze and evaluate the work that's determined for teachers' professional development in public and private schools.



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა

Caucasus University Publishing House

WWW.CU.EDU.GE